

საბჭოთა სელოვნება

ISSN 0132-1307



1979 10

10 / 1979



სსრკ-ოთა სელოვსება

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ჟოველთვიური შპრნალი

7 ოქტომბერი — საბოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის აბალი
კონსტიტუციის დღა

შინაარსი

აკაკი დვალისივილი — ახალის ხელოვნება	2
მიხეილ ულიანოვი — მამურობელთა დარბაზში მილიონები	6
ირაკლი აბაშიძე — მცირე რამ მოგონება ნატო ვანაძეზე	12
მანანა პაიჭაძე — ბერლინის საბელმწიფო ოპერის თეატრის საბალეტო დანი	15
ნოდარ გურაბანიძე — აკოპის სუნთქვა	21
ირაკლი ოჩიაური — რეჟო იაშვილი	31
გულნარა კალანდარიშვილი — მარჯანიშვილის სახელოვის თეატრის სამხატვრო „შთა- მოგაველობა“	55
გიორგი ჯავახიშვილი — ღამელისი ამთროკომოგოფული ფიგურები საპარტველოს ბერიტორიაზე	41
კიტი მჩახელი — დოდი ფრანი მხატვარი	48
ნიკო აბდულშელიშვილი — მარია ბაშირი	57
დიალოგი. თანილის საკაირო თეატრის გემები და ამოცანები	60
ალა იასტრებოცკაია — XI-XIII სუპრენების დანავლეთი მეროკა	69
გულიყო მამულაშვილი — „მან-ნაიში“ გამომგვეხებულ გუსიკალურ საკრავთა წარმოგავლოგისათვის	83
აკაკი ვახაძე — მოგონებები და ფიგურები	88
მოლიერი — დონე შუანი ანუ კვის სტუმარი	98
გრონიკა	114

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ჟორეოგრაფია**

შთავერი რედაქტორი
თამაზ შილაკი
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაჭრაძე,
ვასტანო ბერიკა,
ნოდარ ჯავახიანი,
ჯუშუბერი თითმირი
(კასუნისგებელი გლივანი),
გასილ კიკნაძე,
ნოდარ გგალოგლოგვილი,
ჯურაბ ნიშტრაძე,
გივი ორგონიკიძე,
ნათელა შურუბაძე,
რევაზ ჩხიმიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ვამბაძე,
ნოდარ ჯანბერიძე.

ხალხის ხელოვნება

აკაკი დვალისფილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის
 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

1919 წლის 27 აპრილს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს „ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული ვაჭრობისა და წარმოების განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადასვლის“ შესახებ. ეს თარიღი საბჭოთა კინემატოგრაფიის მიერ ტრადიციულად აღინიშნება როგორც მისი ისტორიის დასაწყისი; კინოწარმოების ნაციონალიზაციამ საფუძველი დაუდო ფილმწარმოების ორგანიზებას სოციალისტურ პრინციპებზე, დაუქვემდებარა რა იგი რევოლუციის ინტერესებს.

დღეს, როდესაც ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა კინო თავის სახელოვან იუბილეს შეიშობს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კინოხელოვნების განვითარება ექვსი ათეული წლის მანძილზე წარმოადგენს პრაქტიკულ განხორციელებას ლენინური იდეისა კინოს როლისა და ამოცანების შესახებ სოციალიზმისათვის, ბრძოლას შემოქმედების თავისუფლებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის გაგების თვალსაზრისით.

თავისი განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოთა კინოხელოვნება გამოირჩეოდა მაღალი ჰუმანიზმით, პოლიტიკური სიკვადადით, სიღამაზის, სიკეთის, სამართლიანობის რეალური შინაარსის გახსნის თვალსაზრისით, კომუნისტური განსაზღვრულობით და ყოველგვარ ანტიადამიანურისა და ანტიკუმანურის უარყოფასთან შეურიგებლობით. სწორედაც ამ ნიშანთვისებებმა აქცია საბჭოთა კინემატოგრაფიი ტემპარიტად ხალხის ხელოვნებად, განსაზღვრა მისი უდიდესი როლი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

საბჭოთა კინემატოგრაფიი აღმოცენდა, ჩამოყალიბდა და განვითარდა მრავალეროვნული კინოხელოვნების ერთიანი სოციალური პრაქტიკისა და ერთიანი მხატვრული კულტურის სისტემაში, ინტერნაციონალიზმი ორგანულად ახასიათებს ჩვენს მსოფლმხედველობას და მივლეს ჩვენს სოციალურ კულტურას, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა კინოხელოვნება. ინტერნაციონალიზმის სულიერ გაქვეითილი მრავალეროვნული საბჭოთა კინემატოგრაფიი, რომელიც ერთ საერთო მი-

ზანს მსახურებს, წარმოადგენს მრავალეროვნებათა ერთიანობას, ხელოვნებათა სხვადასხვა ჯგუფების მთლიანობას, რომელთაგან ყოველ მათგანს თავისი ეროვნული სახე და ადგილი აქვს საბჭოთა კინემატოგრაფიულ კულტურაში.

ამიტომაც, კანონზომიერია ეროვნული კინემატოგრაფიული კულტურის ურთიერკავშირი როგორც წარსულში, ასევე კინოსტუდიათა თანამედროვე ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ახალგაზრდა ქართულმა კინემატოგრაფმა გულდად მიიღო რუსი მწერლების სერგეი ტრეტიაკოვისა და ვიქტორ შვლოვსკის, რუსი რეჟისორების — სერგეი ეიზენშტეინის, ესთერ შუბისა და სერგეი კულეშოვის დახმარება. სამაგიეროდ, თავის მხრივ, კინოსტუდია „საქართველოს სახკინმრეწვემი“ მოხდა სომხური კინოს ფუძემდებლის ა. ბეკნაზაროვის ფორმირება, ხოლო ნიკოლოზ შენგელიამ 30-იანი წლების დასაწყისში ბაქოში გადაიღო ფილმი „26 კომისარია“. ამ ფილმმა საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანის კინოსტუდიას.

ქართული კინოს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი წარსულთა და ტრადიციებით. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში, 1912-16 წლებში მისი ენთუზიასტები — ვ. ამა-შუკელი, ა. წუწუნავა, ა. დილმელოვი ყოველმხრივ ცდილობდნენ ახლადმოხილი ქართული კინო მყარ საფუძველზე დაეყენებინათ, ექციათ იგი ხელოვნებად ხალხის შესახებ, ხალხის ხელოვნებად. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ კვანანებზე გამოვიდა პირველი ქართული საბჭოთა სურათი „არსენა ჯორჯიაშვილი“, სადაც ასახული იყო ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი ნათელი ეპიზოდის ისტორიული ფაქტები. ამას მოჰყვა „წითელი ემბაკუნები“, რომელიც საყოველთაოდ აღიარეს „საბჭოთა კინოს პირველ მერცხლად“. რევოლუციური თემატიკა, თანამედროვე გმირი — ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ადამიანი მაშინვე მოიქცა ქართველი კინოს ყურადღების ცენტრში.

ნიკოლოზ შენგელიას „ილისობა“, მ. ჭიკაბაძის „უკა-



ნასწავლამა მასკარადმა⁴, ს. დოლიძის „უკანასკნელმა ჯვაროსნებმა“ და იციანი წლების დასასრულის და 30-იანი წლების დასაწყისის სხვა ფილმებმა დანამტკიცეს ეს წარმატება.

ქართველი ხელოვანი — კინოს ფუნქციონერი შესანიშნავად გრძობდნენ თავისი მაყურებლისა და დროის მოთხოვნებს, და უკვე ამ წლებში მათ გააქტიურეს ადამიანის სულიერ სამყაროში მომხდარი ძვრების ეკრანული განხორციელების საშუალებათა ძიება, რაც გამოწვეული იყო სინამდვილის რეგულაციურ განვითარებაში მათი პრაქტიკული მონაწილეობით. და ეს ძიება, ხასიათში ფსიქოლოგიური ჩადრმაკვება მიმდინარეობდა სხვადასხვა ფანრი, კერძოდ, როგორც ეპიკურ დრამაში — „უკანასკნელი მასკარადი“, ასევე ს. ფალავანდიშვილის ყოფითი ხასიათის კომედიაში — „უქუქნას მხოთიანი“.

30-იანი წლების ეკრანებზე გამოვიდა ქართული ფილმები „არსენა“ და „დარიაკო“, მათმა გამოჩენამ კიდევ უფრო მეტად შეწყვიტა ხელი ეკრანისა და მაყურებლის დახლოებისთვის.

70 წლის უკან, 1908 წელს, ძველი თბილისის თითო-ორთადა ეკრანზე, ქართული კინოს ფუნქციონერების — ვასილ ამასუკელის და ალექსანდრე დიდუბლოვის მიერ გადაღებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმები გამოჩნდა, ხოლო 1912 წელს ვასილ ამასუკელის მიერ გადაღებულმა პირველმა სრულმეტრაჟიანმა დოკუმენტურმა ფილმმა — „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ უკვდავება მოიპოვა.

თავის არსებობის მანძილზე ქართულმა დოკუმენტურმა კინემატოგრაფმა ათასზე მეტი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმი შექმნა.

1928 წელს „სახანძრეველი“ შეიქმნა კინოქრონიკის სექტორი. მის დასაბუთებას ხელი შეუწევს დოკუმენტური კინოს პიონერებმა მ. კალატოზოვმა, ნ. დოლიძემ, ს. დოლიძემ.

დღეს კი შეუმღებელია არ გაისინო ყოველივე ეს, ჩვენნი ქართული კინოს სახელოვანი წარსული. ამის გაუსწავლობა არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ტრადიციათა მემკვიდრეობითაა თანამედროვე მხატვრული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ღერძია. ტრადიციები კი განვითარებას მოითხოვენ და აქ საჭიროდ ფიქრობთ აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ქართული კინოს წარმატებულ ხელი აქვს არა მარტო წინამორბედთა მიერ დატოვებული გამოცდილებას, არამედ იმ შემოქმედებით იმპულსებსაც, თანამედროვეობა რომ წარმოშობს. გულდასმით სწავლობენ რა ახალი ადამიანის ფორმირების რეალურ პროცესებს, ქართველი კინემატოგრაფისტები აჩვენებენ მას მისი სულიერი და ზნეობრივი განვითარების თემათა სისრულეს. ისინი ცდილობენ აჩვენონ ეს თემათები მათი ცოცხალი განვითარების პროცესში, ურთიერთსწინააღმდეგო ტენდენციათა ბრძოლის ფონზე. და ეს პასუხის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებსაც; გართულდა ზნეობრივი იდეა, საზოგადოება თუ უფრო მეტად შეურიგებლად ეკიდება უმოძრაობას, მდგრადობას. ბოლო დროის ფილმების გმირები მოქალაქეობრივი დაჯაყავიანის რთულ გზას გადიან, ისინი ესწრაფვიან უფრო ღრმად ჩასვლენ ადამიანის და მისი გარემომცველი სამყაროს კავშირის კანონებს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გავისინოთ უკანასკნელი ათწლეულის ისეთი ფილმები, როგორცაა „სინათლე ჩვენს ფანჯრეში“, „გიორგობისთვე“, „ქვიშანი დარჩენიანი“, „რადიკალი ინტერვიუ პირად საკითხებზე“.

ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილია უმარტივე ფილმი თავისი ხალხის წარსულზე, ეს ფილმები, პირველყოფილია, ღრმადი თვისების არიან არა იმიტომ, რომ მათში წარმოსახულია ესა თუ ეს ეპოქა, ცხოვრების წესი, ხასიათები, არამედ საკუთრივ, ფილმის ატმოსფეროთი — ასახული მოვლენების, ფაქტების თუ პროცესების თანამედროვე აღქმა-გაგებით. აქ უკვე ძირითად კრიტერიუმად იქცევა ის, თუ რამდენად სრულყოფილად პასუხობს საზოგადოების გამოცდილას ხელოვანის დამოკიდებულება ცხოვრებისას, ხოლო საერთაშორისო აღიარება ისეთი ფილმებისა, როგორცაა „ჯარისკაცის მამა“, „ვედრება“, „ფრონტისანი“ და „ნატვისის ხე“ მოწმობს იმას, რომ ამ ფილმების შემქმნელმა რეჟისორებმა ამომწურავად უპასუხეს საზოგადოების გამოცდილებას.

საკმაო წარმატებით მუშაობენ ქართველი კინემატოგრაფისტები პირობითი პოეტური ფორმის ფილმის თვალსაზრისით, რომლებიც ყოველთვის მაღალი ფილოსოფიური და ეთიკური აზრის მატარებელი არიან; პოეტური გამოხატვის ფილმობითი საშუალებების ჭეშმარიტ სტილისტიკური განახლებასკენ სწრაფვითაა აღზენილი ისეთი ფილმები, როგორცაა „არჩვეულებრივი გამოფენა“, „შურცილები“, „პირველი მერცხალი“ — მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გაჯერებული კომედიები.

ამ ბოლო ათწლების მანძილზე, საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით, კანონსტდია „ქართული ფილმი“ იღებს მოკლემეტრაჟიან და სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებს. მათ შორის აღსანიშნავია ალ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით შექმნილი — „კავკასიის ტყვე“ და პირველი მრავალსერიანი კინოფილმი — „დათა თუთაშვილი“.

დოკუმენტურ ფილმებში აისახა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი — პირველი ელექტროსადგურებისა თუ ქარხნების მშენებლობა, სოციალისტური მშენებლობის ენთუზიაზმი, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, სამამულო ომის პერიოდში ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა შექმნეს კავკასიის დაცვის მატანა. 1958 წლის ივლისიდან სახელგანთქმულ „ქართულ ფილმს“ გვერდში ამოვიდა მეორე ქართული კინოსტუდია — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია.

ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც ახალ, ძიებებით აღსავსე გზაზე გამოიყვანა ქართული დოკუმენტალისტთა, იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი გიორგი ასათიანი.

დღეს, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია ერთ-ერთი თვალსაჩინო და საკუთარი შემოქმედებითი ხელწერის მქონე სტუდია სამჭოთა კავშირში.

სამჭოთა კინოს სამოცი წლის უბილვე ჩვენთვის მარტოდღესასწაული როლია. საჭიროა, რომ ამ დღესასწაულმა ჩვენს კინემატოგრაფისტების აზრები მიაკვლით მომავლისაკენ, იმ ანოცენებისაკენ, რომლებსაც მათ უყენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სამჭოთა კინოხელოვნების მდგომარეობის დაწვრილებითი, ჭეშმარიტად მეცნიერული ანალიზია მოცემული ამ პარტიულ დოკუმენტში. პრინციპული და მოთხოვნი კრიტიკა, რომელსაც ეს დადგენილება შეიცავს, სახელმძღვანელო მიიღეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის



და, შესაბამისად, საქართველოს კომიტეტის დადგენილებებში ჩამოყალიბებული იდეებიდან დასრულებული იქნა მათი განხორციელება. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ბევრ რამში სრულიად ახლებურად განსაზღვრეს თავისი ამოცანები კინოწარმოების ყველა ასპექტში. ამ წლების განმავლობაში გაწეულ იქნა სერიოზული მუშაობა თემატური გეგმების განმტკიცების თვალსაზრისით. ხილო პირველ ყოვლისა, რეპერტუარის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით გაძიდრების თვალსაზრისით, იმ ნაწარმოებებით, როულ და აქტუალურ პრობლემებს რომ ეხება. კინოსტუდია აქართულ ფილმში“ შეიქმნა შემოქმედებითი გაერთიანებანი, მათ შორის შემოქმედებითი გაერთიანება „დებუტტი“, რომელიც მოწოდებულა მხარდაჭერა და დახმარება აღმოიჩინოს დამწყებ კინემატოგრაფისტებს. საქართველოს კომიტეტმა კინემატოგრაფისტებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს ჩვენი კინოს მომავლისადმი, დაუჭირეს რა მხარი კინოსარეგისტრაციო ფაკულტეტის გახსნას თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. ამ მუშაობის ნაყოფმა უკვე იჩინა თავი, ქართველი კინორეგისტრირების პირველმა ჯგუფმა, რომელმაც მშობლიურ რესპუბლიკაში მიიღო სპეციალური განათლება, ამ საფხულს დაიცვა დიპლომები და დამოუკიდებელ გზაზე გამოვიდა. ქართული სკოლის კინოსმასობითა აღზრდის თვალსაზრისით ფასდაუდებელი როლი ითამაშა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელსწიფო გახსნამ. ქართული კინოს თეორიამ და პრაქტიკამ მკურნებულთან შეხვედრის შესანიშნავ საშუალებას მივანო კინოსმასობის კრებულის „კინოს“ გამოცემით, სადაც ქვეყნდება გამოკვლევები და სტატიები კინოს ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, პოპულარიზაცია ეწევა ქართული კინოსელოვნების თანამედროვე ოსტატთა შემოქმედებას.

დიდი ყურადღება ეთმობა მკურნებულთან ცოცხალი კონტაქტის განვითარებას. ამ მიზნით, კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ტარდება რესპუბლიკური კინოფესტივალები. ასეთი ფესტივალები უკვე ჩატარდა ქუთაისში და ბათუმში. ამა წლის ნოემბერში ჩატარდება ფესტივალი ქ. თელავში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების პერიოდში ქართველი კინოფაკტორები წარმატებით ასრულებენ გეგმებს.

მოკლედ, ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ ის ნაყოფიერი გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს კინოში განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ. გულს ახარებს, რომ ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ რამე ნაწარმოებებმა საბჭოთა და საზღვარგარეთელი მკურნებლის გულში მოინახივრეს და ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე, რითაც არაერთი შესანიშნავი ფურცელი ჩაურეს უკანასკნელი წლების ქართული და საბჭოთა კულტურის მატანეში.

მოსკოვში, სოფლის მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მონრალის დიდ პავილიონში, სადაც გაიხსნა თა-

ადრი ფილმიდან „არსენა გორგასაშვილი“
 ადრი ფილმიდან „წითელი ეშმაკუნები“
 ადრი ფილმიდან „კომ შინაში“
 ადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“

კადრი ფილმიდან „გიორგობისთვე“
 კადრი ფილმიდან „თუმი მეტეხაზე“
 კადრი ფილმიდან „ერთი ცის ქვეშ“
 ფილმიდან „რამდენიმე ინტერული პირად“
 საკითხებზე“



ვისი მასშტაბითა და მნიშვნელობით არანახული გამოფენა — „საბჭოთა კინოს 50 წელი“, ქართული კინოს დარბაზმა ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პავლიონის ტერიტორიაზე ააგეს ქართული ფაცხა, სადაც დაამონტაჟეს 50 ადგილიანი კინოდარბაზი, ყოველდღიურად ფაცხის ეკრანზე უჩვენებდნენ ქართულ კინოფილმებს. ქართული კინოს დღეები აქ მასურებულს შეხედნებ მსახიობები, რეჟისორები, ჩვენი კინოს ქუმკები, შევდა კონცერტები მათი მონაწილეობით. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ შექმნა სრულმეტრაჟიანი ფილმი „კინო და წლები“.



საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სარეკლამო-საგამომცემლო განყოფილებამ საიუბილეო თარიღს მთელი რიგი გამოცემები მიუძღვნა. გამოვიდა ქართული კინოს ისტორიის ნარკვევთა კრებული, რომელიც დაწერილია თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის თანამშრომლების მიერ. კრებული შეიცავს დიდ ფაქტობრივ მასალას და მოიცავს პერიოდს 1907-1910 წლების პირველი ფირებიდან 70-იანი წლების ბოლომდე. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ილუსტრირებული ალბომი — „ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია“. ალბომი შეიცავს შე-სავალ წერილს — ისტორიულ ნარკვევს ქართული კინოს განვითარების გზების შესახებ და მდიდრად ილუსტრირებულ ფილმოგრაფიას ძირითადი მხატვრული, მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ფილმების მიხედვით, რომლებიც შექმნილია ჩვენი კინოს ყველა ეტაპზე.



ქართული კინემატოგრაფისტები ემზადებიან თავისი ხელოვნების მე-50 წლისთავის საზეიმო დღეების ჩასატარებლად მშობლიურ რესპუბლიკაში, ის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში — სოსუმში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში და სხვ. ადგილი ექნება საინტერესო შეხვედრებს, რესპუბლიკის მასურებულს საშუალება მიეცემა გაეცნოს ქართველ კინოსხელოვანთა ბოლო წლებში შექმნილ პროდუქციას.



საბჭოთა კინოს 50 წლისთავის იუბილე, მასურებულთან მჭიდრო და მრავალფეროვანი ურთიერთობა იუბილის დღეებში უფრო მეტად გააღვივებს ჩვენი კინომუშაკთა შემოქმედებით ინიციატივას და დარაზმავს მათ სინამდვილისა და მისი განვითარების პერსპექტივების მხატვრული ათვისების თვალსაზრისით. საბჭოთა ხალხი კინოსხელოვანთაგან მოელის ნაწარმოებებს, სადაც ასახული იქნება ჩვენი ხალხის გმირული შრომა, მისი გმირული წარსული, ბედნიერი აწმყო და ნათელი მომავალი. კინომუშაკები გადამწყვეტ ბრძოლას გასწევენ თავიანთი ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონის ასამაღლებლად, რათა არ ჩამორჩნენ ეპოქისა და დროის მოთხოვნებს, ჩვენი პარტიის მიერ დაყენებულ დიად ამოცანებს, მასურებულთა სულ უფრო და უფრო მზარდ სულიერ მოთხოვნებს. ამ აზრებითა და მიზნებით ხედდება ქართველ კინემატოგრაფისტთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი საბჭოთა კინოს იუბილეს.



მეყურაბელთა დარბაზში მილიონები

მიხეილ ულიანოვი

შნდა ვიფიქროთ, რომ ვატანგოველთა სამსახიბოთ სკოლა ხელს უწყობდა ჩვენი თეატრის მსახიობებს სწრაფად შეეუბოდნენ კინოს სპეციფიკას. ასე იყო შრუკინის დროს, რომელიც ბევრს და წარმატებითაც მონაწილეობდა კინოში ჯერ კიდევ მანამდე, სანამდე შექმნიდა თავის უდადეს ნაწარმოებს — ლენინის სახეს კინოფილმებში „ლენინი ოქტომბერში“ და „ლენინი თვრამეტ წელში“. მრავალი ვახტანგოველი ჩვენს ქვეყანაში პოპულარულია, როგორც კინოს მსახიობი, თანამედროვე თაობის ასალგაზრდა მსახიობები, თითქმის ერთდროულად, თეატრში მოსვლისთანავე იწყებენ კინოში მუშაობას.

ეს ტრადიცია არც მე ამცდა. ზედინვე მიწვევდნენ სასინჯ გადაღებებზე, მაგრამ უშედეგოდ, სანამ 1953 წელს კლუბატრა სერვის ასულმა აღპეროვამ არ მიმიწვია სასინჯ გადაღებებზე რეჟისორ იური პავლეს ძე ვეგოროვის ფილმში „ისინი პირველები იყვნენ“. სინჯების შემდეგ დამამტკიცეს რეჟოლუციური პეტროგრადის კომკავშირელთა მეთაურის ალექსი კოლიკოვოვის როლზე. ეს იყო ჩემი პირველი როლი კინოში.

დამთვრდა თუ არა თეატრალური სუბონი, ჯგუფთან ერთად ლენინგრაღში გავეშავრე გადაღებებზე. მაგრამ კინომრწვევლობა საესტა მოულოდნელობებით. ვერ გავიგე რა ხდებოდა: უკვე ერთი თვეა ვცხოვრობ ლენინგრაღში, მივლინების დღეები ილუვა, ფილმს იღებენ, მე კი თითქოს ყველას დაგვიწყდი. დავიღობი გადაღებებზე, შურით შევექცეოდი იმ მსახიობებს, რომლებიც უკვე მუშაობდნენ და ველოდი.

ნაწყვეტი წიკრიდან «Моя профессия», М., «Молодая гвардия», 1975 г.

ბოლოს მეც გამოიბიხეს. მაგრამ იმ დღეა მოსკოვში უკვე თეატრალური სუბონი იხსნებოდა და მეც უნდა გავმზავრებულყავი ლენინგრაღიდან. დაიწყო კინოსა და თეატრის ინტერესების ერთმანეთთან შეჯგუბება, რასაც შემდგომ დიდი ძალა და ნერვები შევალე. მალე დაებრუნდი ლენინგრაღში და პირველად გავიგონე სატაკუსოს შემამინებელი ხმა, რაც კინოკამერის მუშაობის დაწყებას ნიშნავდა.

გადაღების დღის პირველი შეერძნება არ მახსოვს. სამაგიეროდ მმყენიერად მახსოვს გადაღებული მასალის გასინჯვა. პირველად რომ დავინახე საკუთარი თავი ეკრანზე. ძალზე ცუდ გუნებაზე დავდექი! არაფერი არ მომწონდა ჩემი: ტანადობა, სახე, ხმა, თვალები... რასაკვირველია, არ ველოდი რომ დავინახავდი ასეთ ტლანქ, უშნი და გატყუქსულ არსებას, რომელიც ცდილობდა შეექმნა შობაბედილება, რომ თანამობა.

გაოგნებული ვერაფერს მუხვდი. ანდა რისი გავება შეიძლებოდა მრავალჯგის გამეორებული დუბლებისა და როლის ცალკეული ნაწყვეტებიდან? ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო თუ რანაირად შეაქმნებოდა როლი, და საერთოდ მთელი სურათი ამ ნაწყვეტებისაგან. ყველაფერი გაუგებარია და ყველაფერი გაშინებს თავისი ურვეულობით. უწვეულია ვითარება გადასაღებ მოვლანზე, უწვეულია თვით როლზე მუშაობა, როდესაც გადაღებას შუიდან იწყებენ, ურვეულია ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი პაწაწანა როლის სულ მცირე ნაწილის თანამის აუცილებლობა. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იცე მთლიანად ამ როლს როგორ ითამაშებ. მასალის ამ მომქანცველი სინჯების შემდეგ მხოლოდ სრული დაბნეულობა და უსახლისო ზეგრძნება გრჩება.

ზოგაერთ რეჟისორს არ უყვარს მსახიობისათვის მასალის ჩვენება. შესაძლოა ისინი მართლებიც იყვნენ. მსოლოდ გაზოცილოდ თავს შეუძლია გადაღებული მასალის გაგება, როდესაც იმას კი არ უყურებ, როგორ გამოიყურები ეკრანზე, არამედ იმას, თუ რა უნდა გააკეთო როლში ამის შემდგომ. მასალა ვესმარება საკუთარი ნაწმეგვის შესწორებაში, სახის სწორა გადაწყვეტის მიგნებაში, დავანახებს საკუთარ შედომებს, მაგრამ ეს მხოლოდ გამოცილებების შემდეგ. დაქუქვანცეულად, ხანდახან ულოგოო სცენებში მომავალი სურათის დანახვას ცოდნა უნდა, ცოდნა, რათა ცალკეული ფერების საშუალებით მთელი სურათის ფერი წარმოვიღებინო.

რეჟისორი კინოში — ერთადერთი ბატონ-პატრონია. იგი მთლიანობაში ხედავს მთელ სურათს, ხედავს გამართა სახეებს. მას ცდმის მათი ინტონაცია, ხედავს მათ მამკულობას, ესმის მათი ლაპარაკი და როდესაც იწყება მსახიობთა შერჩევა, რეჟისორისათვის სულაც არ არის მთავარი მსახიობის „მე“, მისი შემოქმედებითი შეხედულებები, გამიცდილება. რეჟისორს სჭირდება ტიპაჟი, რომელიც უზუსტად შეესატყვისება მის წარმოდგენას ამ მოქმედ პირზე. არ არის ასეთი მსახიობი? იპოვეთ ქუჩაში, ხალხში, სადაც გენებოთ — ოღონდ, ზუსტად ასეთი ადამიანი.

მაგრამ ერთი იპოვნო მსახიობი — თანამოაზრე, როლზე მუშაობის ურთულეს პროცესში რომ შეპყავთ, სადაც რეჟისორი და მსახიობი ორი თანაარი ძალა და მათი უერთმანეთოდ

არსებობა შეუძლებელია. სულ სხვა საქმეა, როდესაც რევისორს მასაობი სჭირდება როგორც მთავარი როლის ბრმა შემსრულებელი.

თუკი რევისორმა ნაწილობრივ იცის რისი მომავალი სურათის ყოველი წერილობრივი, გრძობის მის რიტმს, მომავალ შემოქმედებას მაყურებელზე (თუმცა ეს შეიძლება მხოლოდ იგრძობ, მტკიცე ცოდნა ამისა შეუძლებელია), ხედვას გმირთა სახითავე შეძლოდ განვითარებას, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი დიქტატ. მაგრამ ისეც ხშირ ხდება, რომ რევისორი აკეთებს სურათს და კერძოდვე მხოლოდ ბუნდობან წარბმოდნას, როდესაც ის ბოლომდე არაა დაწვრილებული ანა თუ იმ სცენის ან შესაძლოა მთლიანად სურათის გადაწყვეტის სიზუსტეში. ასეთ შემთხვევაში საყაროს თავისებურად ხედვის, საკუთარი შემოქმედებითი პოზიციის მქონე მსახიობის დიქტატი სრული უაზრობაა. ასეთ მსახიობს არ შეუძლია მუშაობა, თუ მასთან როლის საკუთარ გაგებას არ დაუმორჩილებს. ასეთ მსახიობთან როლზე მუშაობა შესაძლებელია, მხოლოდ როლის მისეული აქტიური ხედვისაგან გამომდინარე.

საერთოდ რევისორთა უმრავლესობას ასეთ მუშაობა. მაგრამ კინოში ტიპაჟის შერჩევა და მისგან სანდტერესო და ზოგჯერ უდიდესი ნაწარმოების შექმნა შეიძლება. თეატრში კი ამას ვერ გავაკეთებ. მსახიობის მუშაობა თეატრში — გრძელ დისტანციაზე სრობდა, სადაც საჭიროა ტექტიკაც, ანგარიშიც, გამოდღეებაც, სუნთქეაც. აქ მსახიობის როლის მთლიანობაში შეგრძნება უნდა შეეძლოს და არა მხოლოდ შეგრძნება, არამედ ამ როლის განსახიერება მოქმედებიდან მოქმედებამდე, მაყურებლის თვალწინ, სცენაზე, სადაც წარმატებლობის წუგუნში არ არსებობს მსხვერპი შეპატივისცემა, სდექა! როლი ითამაშება ერთხელ, შავად ნაწერის ვარეში, სცენა ღიაა, მაყურებელია დარბაზში ათასობით მაყურებელია და შენ ახსოვტრით მომზადებულს ვმართებს გამოსვლა. უსჯატად უნდა იცოდ, რატომ გამოხვედი ამ ათასობით ადამიანის წინაშე, რა უნდა უთხრა მათ. თეატრი, უპირველეს ყოვლისა. მანაც მსახიობა. რა ხანგრძლივაც არ უნდა იყოს რეპერტუციები და რა კარგიც არ უნდა იყოს რევისორი, ფარდის ახდის შემდეგ მსახიობი, სწორედ მსახიობი რჩება მაყურებლის პირისპირ. იგი დრამატურგის, რეჟისორის და თეატრის სრულფუნქციანია წარმომადგენელია. ვარდა ამისა. მას მოაქვს სექტაკლის პრობლემებისადმი საკუთარი დამოკიდებულება, საკუთარი გული, საკუთარი სამყარო. აი რატომა შეუძლებელია თეატრში შექმნას უბრალოდ ტიპაჟური გმირი.

კინოში კი ეს შესაძლებელია. ამის შესაძინებაზე მაგალითად იტალიური ნეორეალისტური კინოა. ვაგისენითი გასათვარი სურათი „ველოსიპედის გამტაცებელი“, სადაც ვერ იტყვი თამაზობდნენ, თუ კვრანზე ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც არ იცვენენ მსახიობები. კინოში მანაც მთავარია რეჟისორი, შემდეგ კი მსახიობი. სხვა საქმეა, რომ კინო უმსახიობოდ წარმოუდგენელია. მაგრამ კინოს რევისორს სამონტაჟოში შეუძლია გაუკეთოს მსახიობის როლი, რომელიც მან გადასაბედ მოედანზე ითამაშა და შეუძლია „ყელიც გამოსჭარას“; მაყურებელთა დარბაზში მჯდომას მსახიობმა შეიძლება ვერც კი იცნოს თავისი ჩანაფიქრი და საერთოდ შეიძლება როლი.

კინო — სხვადასხვა დროს გადაღებული სცენების მოზაიკა, სადაც მსახიობმა მოკლე მანძილი გაიარინა ასეთ მოკლე დისტანციებზე სიჩქარის მიღწევა გამოუცდელ მორბენალსაც შეუძლია, თუკი სირბილის წინ მას კარგად შეეახურებთ. რეჟი-

სორი კი ერთადერთი მაყარად განსაზღვრულ გზად კრებს აქ მოკლე ნაგებებს და თქვენ განუწყვეტელი გზის მთავარძლივად გრჩებათ. ამიტომაცაა კინოში მაყარადული მსახიობის ასნა საერთოდ არასახიობი მოკლედნდლად ბრწყინვალედ რომ შესასრულებს ხოლმე როლი. ამამია კინოს განსუსაზღვრელი შესაძლებლობა. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ერთი როლის სასწავლია.

კინოში რევისორს შეუძლია მონტაჟით მუსიკით, რიტმით შეხილოს მსახიობის ნაკლებანება და მომცინავად მოგვაწოდოს მისი ძლიერი ნარაგები. თეატრში ამის გაკეთება შეუძლებელია. მსახიობი მარტო რჩება სცენაზე და მას ვერაფერი ვეღარ უშეუძლია ამიტომაც თეატრი სრდის მსახიობს ყველა საღამოს მისი აქტიურობის სიმძლავრის გამოცედა იმით სთავარდება, რომ მისგან ან გამოიწროება ხელფონია, ანდა იგი ჩამოვა ამ ეკლიანი გზიდან. საღამოს შეიდ საათზე ფარდა იხსნება და მსახიობი მუშაობას იწყებს, როგორაც არ უნდა გრძნობდა თავს. რაც არ უნდა მოხდეს ამ დღეს. ეს კი თეატრის მსახიობისაგან მაყარ დისციპლინას მიითხოვს. იგი მოვალეა და იწყებს კიდევ მუშაობას. მსახიობმა იცის, რომ სექტაკლის გადაღება — უჩვეულო, განსაკუთრებული შემთხვევაა. მაყურებელთა დარბაზში მსხდომ ათასობით მაყურებელს არაფერი ესაქმება მსახიობის გუნება-განწყობილებასთან, მის სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვასთან და საქმე მაყურებლის უტულობა კი არაა, არამედ მისი რწმუნა, რომ თეატრი — დღესასწაულია. ამქვეყნად არცთუ ბევრია ისეთი ადგილი, სადაც ხალხს მხოლოდ სისარულს უძღვინან. ასეთი იშვიათი ადგილი სწორედ თეატრია.

თეატრის მსახიობი გაიკონს ხანგრძლივ სარეჟიციო პერიოდს, სადაც იღლება გმირის ცხოვრება—როლის პირველი წაკითხვიდან მაყურებლის წინაშე სცენაზე გამოსვლამდე. აქ უჩვევა იგი ლიოვგურ აზროვნებას. სცენური სიციცტოს თანამდევრობით მდინარებას. თეატრი ამითაც გზრდის. და, რაც მთავარია, მსახიობი როლზე დამოუკიდებელ მუშაობას უჩვევა. ყველაზე მთავარი, ყველაზე მიზიდველი კი ისაა, რაც სხვანაგ არ არსებობს — უშუალო ურთიერთობა მაყურებელთან.

ერთ დროს გამოჩენილი კინორევისორები და კინომოცდენები დაივიწყებთ ამტკიცებდნენ, რომ თეატრი მოძველებული დარგია ადამიანური შფოქმედების გამოსაკონინებლად და ტელევიზიისა და კინოს განვითარების ეპოქაში იგი იღუპებოდა. თეატრს უნდაერო შესალებლობები აქვს კინოსა და ტელევიზიის უსაზღვრო საშუალებებთან შედარებითო. ეს დასკვნები ცნარე პოლიმიკური დავის დროს კი არ გავკეთებულა, არამედ ციოვ და არგუმენტირებული ფაქტების კონსტატაციის შედეგად. მაგრამ, ჯერჯობით, ჩვენს დროში, ეს ულიმამო პროგნოზი არ მართლებდა, თეატრი ცოცხლობს და არსებობს და არ თმობს თავის კაუთერას. და, რაც ყველაზე საოცარია, ამ უძველეს ტაძარში, სადაც იგივე სცენა, იგივე ფარდა და იგივე დამტვირთი კულისებია, რაც ასი წლის წინ იყო, მაყურებელი მოდის და მიდის, თავს ანებებს ადამიანთა დროის აბეზარ მკვლეს — ტელევიზორსა და კინოთეატრების უთვალავ კვრანებს.

მამ რ არის ამ ურყევობა, ტემნიკით საყოველთაო გაცეცხის ეპოქაში ძველი, საკუთარი „მეს“ შენარჩუნების საიდუმლო? უპირველეს ყოვლისა, ალბათ ის, რომ თეატრი ინახავს თავის მთავარ იარაღს — უშუალო, ამწუთიერ, ცოცხალ ურთიერთობას მსახიობსა და მაყურებელს შორის. თე-



ატრია ის ნამდვილი, ადამიანურად გასაგები, ის ერთადერთი, რასაც არ შეუძლავს ტექნიკის ცივი ხელი, ის რაც სჭირდება ცხოვრების დამღწეული რიტმით მოქანცულ დღევანდელ ადამიანს.

თეატრი — ჩვენს დროში ის ეწვიით თავისუფალია, სადაც ყველაფერი ბუნებრივია, ადამიანურია, ცოცხალია, სადაც არ არის ყურთასმენის წამლები გამამდიერებელი. არ არის გერანის მკვდარი ციმციმი. აქ მოქმედებენ ცოცხალი ადამიანები — მსახიობები, ისინი ბუნებრივი ხმები, არაა შიშისმომგვრელ ზომამდე გადიდებული თვალები, და ადამიანური გნებები, რომელიც დღეს აი აქ, სცენაზე, — მე მათ ვხედავ, მე მათი მესამის, მე ჩვეულებრივ ადამიანთა შორის ვარ.

ადამიანები ბუნებისავე ისწრაფიან ესა თვალაცემის ინსტინქტი. თეატრიც — ბუნებაა, ბუნებრიობა და სანამ ადამიანები ბუნებისავენ, ბუნებრიობისავენ მიისწრაფიან, მანამ იარ-

ცხოვრების უხილავ მხარეებს გაუხსნის, მაშინ თეატრიც ცოცხალია. მაშინ თეატრი საჭიროა, მაშინ თეატრი სასვეფა-მანათნა თეატრი უძლეველია. მაშინ თეატრი ცხოვრებაა და მაშინ თამამად შეიძლება ვიწმუნოთ თეატრის მომავალი, მისი აუცილებლობა ადამიანებისათვის.

მსახიობისათვის კი თეატრი მისი პროფესიის სრულყოფის დაუსრულებელი სკოლაა. თეატრი ამდირებს მსახიობს და როდესაც თეატრის მსახიობი მიდის კინოგადაღებაზე, სადაც უნდა ითამაშოს როლი, რომელიც შემდეგ უცვლელი დარჩება გერანზე და მან აღარ ემოტრირდება, აი, სადაც აუცილებელი თეატრალური მსახიობის მთელი გამოცდილებაა. აი სადა საჭირო მაყურებლის თვალების გახსენება, რათა იცოდეს, ვის უძღვნი შენს ნამოღვაწარს.

შემოქმედების ბუნება თეატრსა და კინოს შიშავს. ამიტომაც ცხადია არა გვაქვს უფლება გავატაროთ რაღაც სადე-



კადრი ფილმიდან „ბრძოლა გზაში“
მ. ულიანოვი — ბავშვი

სებებს თეატრი, არ შეუშინდება არც ტელეხედვას და არც კინოს. რაღა თქმა უნდა, ბრძოლა ბრძოლა და ცხოვრების მხოლოდ ბუნებრივი ასახვით თეატრი ვერ იარსებებს. საჭიროა სიღრმე, ფილოსოფიურად გააზრებული სიანმდვილე, ცხოვრებაზე საკუთარი შეხედულება, საჭიროა ცხოვრებისეულ პრობლემებში თამამი წვდომა. ბევრი რამ სჭირდება თეატრს, რათა გაუძლოს ამ ბრძოლას, რათა გადარჩეს.

მაგრამ მას ყავს რაღაც განმასხვავებელი რაღაც შესანიშნავი, მხოლოდ თეატრში არსებული — მაყურებელი, რომელიც ზის აი აქ, დარბაზში და ისინი ბინი სუნთქვა, ისინი მისი გულის ცემა და მოსჩანს მისი თვალები. მაყურებელი, რომელიც უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებითაა დაკავშირებული მსახიობებთან, რომელიც ხან გვიჩავს თავისი უსულგულო დამოკიდებულებით იმის მიმართ, რაც სცენაზე ხდება, ხან კი გწვავს თავისი მღელვარებით. მაყურებელი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თეატრი, წარმოუდგენელია თეატრის მსახიობი. მაყურებელი საბოლოო მსაკვლეა მსახიობის შრომისა. მაყურებელი ღია გულათა და სრული ნდობით მოდის თეატრში. თუკი თეატრი შესძლებს მისი გულის შეძვრას, თუ

მარკაციო ხაზი თეატრსა და კინემატოგრაფს შორის. ნიკოლოზ ჩერკასოვი ამბობდა: „ჩემთვის თეატრი და კინო ღვიძლი ძმები არიან უფრო მეტიც — ტყულები“. თეორეტიკოსის თვლით რომ ჩავეუკვრდეთ ამ საკითხს, მაშინ, უდავოდ, შეიძლება ლაპარაკი იმ ზოგიერთ ნიუანსზე, თეატრის მსახიობის მუშაობას კინოში მუშაობისაგან რომ განასხვავებს.

ჩემთვის. თუ გნებავთ, თეატრია უფრო ახლოებული ოსტატობის დაგროვება, როლის თამაში როგორც განუწყვეტელი მოქმედება, როგორც მოძრაობა ადამიანის სულისა, სანის გადრავება და მისი გამდირება შეიძლება მხოლოდ სცენაზე.

კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. თეატრის თითქმის ყოველი მსახიობი კინოში გადაღებისაკენ ისწრაფვის. ცდუნება დიდია. თეატრალური მსახიობის ხელოვნებას ათასობით ადამიანი ნახულობს. კინოაქტიორს და მის როლს — მილიონები. მილიონობით მაყურებლის სიყვარული — ეს სიხარული და სიამაყვა კინოსმსახიობისათვის: გასაგებია, რომ თეატრის მსახიობი ვერ გაეკვირება კინოსმსახიობს პოპულარობით, სამაგიეროდ თეატრის მსახიობს უფრო მჭიდროდ დამოკიდებულება აქვს მაყურებელთან. როგორადაც არ უნდა განსხვავდები-

დეს კინოსა და თეატრის მსახიობის შემოაბის პირობები, რა განსხვავდება არ უნდა იყოს ევროპისა და სტენის მოთხოვნები შორის, სამსახიობო შემოქმედების კონიუნქტები უცვლელი რჩება.

აი, ყუერტი ფილმ „ვატერლოოს“, რომელიც ომის უაზრობასა და სისასტიკეზე მოგვითხრობს. ამ ფილმში ყველაფერი გრანდიოზულია: ათასობით ზარბაზანი, ასობით ცენზოსანი თუ ქვეითი მებრძოლი, ვაჟების თვალუწყვედენელი გრძელები, ბრძოლების თვალუწყვეტელი კვამლი. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დივის გონებატუტრით არ ვერგებდა დარჩა, რომელმაც არ აგულევათ, არ შეცხრათ. ფილმის მთავარი აღმოჩენაა დაქანცული და სხეული ადამიანი (ასეთ ნაპოლეონს თამაშობდა შესანიშნავი მსახიობი როდ სტივიერი) — ნახევარი მსოფლიოს ყოფილი მმრძანებელი, ახლა კი დამარცხებული მხედარიმთავარი. მისი დალოილობა და ტკივილი, განადგობა, ცხოვრებისადმი მიხე გულგრილობა ათასჯერ მეტს ამბობდა ომის უაზრობას, ვიდრე მრავალრიცხოვანი ოსტატურად გადაღებული ბატალური სცენები.

ახლახან წყვილით გასაოცარი გამონათქვამი ცნობილი ფრანგი კომიკოსის ლუი დე ფივენსისა, რომელსაც თითქოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონოდა აკადრთან, მის პრობლემებთან — იგი ცნობილია, როგორც ერთი ნიღბის მსახიობი. არსებითად იგი ერთი როლის მსახიობია, ყოველ ფილმში რომ მორღებდა ყველაფერა ვასაგებია, ყველაფერი ათასჯერა ნათამაშები, შემოქმედებული, ტრიუკები დახვეწილია, სასაიათი ზედმიწევნით ცნობილია; და უცერად კითხვობა: „მსახიობი, პიანისტის მსგავსად, უნდა თამაშობდეს ყოველ დღე თეატრი — ჩვენი გამებია, მაცურებელი — ენერჯის სულები წყარო, რომლის უშუალო კონტაქტის გარეშე სუსტდება, შესაძლოა საერთოდ დაშორების მსახიობის შემოქმედებითი პოტენციალი. სცენაზე მე ეიმუტები“. ყველა თეატრალური მსახიობის ღრმა რწმენით, ნამდვილი შემოქმედებით ცხოვრება წარმოდგენილია უთეატროდ, უსცენოდ, უმაცურებლოდ. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ახლა უკვე ძნელი წარმოსადგენია მსახიობის ცხოვრება კინოს გარეშე. განსაკუთრებით მისი, ვინც ერთხელ მაინც განიცადა ეს საოცარი შეგრძობა მსახიობობა, კინოთეატრის მაცურებელთა დარბაზში რომ ზის და მორადან შესცქერის თავის ნამუშევარს, ხედავს კინოს დიდ შესაძლებლობას, მის გატანებას ათი, ოცი, ორმოცდაათი მილიონი მაცურებელი საესე თვალუწყვედა და გასაოცარ დარბაზს. წარმოიდგინეთ ასეთი მაცურებელთა დარბაზი! მაშინ მიხვდებით, რომ მსახიობი, რომელმაც ერთხელ განიცადა ეს შეგრძობა, მას ვეღარ დაივიწყებს.

ყოველგვანან თავიდან არ შემოვიტყნა პირველი სურათი. („სინი პირველები იყვნენ“) შემდეგ თავში რაღაც ქაოხი დამრჩა.

იური პავლევი. ძე ვეგოროვი იყო პირველი რეჟისორი, რომელმაც კინოს საწყაროში შევიყვანა და კინემატოგრაფიის სასწაული გაოცების საშუალება მომცა. მან შემოთავაზა გადაღება მის შემდგომ სურათებში „მოხალისენი“, „უბრალო ამბავი“. მასთან გავიარე კინოსამახიობის მუშაობის ანბანი, საყვლად მის განიხილეს. ისეთმა სურათებმა კი, როგორებიცაა „ეკატერინე ვორონინა“, „ბალტიის ზეცა“, „სახლი, რომელიც ეცოცარბო“ დაწყებითი გამოცდილება შექმინეს და გადასაღებ მოვლანზე მსახიობის მუშაობის ჩვევა ვამოცინუშავეს.

ჩემი პირველი როლი, სადაც ნამდვილად შევეგრძენი კი-

ნოს ძალის უდიდესი შემოქმედება, იყო ბასირევი სურათში „ბრძოლა გზაში“. ამ სურათის შექმნის ისტორია რაწმენდაზე მე დრამატულია. გადაღება ერთმა რეჟისორმა დაიწყო, მაგრამ მუშაობა შეჩერებულ იქნა და ცოტაანა შემდეგ სურათზე მუშაობა თავიდან სხვა რეჟისორმა — ვლადიმერ პავლევი ძე ბასოვმა განაგრძო. როდესაც ბასირევის როლი შემოთავაზეს, როგორ უნდა უნდად არ უნდა გვეყვითნო, თავიდან კატეორიული უარი ვთქვი. საქმე ისაა, რომ გალინა ნიკოლაევამ შექმნა არა მარტო სანტენტული და მართალი საწარმოო კონფლიქტი, არამედ შემოგვთავაზა მწვევე ფორმაში დაგვეყვინებინა სილარის საციოები არა მარტო ქარხანაში, რომელსაც ლაპარაკია რომანში, არამედ აგველო იმ წლების ქვეყნის ცხოვრება მთლიანად. საქმეში პასუხისმგებლობა, პატივისცემა ის საციოები, პრინციპულობა საქმით და არა სიტყვით, გამბედაობა სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტისას, რომანში აღებურდ, დაგებულად და ნიჭიერად გაიშალა. ამიტომ გინათა ხასიათი უტყუარი ცხოვრებისეულობითა და სინტეტრითა იყო ასახული. რომანის მთავარი ფიგურა — ინგიხური დიმიტრი ბახარევი ისე ახლებურად და ზუსტად იყო დახატული, ისე ჩრდილვალურად და რაუტად, რომ მიტოვებულს ეს სასე იალზე გარკვეულად და კონკრეტულად ამას-სიტყვლებშიც ეს იყო ზრბანა, თითქოს ზოზნა, მაგრამ ტანის-მაგარი მიზნის მიღწევამ, უდრევი და დამაჯერებელი ადამიანი. მას ქარხანაში შეტახულად „მეკემოთი“ შეარქვეს, მისი ზღაპრებისა და უგერკობის გამო, არაფრით არ ვგავიერ მას.

კლასიკისა და პოპულარული თანამედროვე წარწარმოების ევრინოზილის პრობლემას, ათასი სხვა პრობლემის გარდა, აქვს მთავარი სირთულე — დაჯგორო მაცურებელი, გუმონდელი მკითხველი, რომ მან კარნაში, მიტა კარნაზოვი, პიერ ბუზუხოვი, ნატაშა როსტოვა სწორედ ასეთები არიან, როგორებიცაა გვრანზე ხედვები და არა ისეთები, როგორებიც წარმოედინათ რომანის წაკითხვისას ეს დამაჯერებლობა ყოველივს არ გამოცდილს მსახიობს.

ვიცილი ამ წიგნის („ბრძოლა გზაში“) უდიდესი პოპულარობა და ვეღადი რომ ჩემი აქტიურული მონაცემები შეუფერებელი იყო ბასირევის სახისთვის. ამიტომაც უარი ვთქვი. მაგრამ ასეთი წინადადება ძილს უფროხობს ადამიანს. ისევე გადავიცილხე რომანი და ვიფიქრე, რომ ბასირევი მთავარი მაინც მანერა და გარეგნობა კი არ არის, არამედ მისი შინაგანი სამართალი, მისი მსოფლმხედველობა, მოქალაქეობრივი პოზიცია. თუკი ამ თვისებებს საკმარე ნათლად და მწერლის ჩანაფიქრის შესატყვისად გადმოვიცემ, მაშინ მაცურებელი მწვევე მოქალაქეობრივი პრობლემებითა და მათი გადაწყვეტილის მოიხილეთა და იქნებ, ვაიძულო კიდევ უნდოს ჩემ ბასირევის, ირწმუნის გიმრის არსებობის უფლება ვკარნაზე. რა უეყოთ, თუ გარეგნულად არა გავს წიგნისეულ ბასირევს, სამაგიეროდ ზუსტად გადმოსცემს მის შინაგან სამყაროს, მის დაძაბულ ბრძოლას, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის მტკიცე გადაწყვეტილებას. როდესაც კიდევ დამირეკეს და შემოთავაზეს მაინც მეცადა ბასირევის როლი, უარი ვეღარ ვთქვი. თავად დადიყოლი საკუთარი თავი, რომ მაქვს ჩემი გადაწყვეტა როლისა, მთავარია, გამომივიღეს-მეთუ. სიხვემბა კარგად ნაიარა და გადაღებაც დაიწყო.

მინდა მოგიხროთ ჩემს გულში დარჩენილ კეთილ ვკალზე, რადგან მხოლოდ ამ კეთილი ადამიანური დამოკიდებულების

წყალობით შექმნილ ბახირევის როლის თამაში. იმ წლებში ვახტანგის თავტრის დირექტორად მუშაობდა თეოდორ პომენის ძე ბონდარენკო, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენებეს იყო თავტრის, მსახიობის ფაქოლოგიის იშვიათი მცოდნე ადამიანი და ნამდვილი ინტელიგენტი: იგი ჩვენს თავტრის თეატრალურ სამყაროსთან დაკავშირებული დიდი ცხოვრებისეული გზის შემდეგ მოვიდა. საკამარის ვთქვამთ, რომ ერთ დროს დიდი თავტრის დირექტორი იყო. ბონდარენკო ჭეშმარიტი დირექტორი გახლდათ, ეს კი თავტრის როულ სამყაროში უშინდესი საქმეა. აუ ვერ ავირევე პრინციპულის სიკეთეს, მოწინდ ქუვას სინდისობაში, ნებისყოფას ახირებულობაში, სარემპრტურო პოლიტიკას საჭირო თემისადმი მიდევნებაში. მსახიობებთან ურთიერთობა ეს მოელო მეცნიერება, სადაც უნდა გამოიჩინო სინდისიერება მსახიობის შრომის შეფასებაშიც და გათავალისწინო მისი შემდგომი შერქმედებითი გზა, მხედველობაში მიიღო მრავალი ინტერესი, არ დამოკირბადი საკუთარ გემოვნებას, არ ჩათვალო ის ერთადერთი ჭეშმარიტებად. დირექტორის უნდა ესმოდეს მსახიობისა, იცოდეს მისი ადგილი თეატრებში, უნდა უყვარდეს მსახიობი, შეიგნოს, რომ თეატრში მთავარი ის კი არ არის, ვინც საქმეტაღს იბარებს, არამედ ის, ვინც მას ქმნის. დირექტორის თანამედრობა როულია, იგი გონებაბაზვილი კაცი უნდა იყოს. იშვიათად შეხვდებით ისეთ დირექტორს, რომლის სახაიაშიც პრინციპულობა სიყვარულთან იყოს შერწყმული. იშვიათია, მაგრამ მაინც ასეთებინ ისეთი დირექტორები. ფ. ჰ. ბონდარენკო სწორედ ასეთი ხელმძღვანელი გახლდათ. მხარებუიანი ვაუკაცი, რომელსაც პირში მუდამ სიკარტიანი მუნდშტუცი ჰქონდა გაბრლილი; მოქმედი, ცოტათი მეგახე და შეუსაძამი ყოველთვის გარკვეული, მოქმედი და ეშმაკი, თუ ეს საჭირო იყო, და რაც მთავარია; კეთილმოსურენი. მრავალი წელი გაკავდა მისი საკვილის შემდეგ, მაგრამ ენაწარე და განაწუნებელი მსახიობებიც კი, ყველაზე უკლებლივ, ხშირად ისხებენ კეთილი სიტყვის თავტრის მცოდნე ამ შესანიშნავ და პრინციპულ, ჭკვიან ადამიანს... მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი, რომელსაც ჩემს შემოქმედებით ბედ-იღბალში დიდი როლი ითამაშა.

საქმე ისაა, რომ ფ. ჰ. ბონდარენკო ვახტანგის თეატრამდე, მისი ძირითადი სამუშაოს გარდა, რეჟისორობდა კიდევ დიდი ყოფიანის შემდეგ ვადწივრება ვახტანგის თეატრშიაც გაუკეთა, არსულ ტყეს და სამხატვრო საბჭოს წარუდგინა. მისი წინადადება დააკმაყოფილეს და ისიც შეუდგა მუშაობას. როლებს განაწილებას მე დანიშნა ვიზიოვის მთავარ როლზე. ამავე დროს ბახირევის როლზედაც ვიყავი დატკიცებული. საინტერესო სამუშაო იყო, როდეს კი ღრმა და მწვავე ჩვენც გატაკებით ვმუშაობდით. მაგრამ თეატრი თეატრია. თეატრის მსახიობები რეპერტუარიდან თავისუფლდნის მონაწილეობდენ კინოში, ესე იგი უშუაღვ თეატრში მუშაობას და კინოს თეატრისაკან თავისუფლად დროს უშობდენ. მაგრამ ხშირად შეუძლებელი ხდება ამ ორი სამუშაოს შეთავსება. ასე რომ, ბახირევიან გამართულად მდგომარეობა. „არა, არ გამოიშვებს თეოდორ პომენის ძე, ისიც თეატრში მისი პირველი რეჟისორული სამუშაოდან...“ ფიქრობდით, რადგან ვაგვიმართო მისი კაბინეტისაკენ ამ მიძივე საუბრისათვის. მან მომისმინა, დაღლილმა შემომხედა და მთხრობა: „რას იზამ, მე მესმის შენი, ალბათ, კინოში ასეთი სამუშაოს ხელიდან გამე-

ვება არა დირს“. ყველა რეჟისორი ასე არ მოიქცეოდა, ისიც ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოს წინ, როგორცაა პირველი თეატრალური დადება კინოთათ თვისება და დანიშნის დიდი კეთილმოსურნიებაზე მეტყველებს. ეს უაქტი, შესაძლოა, თეატრისათვის სტუდიურა და სხვებისთვის პერსონის მოქმელობა. მაგრამ მსახიობის ცხოვრება ხომ წამებისაკენ უდებება, შემოქმედებით ცხოვრებას რომ შეადგენს. შესაძლოა, იყოს სხვაიც, მაგრამ ეს წამი უკვე აღარ განმორდება. იქნება სწორედ ამ წამში იყო ჩაქსოვილი მსახიობის ჯერ გამოუვლენელი უნარი?

თეატრალურ ადამიანს შესანიშნავად ესმოდა მსახიობის პროფესიის მუხანათობა და შემოქმედებით ვარემოებათა დამთხვევის განუწერებლობა, მან დაწყების სასარგებლოდ ვადწივრება არასოდეს დამავაწყდება მის მოუღე საუბარი, რის შემდეგაც გამოვფიქრე არა იმდენად გახარებული, რამდენადც ვაიცხებელი მსახიობის ბედისადმი ასეთი მართებული მიდგომა.

დაიწყო სურათის „ბრძოლა გზაში“ გადაღებები. ფილმის რეჟისორმა ვლადიმერ პავლეს ძე ბასოვმა შესანიშნავად იცოდა ეს თავსატეხი და ძნელადვასაგები საქმე — კინოწარმოება. სურათის გადაღებისას მან შექმნა ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო. მასთან მუშაობა სასიამოვნო იყო. მიზნის ზუსტი ცოდნა, ადამიანური და შემოქმედებითი ტაქტი, რეპტიცივებზე მას შეეძლო მსახიობისათვის საკუთარი ძალისხმეის რწმუნის ჩანერგვა. უბრალო, ნაწილად აშხანაგური დამოუკიდებლობა, მუშაობის დროს რომ დამყარდა ჩვენს შორის, დამტხმარა ამ სურათის გადაღების დროს.

თავიდან როლი გამიმინდა... საკუთარი თავის არ მყეროდა, მირცხვნივდა, რომ ვკნის არ ვგავდი. პირველად ვვადლობდი მალაღ მხარბეკიან ადამიანად მოქმენენინა თავი. ამისათვის სქელდანიანი ფენსაცემებით დავიბოდი. მეცვა ფარგვამა ჰოაკი, ამად პირში გაბრლიო ჩიხობით თავს ვიწრობდით, რათა მით მაინც დავმეგავსებოდირ წიგნისეულ, ეშმაკაც წაილოს, იმ ცნობილ ბახირევს. არასრულფასოვნების ეს შეგრძნება დიდხანს გამეგვა, სანამ ბასოვმ არ დამარწმუნა, უპირველეს ყოვლისა მთავარია ამ არაწმენდობრივი ადამიანის შინაგანი ცხოვრების სიმართლე, აი ამ არამსგავსების უფრო უნდა ვეშინოდეს. გადაღებულ მასალაში დავინახე რალაც წინსვლა უკეთესობისაკენ და თანდათან შექმენა რწმენა ამ გზის სიმართლესა. საჭკვია, რომ ეს ჩემს შემოქმედებით წარმატებად ჩათვალოს. სწორი ექნება, თუ ვიტყვი, რომ ბახირევის მთავარი თვისება გადმოცემა შეუძელი. ფილმის „ბრძოლა გზაში“ დიდი წარმატება განაპირობა იმ საჭირობით რომ ბოლომდე, რომელიც ასე მწვავედ, ასე ამაღლებებულად, ასე ნიჭირად აჩვენა თავის წიგნში გალინა ნიკოლაევამ და რომელიც ცვრანიზაციაშიც ვლადი. ვ. ჰ. ბასოვი თავის ფილმში ისწარფოდა ნაწარმოების ძირითადი აქრის გადმოცემა — პარტიკულ და მოქალაქობრივი პასუხისმგებლობა საქმისადმი, რომელსაც შენ ემსახურები.

ყოველი ჩვენთავანი პატონად უნდა აკეთებდეს თავის საქმეს... ხშირად იმპორება ბახირევი. ჩვენც ვცდილობდით ეს სიტყვები ვაგვიხადა ჩვენი როლის და მთელი სურათის ლეტიმოტივად. სურათმა მყურებელში ფართო გამოპახილი ჰპოვა იმიტომ, რომ იმ წლებში, მართლაც, პირველად გაისმა ცვრანიდან მგზნებარე, ამაღლებული სიტყვები იმის შესახებ, რაც ხელს გვიშლიდა ცხოვრებაში, რასაც ბახი-



რემა ბრძოლა გამოუცხადა. მოიწვევებითაა, თვალის ახვევა, შემეხვედლობა, სურვილი შეინარჩუნო მოიწვევებითი კეთილდღეობა, არ იზრუნო საკმის არსზე, მხოლოდ დღევანდელი დღის წარმატებაზე ფიქრი, გაბერილი არცინტენტი და მრავალი სხვა პრობლემა, რომელსაც ხვდებოდა ბასიერე ქაზანანში და რასაც შურირაგებელი ბრძოლა გამოუცხადა, წარმოადგენდა მიუღი ფაშის ღერძს. ამ აშკარა ბრძოლაში აიძულა მაყურებელი ერწმუნა ქვეშაირიტება და სიმართლე იმისა, რაც ცერანზე ხდებოდა.

სხვაშობილ სხვადასხვა მხატვრული დონის ფილმებსა და სპექტაკლებში. ზოგიერთი ჩემი გინებების წინაშე მოიწვევებითი სინდრელები იდგა, როგის კი — ნამდვილი ცხოვრებისეული. იქ, სადაც დაბრკოლება ნამდვილი იყო, უკეთესი სახე გამოიძლია და ისიც უმალ იკვლევდა გზას მაყურებელთა გულდასაკენ. ადამიანის ღირსება ჩქადუნდება ძნელ ბრძოლებში და მხოლოდ ბრძოლაში, სადაც, გინდაც ვერ გაიმარჯვოს, მაინც ადამიანად რჩება, — აი ერთადერთი გზა ზემოქმედებისა და თუ გნებავთ, მაყურებლის აღზრდისა, თუკი ვილაპარაკებთ ადამიანების ხელთაგანით აღზრდაზე.

აღზრდაზე ლაპარაკი — ნიშნავს ფიქრზე ლაპარაკს, რომელსაც იწყებს ნაწარმოები მაყურებელში, — ფიქრს ცხოვრებაზე, საზოგადოების ზნეობრივ პრობლემაზე, სასოგადოებრივ ამოცანებზე, მსოფლმხედველობაზე, რომელიც ამდიდრებს ადამიანს, რომელიც მას გინიერს, ღრმას ხდის. სწორედ ამ ფიქრითაა ზრდილი ადამიანი-ხელოვნების მოქმედება უსათუოდ უნდა იყოს ემოციური, გაღამდები, მგზნებარე. თუკი ის გადელვებს, ავადგინაქებს, შეგრძავს, ე. ი. იგი მოქმედებს მაყურებელზე, რაც აღზრდასაც ნიშნავს. თუკი მაყურებელი თავად მხერვლად მიხაწილავა იმისა, რაც სცნაზე ხდება, თუკირის მიხაწი მიღწეულია, თუკიტრმა მიადწივა ნაწარმოების ძირითად აზრს და გადასდო იგი მაყურებელს. მაყურებელს ზრდის არა თავისივედ ნაწარმოებით, არამედ გინიერებით, რომელსაც ის იწყებს. ლაპარაკი გმირისადმი წამბამელობაზე, რა მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი, ჩემი აზრით, არ არის სწორი. უჭობი თამაშის დროს ბიჭები ბაძავენ „ჩაბავეს“, კოსმონავტებს, მაგრამ უფროსები, რომელთაც აქვთ გამოცდილება, რომელთაც მრავალი მხრიდან უნახავთ ცხოვრება, სატკეპა, რომ ბაძველები მიმამაძველები იყვნენ. ეს ხომ სასაცილოა. ამა თუ იმ ნაწარმოებით გამოწვეული აზრი, მოქალაქეობრივი სიმწვევი, მღელვარება მოქმედებს მაყურებელზე, ცვლის, წარმართავს მას.

გალანა ნიკოლაევი თავები წიგნი ისე ძლიერად დამუხტა გულახილი და მწვევა აზრებით ხალხის ბედ-იღბალზე, ადამიანთა სულიერ ფახეულობაზე, ცხოვრების დრამატულ მოვლენებზე, რომ მრავალპლანობიანი რომანის ეკრანიზაციის დროს, ზოგიერთი გარდაუვალი დანაკარგის მიუხედავად, ფილმი მრავალმართიანი მაყურებლის ვულგუს მოყვდა.

რამდენ მხატვარსაც უნდა გაეცნო, ყოველთვის გაოცებს ერთი უცვლელი მოვლენა: რაც უფრო ღღია მხატვარი, იმდენად ღრმა და მდიდარია მისი შინაგანი სამყარო. ამასთანავე არ უნდა აფერისო ადამიანის ხასიათი მის შინაგან ცხოვრებასთან. შეუძლებელია და არც უნდა ველოდეთ მხატვრისაგან ანგელისისმგვარ ცხოვრებას — ეს ზღაპარია. იგი შეიძლება საზოგადოებაში მშრალიც იყოს, მოუხერხებელი ანდა კეთილი და რბილი — ეს არაფერზე არ მეტყველებს. მთავარია მხოლოდ მისი გულდობა სასიცოცხლო პრობლე-

მებთან შეხვედრისას. არა ყური, არამედ გული უნდა გინაწიწოდეს — აი რა განსაზღვრავს, ჩემი აზრით, მხატვრის ასეთი მხატვარი იყო ე. ნიკოლაევი.

იგი გავიცანი გადაღებული მასალის პირველ გასინჯვაზე ძალიან ველვადები, რადგან გაციონილი გვერდის მისი პირუენვლობა, სიმყარე და სიმტკიცე შეფასებისა. ბნელი დარბაზიდან რეჟისორის დიდ ნათელ შთაბეჭდილად. მაგიდას უკდა ჩასუქებული დაბალი ტანის ქალი, რომლის ქუდიდან ჩაწოხილი საკმაოდ სქელი პირბადე თვალბამდ წვდებოდა. იგი მშვიდად და დაკვირვებით გვიცქერდა. არ ჩქარობდა ჩვენს განხილვებს თუ შექებას. რაღაც მრბანებელი იყო ამ ქალში. როდესაც დაიწყო ლაპარაკი, დაერწმუნდი ჩემს წინაპირობბობაში. იგი დეტალურად და საქმიანად არჩევდა აზრობას ნახას მასალა, ცდილობდა ყოფილიყო ზუსტი შეფასებაში. მან პატიონსად და პირდაპირ გითხრა, რაც არ მოეწონა, და ასევე დარწმუნებით დაეთანხმა იმას, რაც შესატყვისებოდა წიგნის სულისკვთვებაში.

მომხერდა პირდაპირ თვალგნეში, თითქო გვაფასებდა მე და ჩემს რეაქციას მის სიტყვებზე და მოთხრა: „ცოტათი ავლელი, როდესაც გავიგე ბაზირევი თქვენ რომ უნდა გეთამაშობო. გეცყიეთ პირდაპირ, ვერ წარმომდგინა იგი ასეთი, როგორც ითქვენ განზრბაქეთ. ეს მთლად ის არ არის, რასაც მე ვეუდავდი. მაგრამ ვლბულობ გმირის თქვენებურ გააზრებას და გიურებთ არ გადაუხვითთ ამ გზიდან“. მტკი არავითარი გამამხნეველები ანდა კეთილი სიტყვა, რომლითაც ჩვეულებრივ მხარს უჭერენ მსახიობს. შემდგომშიც იგი ყოველთვის პირუენვლი იყო შეფასებისა და იურადლებიანი ყოველი ჩვენთაგანის ნამუშევრის მიმართ.

„ყოველმა ჩვენთაგანმა პატიონსად უნდა გააკეთოს თავისი საქმე“, — ეს სიტყვები შეეკლო თავის დღეიხად გამოცეხებინა ამ ნიჭიერ ქალს, რომელიც ვაჭაცურად, გაბედულად უტყუროდა ცხოვრებას და მია როულ მოვლენებს. ცხოვრების გზაზე მოვლ დროით შეხვედი ამ შესანიშნავ მხატვარს და ადამიანს, მაგრამ შეხსიერებას ნათლად და ზუსტად შემოინახა ბედის მიერ ნაბიჭები ეს შეხვედრა. ასეთი შეხვედრები შენი ცხოვრება მდიდრდება და ღრმავედება და შემც რაღაც ნამდვილს ეტარები.

ცხოვრებამ მაქუქა ბედნაური შეხვედრებიც და როულაც, მიმივე. ცხოვრება ცხოვრებაა. სცნაზედაც და ეკრანზედაც მიხიბდება შეჯახება სინამდვილესთან და ცხოვრებისეულთან, ცუდად მოფიქრებულთანაც და სიყალბესთანაც. ამასთანავე ცხოვრებაში შეგიძლია შენთვის არასასიამოვნო ადამიანს გაცეცლო. ბოლოს და ბოლოს აღარ შეხვედი, თუკი შესაძლებელია, სრულიად გაწყვიტო დამოკიდებულება, უკიდურეს შემთხვევაში — მოურიოდ მასთან შეხვედრას. სცნაზე არა გაეცე არჩევანის უფლება და იძულებული ხერ იცხოვრო იმ ხასიათში, მიუხედავად იმისა, მოგწონს თუ არა იგი. მსახიობის ცხოვრების დღერი — როლა. როვიარი და რადენი როლი შეგისრულებია, ასე თუ ისე, ამისაგან შედგება შენი ცხოვრება. და არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ მთელი შენი ცხოვრება, რადგან მსახიობი სამუშაოს გარეშე, როლის გარეშე ნსცხვრად ცხოვრობს. და როგორც სასიცოცხლო შეხვედრისა რაღაც ზოებით განსაზღვრავს ადამიანს, მის გზას, ასევე როლიც რომელსაც ხვდები თეატრალურ გზაზე, განსაზღვრავს, ხან კი ცვლის კიდევ მთელ აქტიორულ ბედ-იღბალს...

როცა ვინმე, ან რომელიმე რედაქცია მთხოვს ხოლმე მოგონებას ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ეოლვაწუთა გამო, მოგონებას იმ ადამიანებზე, რომელთანაც მე საქმე და მეგობრობა ათეული წლების მანძილზე მაკავშირებდა, მე, ჯერჯერობით პასუხი ყველას მიმართ ერთნაირად სტანდარტული გამომიდის: — ვრცელ მოგონებებს ოდესმე, შემდეგ დავწერ, ახლა მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული ჩანაწერი, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა.

შემდეგ ოდესმე...

ნათო ვაჩნაძეზედაც ამჟამად მხოლოდ ორიოდ სიტყვა, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული მოგონება:

ამ ნახევარი საუკუნის წინ, როცა მე ცხოვრებაში ფეხი შემოვდგი, ჩვენი ხელოვნებაში ყველაზე მეტად ნათო ვაჩნაძის სახელი ქუსლდა. კინემატოგრაფია ჩვენში ჯერ კიდევ ახალი ხელოვნება იყო და მისგან თავებრუნებულნი მაყურებელი ყოველ ახალ სურათს რამდენიმეჯერ უცქერდა, ხან ერთ, ხან მეორე კინოფილმში. ნათო ვაჩნაძე თითქმის ყველა მაშინდელ სურათში თამაშობდა და ამგვარად მისი პოპულარობა სწორედ რომ უსაზღვრო იყო. ჩვენ კი, უკვე მონიტორულმა ახალგაზრდობამ ხომ მისი არა მარტო ეკრანზე შესრულებული როლების, არამედ პირადი ცხოვრების ყოველი დეტალიც კი ზეპირად ვიცოდით. მასხოსს, შემდეგ ნატოს რომ იმ დეტალებზე ჩამოვუდებდი ლაპარაკს, სიცილით კვდებოდა, ვერ გაეგო, ვისგან იყო მოგონილი ბეჭერი ამ „დეტალთაგანი“.

მსახიობთა კადრების მომზადების საქმეში ქართულ კინემატოგრაფიას დიდი შრომა და ჯაფა, რამდენადაც მასხოსს, არ დასჭირვებია, აქ მას ექსპერიმენტის გზა თითქოს არც კი გაუვლია. მე პირადად ამას, კინოეკრანის მსახიობთა კადრების ამ სიუხვეს, ჩვენი კინოხელოვნების განვითარების პირველსავე წლებში, ქართველი კაცის არტისტულ ბუნებას მივაწერ. დღესაც ხომ დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენი კინოხელოვნების პირველი წლების შედეგები: „ვინ არის დამნაშავე?“, „სამი სიციცხლე“, „ორი მონადირე“, „მამის მეცხელი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, შემდეგ კი „ელისო“, რომელმაც ასე დიდი გავლენა მოახდინა მთელი საბჭოთა კინოს შემდგომი განვითარების საქმეზე. ხომ დიდებულად ასრულებს თავის როლს, დიდებულად ანსახიერებს გამოცდილ რეჟისორთა ჩანაფიქრს ბეჭერი, პირდაპირ ცხოვრებიდან მოსული ახალბედა მსახიობი.

ნათო ვაჩნაძის „ადმონიაც“ ჩვენი კინოხე-

მცირე რამ მოგონება ნატო ვაჩნაძეზე

ირაკლი აბაშიძე

ლოვნების ისტორიაში მსმსახიობო კადრებით უზრუნველყოფის ერთი ასეთი მაგალითია.

ნათო ვაჩნაძე კინოხელოვნებაში ფეხის შედგმისთანავე „კინოვარსკვლავი“ გახდა.

მე არ მასხოსს როდის გავიცანი პირადად ნათო ვაჩნაძე; ყოველ შემთხვევაში, უსათუოდ ოცდაათიან წლებში და არა მანამდე. ნათო უკვე ნიკოლოზ შენგელიას მეუღლე იყო. უკვე პოეტების წრეში იყო შემოჭრილი და უკვე პოეტები ეხვივნენ მის გარშემო. ნიკოლოზ შენგელიას კი, თვითონ პოეტს, სიკვდილამდე დიდი მეგობრობა ჰქონდა სიტყვის ოსტატებთან, მგონი, უ-



რო მჭიდრო მეგობრობა, ვიდრე ჩვენი ხელოვნების სხვა მოღვაწეებთან.

ნათო ვაჩნაძე უსათუოდ რომელიმე პოეტის ოჯახში გავიცანი, ჩვენი რომელიმე გამოჩენილი პოეტის სახლში, მაშინ მე ახალგაზრდა პოეტმა. ნათო ვაჩნაძის პოეტებთან ახლომეგობრობას ნინო ტაბიძეც, ნათოს უახლოესი ნათესავიც, უწყობდა ხელს. ულამაზესი სანახავი იყო ნათოსა და ნინოს ცეკვა. ამ ორი ემხიანი კახელი ქალის ჩაგრული, ვაჟაკური „ქისტური“. ჩემი

თვლიდან არასდროს ამოვა ეს ცეკვა: აგრეთვე არასოდეს ამოვა ჩემი ყურიდან ქართული სიმბოლიზმის თეორეტიკოსის, უზარმაზარი აგებულების ვაჟაკის ალი არსენიშვილის შეძახილი, რომლითაც იგი ნათოსა და ნინოს საცეკვაოდ იწვევდა: — „ქალი დავინახე, თვალში შემანათა, ვინ არის ეს ქალი — ვაჩნაძეა ნატა...“ ალი არსენიშვილმა მხოლოდ ეს სიმღერა იცოდა, სხვა მეტი არაფერი, ისევე როგორც პაოლო იაშვილმა: „ლექებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათა-

ეს სავედური არ იყო საფუძვლად მოკლებული. უკვე არსებობდა „სრულიად ცხენისა არმა“ და „სოციალისტური ტრაგედია“ ვს. ვიწვესკისა ნ. პოგოდინის „ტემში“, შაიკოვსკის „ხაღაღენიჭო“ და „ახანი“ ნ. პოგოდინის „ჩემი მეგობარი“, ი. ოლუჰსკის „გრძობილია შეთქმულება“. აქ არ ვახსენებულ იმ პიესებს, რომლებიც დრამატურგიის მეორე ნაკვეთს ე. წ. ფსიქოლოგიურ-რეალისტურ დრამას ვაყვებოდნენ, არ ვახსენებულ აფინოგენოვის, კირიშინის, ფაიკოს, მიკიტენკის პიესებს, რადგან მათი უარყოფა ს. ამხეტელის მხრივ საკვებით ბუნებრივია, განსხვავებულ სეთიტიკურ საოპიკად დღობის გამო. იგი ეძნება ახალ პერიოდულ დრამას „მარგამ იგი დღედელ ვერსად ვერ გვიკოვია“. მუებნებოდნენ, არის ნაწარმოებებში და მითითდნენ „ჩემს მეგობარზე“ „ინტერესიციაზე“, „ეგორ ბულიოვიჩზე“ და სხვ. მითითდნენ, რომ არის „სასამართლო“ კირიშინის...

უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენი თეატრისათვის ისევე ცრტა სხვაინადე უნდა დაიწეროს. ჩვენი გვერდებდა ცრტა სხვაინადე დრამატურგია. მე თუ ახე ვაგებ თეატრს, პერის თეორია გამოიძიო... მე ეს თეორია არ შემიძის.¹⁵

რასაკერაეღობა, ცდებოდა ამხეტელი, როცა ე. წ. „პერის თეორიის“ რეალისტურს ხელავდა ნ. პოგოდინის და მ. გორკის პიესებში, რომელნიც თავისი მასშტაბითა და კონსტრუქციით სწორად ამ თეორიას უპირისპირდებოდნენ და უფრო ახლოს იყვნენ

რუსთაველის თეატრის შემოქმედული თავისებურებასთან, ვიდრე თხოვდა. კირიშინის, იანოვისკის თუ სლავინსკის პიესები. სხვაინადე ვა მიმართულებას და ესთეტიკური მრწამსის დრამატურგების მიერ აღრევა მოთხოვბებს გაუგებარია ს. ამხეტელისად ამიტომაც, რომ სწორად მშ. იანი წლებში დასაწყისში თვალსაზრისად გამოიკვეთა ს.პ. ქრთა დრამატურგიის ორი, განსხვავებული ტენდენცია. აი, რას წესს ამის თაობაზე ე. წ. რედნიცი:

«Так возникли в начале 30-х годов две противоположные системы советской драмы. Каждая из них претендовала на монополию в театре.

В первом случае (Афиногенов, Киршин, Файко, Микитенко) мыслялся драма психологическая, проникающая в душу человека, стремящаяся из его поведения извлечь философский смысл, камерная по форме («психологическая», как тогда говорили), разделенная на традиционные акты и картины (чем меньше, тем лучше), прочно связанная с реалистическими традициями драмы Островского, Ибсена, Горького.

Во втором случае (Вишневский, Погодин) выделялся драма широкого размаха, оперирующая движениями масс, заинтересованная столкновениями социального порядка, не претендующая на философские выводы, но зато обладающая прямой мобилизующей силой, очень свободная и просторная по форме («беспсихологическая»), организованная по принципу эпизодов, равнодушная или даже враждебная традициям, но «зато» дающая сцене свежайший материал самой жизни»¹⁶.

ახე ჩიგად გამიწული ორი მიმართულება საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის თეორეტიკოსების ერთგვარად აფერხება ახალი ადამიანის მხატვრული ხაზის შექმნას, როგორც დრამატურგიაში, ასევე თეატრალური სცენაზე. მითუმეტეს, რომ ცალკე ამ მიმართულებებში არ იყო თეორიული გარკვეულობა მხატვრულ ამოცანათა ასეთი რადიკალური სიმწვავის გამო, რაც ერთგვარ დაბნულობას იწვევდა თეატრის პრაქტიკოსთა შორისაც. მათ შორის იყო ს. ამხეტელიც.

ერთი მხრივ „ციცხელი ადამიანის“ თეორიის დამცემული (ვკვათა ვს. კირიშინი, ა. აფინოგენი) ამტკიცებდნენ, რომ „სამწარმო — ეს არის ადამიანი“, რაც ფაქტობრივად გულსხმობდა კამერული დრამის ფორმების აღორძინებას (და ამდენად მთლედელ იყო რუსთაველის თეატრის მხატვრული მიმართულებისთვის). ამ თეორიის ავტორები მოითხოვდნენ ადამიანის, ინდივიდუუმის შინაგან სამყაროში არსებულ წინააღმდეგობას, ანალიზებას, იმის ჩვენებას თუ როგორ აისახება ადამიანის შეგნებაში კლასობრივი წინააღმდეგობანი და ამავე დროს უარს ამბობდნენ სოციალურ ბრძოლათა პირდაპირ აისახაზე, მასობრივ სოციალურ მოძრაობათა ჩვენებაზე. თუცა ისიც უნდა ითქვას, რომ უშუალოდ შემოქმედული პრაქტიკაში ამ მიმართულების დრამატურგები უფრო ბუნებრივად პრაქტიკობდნენ და დამკვიდრებულ, კლასიკურ ფორმებს ფსიქოლოგიური დრამის თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს უსახებდნენ.

მეორე მხრივ, სოციალური, დიდი მასშტაბების გამომსახველი დრამის ადამტები ამ ბრძოლაში არ ნაკლებ უელდურებსობა ვარდებოდნენ და სასებთი უარყოფდნენ ადამიანის პაროცული თვისებების, ინდივიდუალური თავისებურების ბატვის შესაძლებლობას. მაგ. ვს. ვიწვესკი ამტკიცებდა, რომ:

«Пусть тонет личное в потоке социально значительных событий. ...Кому какое дело до «Глубины» Х. У. З? Надо отодвинать прочь индивидуалистические «глубины», «изгибы» и пр.»¹⁷.

განუსაზღვრელი პროორიტიტი ენიებოდა მასების მოძრაობას, ისტორიულ მოვლენას მასშტაბურ ჩვენებას — ადამიანის შინაგან სამყაროს გამოსახვის უარყოფის ხაჩაზე.

ცხადია, როგორც ვს. კირიშინისა და ა. აფინოგენოვის პიესებში ფსიქოლოგიურად სინტეტიზულ დახატულ თანამედროვე დრამის უთეორიოობის მიხედვით იგრძნობდა ისტორიის სუნსით, თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის რეალობა, ასევე ვს. ვიწვესკის პიესებში დიდი, მასობრივი მოძრაობის ფორმე, დაპირისპირებულ სოციალურ ძალთა კოლიზში რელიუფურად იკვეთებოდნენ ინდივიდუალური ნიშნებით აბეჭდილი გმირები.



მაგრამ, გამწვავებული თეორიული ბრძოლების ვითარებაში ასეთი მომენტები თავისთავად იყო გამორიცხვული და სინამდვილეში მხოლოდ დღამატურის სექტორში მოქმედებდნენ.

ასეთ ვითარებაში, ვიმეორებ, ერთობ ძნელი იყო ამ ბრძოლებით გამოიყოფო ინტერესი დალევია და წარწრა გავის არჩევა სამართად დამატურების ვრცელ სამუშაოში.

ამვე დღის მოვლის სიმძაფრით დადავა მაიტი ქართული დრამატურების ახალი ნიშნუების შექმნისა და მათი სტენური განხორციელებისა. უფრო და უფრო გარკვევით და მკაცრად გაისმოდა ხმები ქართული მწერლობიდან, ქართული ინტელექტუალიდან იმის თაობაზე, რომ ერთგულ თეატრული ერთგული დრამატურგია უნდა იყოს რეპერტუარის საფუძველი. ამ აზრს უზიარებდა ს. ამბედელიც. თუმცა სრულიად სწინააღმდეგე უკიდურებდნენ: რაც შეეხება ზოგიერთის აზრს, რომ თითქმის რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი არ უნდა ქართული რეპერტუარის შექმნა, ეს ბრალდება უფრო ადრე წამოყენებული იყო კოტე მარკანიშვილის წინააღმდეგაც და წამოყენებულია დღესაც.

არც მაშინ და არც დღეს მას აპოკალიპსი ნიდაგი არ უქმნია და არც აქვს. თუ შეიძლება შექმნა ქართული თეატრისა, ეს შეიძლება მხოლოდ ქართული რეპერტუარით.¹⁸

სამბოთა საქართველოს წარმებებით უკულტურულ-სამეურნეო მშენებლობაში, მისი ცუდიმოკის ადამიანობა, დიდ სტიმულად იქცა ერთგული ინტელექტუების განვიტარების საქმეში. ამის შესახებ შთაგონებით ლაპარაკობდა ს. ამბედელი გასართობების შემაგაზეხელ სხლმორე წარმოქმულ სიტუაციაში (1938 წ. შ. V): „საქართველოს ცინოზომიკური, პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრება გაიცვლით უფრო სწრაფ ნაბიჯით წყვილი წინ, ვიდრე ჩვენ“. ან, სადა გვაქვს ჩვენ გარდევია... ჩვენ არ უნდა ვუწრებოდეთ! ჩვენ კი უკლები მივდევთ. ეს მარტო ჩვენი დანაშაული როდია — ხალხის წინ ვაღვინა სამბოთა დრამატურგიაც, რომელმაც აქამდე ვერ შეიგბრძო ირაოვრე მასალა, რომელიც აუცილებელია დიდი ტროლსათვის.¹⁹ ს. ამბედელი არაერთგზის უყვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ რუსთაველის თეატრი მშადა განახორციელოს დიდი, თანამედროვე სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი პერსონალიური თეატრისა.

ასეთი დრამის შექმნისათვის იმის თეატრში დაიწყო აქტიური მუშაობა ქართველ დრამატურგებთან: „ჩვენ იბოლისში ჩასვლისთანავე — ამბობდა ს. ამბედელი — ამვე სხლმომაც — მივმართეთ პრობლემური დრამატურგებს „დავარგეთ თემები, ჩავუქმიოთ მასალები დაშუშავდეს, დადვიტო რამდენიმე ნაწარმები. მუშაობა გავხლოთ ამ მხრივ, მაგრამ, რაც ჩვენ გვიჩვენდა, რაც აუცილებელი იყო დიდი პერსონალიური დრამის შესაქმნელად, ჭკრი კიდევ ვერ მივიღეთ... ჭკრი დრამატურგიაზე, მთელი თეატრი, მთელი კოლექტივი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა მოულის ამ პიესას.“²⁰ თეატრი, მართლაც, მშადა იყო იმისათვის, რომ მთელის სიბრძნითა და დამაჯერებლობით წარმოედგინა ახალი საქართველოს ახალი ადამიანები, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის იბრძოდნენ. რუსთაველის თეატრის სახელობა დიდი გამოცდილება დავარგოდა — რაოვრე პიესის იდუარ-პოლიტიკური გაზრების, ასევე დღეობითი გმირების, კომუნისტური სახეების შექმნის თვალსაზრისით. ქართული მაყურებლის თანაგრძობისა და აღტაცების იწვევდნენ გოდუნის, გაროიანის, აწწრა ჩერბივის, ივანოვის და სხვა დღეობითი გმირების (მაგ. ბერსენევი) მხატვრული სტენური სახეები. ახლა აუცილებელი იყო თანამედროვე ქართული სინამდვილის ასახვა, ცხოვრებაში მომხდარე დიდი სოციალური განაღმქმნების ჩვენება, ქართველი კომუნისტების ბრძოლის და შრომის ჭეშმარიტი სურათის წარმოსახვა. ამის გარეშე თეატრი დაქარგავდა ახა მხოლოდ აქტიურ მოქალაქეობრივ-იდუარ პოლიტიკის, არამედ ერთგულ თავისთავადელს — იმ უზარმაო ჭეშმარიტების გამო, რომ ერთგულ თეატრს ეროვნული რეპერტუარის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

თეატრის და ქართული დრამატურგების ამ ურთიერთობაში მალე სასურველი ნაყოფი გამოიღო. რუსთაველის თეატრის სტენური 1931 წელის სტენური ზედღეობა დაიდა თანამედროვე საქართველოს ცხოვრების ამსახველი ხაზი პიესა ა. მამუკაშვილის „განგაზონი“. ს. შენაშვილის „სამწინა“ და დ. დადიანის „თეთნოდელი“. ამ დროისათვის ქართული სამბოთა დრამატურგების უკვე თვალსაზრისით წარმებებანი განაწდა (მხედველობაში მაქვს ა. კაკაბაძის „უკარეუარე

თუთაბერი“ და შ. დადიანის „კაკალი გულში“) მაშინ, როცა რუსთაველის თეატრი ქართული დრამატურგიისაგან პერსონალიურად მას ელოდა და თავისი სტენობისა და მეორედი შესაბამის მასალას ეძებდა (გავიხსენით: „...ჩვენი თეატრისათვის პიესა ცოცხა სხვა-ნაირად უნდა დაიწეროს. ჩვენ ვაჭრებოდა ცოცხა სხვაგვარი დრამატურგია“. ს. ამბედელი). კ. მარკანიშვილი თავის ახლად შექმნილ თეატრში 1928-1929 წ. წ. სტენური ზედღეობა ახორციელებს შ. დადიანის „კაკალი გულში“, კ. კალაძის „ჩოგორი“, ა. კაკაბაძის „უკარეუარე თუთაბერი“, დ. ჩინელის „ბაილს“, დ. შენაშვილის „თეთნოდელი“, ა. ქუთათელის „შუაღმეშე ვადარაბას“, რომელიც სულ მალე მოყვა ე. ახლიაშვილის „კო, მაგრამ, და კ. კალაძის „სახარე“, რაც ადამტრების კ. მარკანიშვილის განსაკუთრებულ უყვადღების ახლავარდა ქართული სამბოთა დრამატურგიის მიმართ. ამვე დროს განხორციელებული პიესების ეს სიმრავლე არაერთგზის შემოხვევით არ მოწოდებს რევიზიონის თანგრეგობას და კონსერვაციურ განწრეგობებს. გავიხსენოთ დაუნტრე ვურხაძე „კავკასიონი“ (1924 წ. № 1-2) დასტამბული მისი წერილი, სადაც იგი ლაპარაკობს თეატრისა და განსაკუთრებით დრამატურგების დიდ მნიშვნელობაზე თანამედროვე ცხოვრების ასახვის საქმეში და ამვე დროს მსოფლიო ისტორიული მოვლენების ფონზე განიხილავს პრობლემებს, რომელიც, ამგვარ ვითარებაში, ქართული თეატრის და დრამატურგის წინაშე დგას. იგი დაუნდობელი სარკაზმით ესხმის თავს იმ ქართველ ავტორებს, რომლებიც ვერ ითვალისწინებდნენ რეკულთივის მუდგადე მომზადე გარდამქმნებს და კოვლავ ვეა-ვაობდნენ ანტიულტურულ დრამას — იდილოური ცხოვრების ჩაროებში მოქცეულს. მაგრამ, სწავრის იყო კ. მარკანიშვილის ეგრძნო თანამედროვე ცხოვრების ფეოქვა ახალ ქართულ პიესებში, დაინახა მათში ცხოვრების მართალი სურათი, რომ უშაღ გამოჩინა ზომა დაინტერესება და ავტორთან სერიოზული მუშაობის მუდგადე, სტენაზე წარმოედგინა. შორად იმეორება იგი — ახლავარდა დრამატურგები ჩვენის ახლავარდა თეატრთან ერთად უნდა იზრდებოდნენ — თუ გინდა შექმნათი ერთგული სამბოთა დრამატურგია და ეროვნული სამბოთა თეატრი.

ჩვენი ამოცანა — ამბობდა კ. მარკანიშვილი მოსკოვში გამართულ სამბოთა სხლმომაც (მხატვრული შენიშვნებთანა სხლმომაცე იყო ადემიონი GAXH) გამოვზარდით ახალი დრამატურგები, აღვზარდით ახალი ავტორები, ჩვენ ვფიქრობთ თეატრის განვითარების მუდგადე ზედღეობა, სწრაფად ამ მიმართულებით:

„...Для того, чтобы продолжать свою жизнь, для того, чтобы показать свое лицо — лицо подлинного советского революционного театра, нужно прежде всего выдвинуть на первый план драматического автора. Вот чем обьясняется, что в нашем репертуаре в последние годы видное место заняли пролетарские писатели. Мы стали давать очень часто пьесы своих молодых, может быть еще не совсем созревших, советских авторов, стремясь, выковать подлинное лицо революционного театра“²¹.

კომუნისტური ადემიონი წაქოხლულ მოსტენებში (1930 წ. მოსკოვი). კ. მარკანიშვილი ლაპარაკობდა ეროვნული თეატრალიური ფორმების, თეატრისა და დროის დაღმკუტურ ურთიერთობაზე, თეატრის სინოფიკურ ბუნებაზე და კვლავ და კვლავ უზრუნველბოდა ქართული სამბოთა დრამატურგიის პრობლემებს. სამბოთა სიტუაცია — რომელსაც ჩვეულებრივ ზრდილობისა და სტენურის მოვალეობის კანონით წარმოთქვამენ ხოლმე — კ. მარკანიშვილმა იმ, მისი აზრით ურად მუდგადე და უხუშ მუდგადეს გასცა საუბრი. იმის თეატრ ბუნება (თეატრმოცოდე პალეოვი შენიშვნა) იმის, რომ თითქმის მეორე ქართული დრამის სექტალებში გაქარგებულია სობარული გრძობა, რაც კ. მარკანიშვილმა ბრწინავადღე დაბათილა, ეს შენიშვნა მით უფრო გაუგებარი იყო, რომ ყველა ერთმანად აღწინააღა მისი სექტალებების ურეგულად სიცივლის დაამკვიდრებულ პათოსს, მიქვენარე ხალისიანობას და მავროული დერგობას (ამის თაობაზე შენიშვნადაც წერდა ა. ლუნარსკი). მეორე შენიშვნა ეხებოდა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი პიესების ჩვენებას ამ თეატრში. ძალან შორს ხართ თანამედროვე ცხოვრების გამოსახვისაგან — უკიდურება ეტიო ირატორი კოტე მარკანიშვილს.

კ. მარკანიშვილი ამბობდა — «А между тем он должен больше, чем кто-нибудь другой, знать, что мы были пер-

ყმ თეატრს უთვლიდა, „единственным театром в Грузии, который все свое внимание сосредоточил на пролетарских писателях. Это заявление я делал официально и говорю: до нас один театр не брал шес молодых драматургов“²².

ეს შენიშვნა სრულ გაუგებრობაზე იყო აგებული და რაკსელთა პოლიციის სრულად აშკარა გამოვლენის წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, იმავე ა. ლენინასკიმ ხსენებულ ადვანსს, ის გარემოში, რომ ქ. მარჩანშივლია არა მხოლოდ ქართული რევოლუციური თეატრის განვითარება, არამედ ქართული რევოლუციური-პროლეტარული თეატრის ეს იყო საერთოდ კოტე მარჩანშივლითა და მისი ახალი თეატრის ერთ-ერთი განსაკუთრებული მნიშვნელოვანი დამსახურება ქართული საბჭოთა თეატრის წინაშე. მერვე უმნიშვნელოვანესი როლი ამ თეატრის განვითარება ქართული საბჭოთა დრამატული განვითარებაში. აქ აღსანიშნავია დასახელებული, თუნდაც ა. კუცაბაძის „უკუყვარვა თეატრში“, რომლითაც საფუძველად ჩაეყარა არა მხოლოდ საბჭოთა თეატრული კომედიაორატის, არამედ იქვე საერთოდ დრამატული თანხის განვითარების მძლავრი სტიმულიც საქართველოში.

ქართული დრამატურგია ამ თაობის განვითარების პირველსავე ეტაპზე — ქ. მარჩანშივლისა და ს. ახმეტელის უღრესად ქმედითი მხატვრული-იდეური ხელმძღვანელობით — პირდაპირ ვითარდებოდა — შაიხ სოკოლაური შეკეთების საფუძველზე შექმნილი, ჰიესები, რომელთა თემა თანამედროვე ცხოვრების აქტუალური, განვითარებული პრობლემები იყო. სრულად ახალგაზრდა დრამატურგის კ. კალაძის პიესაში „როგორ“ — პირველად ქართულ სცენაზე გამოჩნდა ქართულ მუშათა და გლეხთა რევოლუციური სახეები, ასევე პირველად ჩვენს სცენაზე გამოჩნდა ქართველი ბოლშევიკ-მუშის კლასის სახე, რომელიც უსასრულოდ მასხიობდა შ. ლანაშვილს შექმნა. მთელი სექტაკლი მისი ყველა კომპონენტი გადენილი იყო რევოლუციური რომანტიკულით. უზნებრივ ჩივილი თაობის მოკონტენტებში აღნიშნავდა, რომ სწორად და სულელებით იზიდავდა ეს სექტაკლი ფართო აუდიტორიას, ამ სოციალისტების ატრაქციონებს უზრუნველყო ორიგინალური ფორმა სექტაკლისა — კინო-გამოსახლებითი მოქმედების უწყვეტობის შთაბეჭდილების შექმნა, და ამ მოქმედების მძლავრ რიტმულ-დინამიკურ სურსებზე აგება ხოლო ჩრდილოეთის თეატრისთვის დაზნახსათბული ხერხებით — მოქმედების ფორმის უღრესად ლაბიარულ-გამოსახლ. ყუთვლივც ეს — გამოიჩინა და შექმნილი — ქ. მარჩანშივლისა და მხატვრული უკუყვარვა ახალგაზრდას მიერ ისე რჩენილი ფორმა იყო სექტაკლის, ისე განსაზღვრავდა სექტაკლის მოქმედების სისტემის, მის რეგორსპექტულ სახასის (პიესა თანამედროვე ბოლშევიკი მუშის მოგონებითა „ჩარხითა“ შენოზულ-დული), რომ, თითქმის სექტაკლის ამგვარი ფორმა თვით დრამატურგის მიერ იყო შემოთავაზებული. ამ სექტაკლში „სხვა“ ხერხებიც იყვნენ — კინო — წინადაც სცენურ დრამატულ ფუნქციონალური ელემენტები — კინო — წინადაც სცენურ დრამატულ ფუნქციონალური ელემენტები. იგი შორს იდგა ინფორმაციულობისა ან რაი-ვე კომენტარებისგან. ეკრანზე იგივე გზები იყვნენ და აგრ-ველხდნენ მოქმედების, რომელიც მათურებელი სცენაზე ხელადაც. ეკრანზე ჩანდა მათი განცდები, თუ თავდასაყვამდე. უკუ-ვლევ ამას ეს ფრაგმენტული პიესა — თითქმის საგანგებოდ აგ-ვარი ფორმის სექტაკლისთვის შექმნილი ნაწარმოებია აქცია — ნაწარმოებია, სადაც გმირთა მოქმედების გეგორათა და მათი განცდების დაძაბულობის სახითა გარჩილი და გამაფრებელი იყო. ქ. მარჩანშივლის შემოქმედებისათვის დაზნახსათბული ოპ-ტიკური სივრცისილებით იყო განათებული ეს სექტაკლი, სა-ტრავოლუციურ ბრძოლებს სახალხო მხარაულების და ზეიმის სცენები ენაცულებული. ქართული თეატრისთვის ეს იყო ნივთ-ტორული სტრუქტურის სექტაკლი — არა იმით, რომ აქ კინო და ჩრდილოეთის თეატრის ხერხი იყო გამოყენებული. კინო-ხერხი არა ნაკლები ოსტატობით მოიმარჯვა ქ. მარჩანშივლი თვის ად-რინდელ სექტაკლში ტოლერის „პოპაშინა...“ ნივთარული იყო

არსი ამ სექტაკლისა — ქართული გლეხებისა და მუშების. ე. წ. „ჩაგუფური პორტრეტის“ ფონზე ძალზე სათლად იკვეთებოდა უზნე-ვნი ჩივილის მიერ დიდი ოსტატობით შექმნილი რევოლუციური მებრძოლის ბეგლარის მხატვრულ-სცენური სახე. ის გამოცდილ-და, რომელიც მასხიობდა კომუნისტ გოდუნის („რადევა“) სახის შექმნის შუქინა, ის ცოდნა, რომელიც მან დაგვირგა ამ როლზე

მუშაობისა — ძალიან გამოავლდა აშკარად. დაღუპული ანორ-რაჰის მონუმენტური, თითქმის კლასიკური გამოკვეთილი ეტიუტის გვერდით ქართულ საბჭოთა სცენაზე დადგა ქართველ მებრძოლს რევოლუციური ბეგლარი, არა ნაკლებ შემართული, ტემპრა-მენტინი, მგზნებარებით სავსე და ამავე დროს კონკრეტული, ცხო-ვრებისული დედატობისა და შტრახებით წარმოდგენილი. მისი გმირული სული ქართულ, მშობლიურ წინაშე იყო შობილი, ხოლო მისი მკვერად გამოკვეთილი სცენური პორტრეტი, მისი ენერ-გიული პროფილი, ავასასათი მიქნული სხეული, ვაჟკაციული ცეცხ-ლილი მოუვარე თვალები დიდ შთაბეჭდილობას ახდენდა მაურერ-ბულზე. უზნებრივ ჩივილის ეს სცენური სახე თითქმის ქართული რე-ვოლუციური მებრძოლების მიმდევად იქცა — მისი ბეგლარი პი-რდაპირ არის გადასული თუ. გაყარების მშვენიერ, მონუმენტურ ფერწერულ ტოლერ, რომელიც საქართველოში 1915 წლის რე-ვოლუციის ამბები განმსახავა. ამავე სექტაკლში ქ. მარჩანშივლი, ახლანდელი ტრინინი რომ ვიკიანა, „გაუგებრობის ეფექტი“ გა-მონივრა. როგორც აღვნიშნავ, სექტაკლში კინო მოქმედების ორ-განხალი ნაწილი იყო და არა ინფორმაციული „დაზნახვა“, მგარამ ხშირად თვით სცენაზე მუივი გმირები, რომლებიც ეკრანთან სცენაზე გადმოდიოდნენ, უფროებდნენ პარალელურად მომდინარე მოქმედების ეკრანზე და ხშირად ერთვებოდნენ მის მოქმედება-ში, მხარაულ კომენტარს უთავებდნენ მოქმედებას, „შორადგან“, „გვერდიდან“ მომხარალი, თითქმის საკუთარ მოქმედებას ავ-ახლებდნენ. ამ შტრახებს ცხოველი იუმორი და სიცოცხლე შეჰქონ-და სექტაკლში და ეროსული უწყვეტ კავშირს ახმდა სცენას და ეკრანს, წარსულზე და აწმოს, მოქმედებას და შედგენ შორის, ამგვარი და სხვა არანაკლებ საინტერესო ხერხებისა და სცენ-ების ფორტირებისა ხშირად მეორედობდა სექტაკლში და მისი სტრუქტურის — არა მხოლოდ ფორმალური, არამედ, არსებითი ელემენტი იყო. ამგვარი საშუალებებით ოსტატურად იყო დაზნა-ვული პიესის ერთგვარი სქემატურა, სცენური სიმშაველ და მხა-ტურული მარტივობა. სახელები მართლაც კომპოზიტორი თ. ვახ-ვაზიშვილი, როცა შენიშნავს:

„...ასე, მტვად მუწენ დეკორაციული გაფორმებით, მარტო-დენ კინოსა და ეკრანის საშუალებით და შექვის ოსტატური გა-მოყენებით, კოტმ, ელენე ახლანდინათ ერთად, დრამატუზში დასაჯე სურათები მუწენ. ეკრანზე სხაბრედა ხან ხანდრის, ხან სოფლის, მინდარის თუ ხილის სილუეტები. ამ გაფორმებაში [ქარ-ხანო, ხილზე და სხვ.] მოქმედ მასხიობდა ასევე სილუეტებად მისხანდენ ეკრანზე. შეუ... მტვად აზრანად იყო შურსუბული სხვა ელემენტებთან; დდე, დამე, ხანდარა — გაშუბული იყო გად-მოყვებული და უკვლავიერ ტრად ადებულში მოლიანობაში მტვად ცოცხლად აღიკვებოდა მაურებლის მიერ და, რალა თქმა უნდა სექტაკლზე უარესად პლასტიკური და რიტმული იყო“ — ამ შემ-დეგ აქ სექტაკლის ერთ-ერთი ავტორთაგანი, დასმენს „...როგო-რზე“ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა და მიგნებმა შემდგეში თე-ატრის მოღვაწეებს სტრეშია მისცეს სცენაზე საბჭოთა დრამატურ-გის დამკვიდრებისათვის გაბედულად ექმნება ახალი ხერხები, უფრო მეტი ინიციატოვა გამოჩინონ თეატრალური ტექნიკის გან-ვითარებისათვის.²³ ამ თვალსაზრისითაც ნივთარული იყო ეს დადგმა. კოტე მარჩანშივლია ამ სექტაკლში პირდაპირ განსაკუ-ვრებულ სიხედაველ ასახა მამბაში, რომელიც პიესასა წარმოადგენ-ვლი, შთაბეჭედავად განსხა შინაბარსი პიესისა, რომელიც საშუ-ალეობას აძლევდა თაობის თეატრალური იდეები ახლებზე სცენურ ფორმაში წარმოედგინა. მან ამ გზით შესწლი 1915 წლის რევი-ლუციური მოძრაობის დრამატული ენოლოგების განვითარება და დიდი სიმაღლეზე აუყან. ხოლო ამ ენოლოგების — ბრძოლების, დრამატული შეტაკებების, სოციალური კოლონიების დიდი ნაწი-ლის მის მიერ იყო შეტანილი. სწორედ ამის გამო ეს სექტაკლი ქართული თეატრის ანდელიც მინიწილთა, როგორც ქართულ მა-ხალაზე შექმნილი პირველი თანამედროვე რევოლუციური სექ-ტაკლია.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ იმდროინდელი ქართული თეატრის პარიაშას, შევნიშნავთ, რომ ქართული საბჭოთა დრამატურგების დაინტერესების სფერო ჩვენი სინამდვილის წარვალ ასპექტში ი-ზღუნებოდა. ქართული დრამატურგია და ქართული თეატრი ემტე-დნენ ყველაზე მაძარსა და კონფლიქტურ სიტუაციებს, რათა უფრო შთაბეჭედავად გამოეხსათ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური



ძვრები და გარდაქმნები, წინა მალაქე წამოეწია სხვადასხვა სოციალური ფენის (შუშები, გლეხების, ინტელიგენციის) წარმომადგენლები, ყველაზე აქტიური და ახალი ცხოვრების მატარებელი ადამიანები.

თავისთი პიესების მოქმედების ადგილად ქართული დრამატურგები ირჩევენ იშვარც სოციალურ ადგილებს, სადაც ისტორიულ-სოციალური განვითარების სპეციფიკების გამო, ცხოვრებისეულ კონფლიქტები უფრო მძაფრია, კოლხია — ახალ სოციალურ, ფსიქოლოგიურ განწყობილებათა, წინეობრივ მიწრავებათა და ძველი ფსიქოლოგიის ტრადიციულ შეუვალბას შორის, ასევე ადგილობრივი (ე. კლავის „ხატავიშვილი“ — მოქმედება აქართველ უცხო ფონზე იმუხა, დ. ჩინაძის „ბაილას“ და შ. დადიანის „თეთრულდში“ — სვანეთის ფონზე). ცხადია, ყველა ეს ტენდენციები არ დავარჯუნებულა, მაგრამ ამგვარი ტენდენცია აშკარად იყო გამოხატული — ე. კლავის „ხატავიშვილი“ შორის ახალი ცხოვრებისთვის შემოქმედებული უნდა და ხატავი („ეს არის გმირი ქართველი ქალის ერთ-ერთი პირველი ხსენ ქართველი საბჭოთა დრამატურგიაში, რაც უკვე თავისთავად ცხელა ხალის მის დიდ ისტორიულ-ლიტერატურულ და მხატვრულ მნიშვნელობას“ — შენიშინა და კრიტიკოსი გ. ციციშვილი თავის წიგნში „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, გვ. 411). ა. მამუკაშვილი „განკარგული“ — სოფლის კომუნისტთა თავიკე სახა და კომუნისტთ, კოლმუხრენების ხელმძღვანელი ბონდო, „ყვარსკვარე თუთაბერში“ რეკლუციის იტაკვეშუთის მოღვაწეი სევახტი და გულთამაზე, გელახსანი და ლალოი შ. დადიანის „თეთრულდში“, კომკავშირული ამირანი ს. სამონიანის „სალტეში“ და ა. შ.

მართალია, პიესათა ეს პერსონაჟები მხატვრულ-სცენური სრულყოფილებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი იყვნენ პირველი, რომელთაც ქართული თეატრის სცენიდან ქართულ მავრებელს მიამართა მართალი სიტყვა, თავიანთი საკიცელი დადასტურებერებრებულა საბჭოთა სინამდვილასდმი, უჩვენებ ბძრობის სიმწვავე, წინადადებრებოთა აძლიერების შედარეკელი სურვილი. მათი მეოხებით გზადა შესაძლებელი დრმა და სტირიალული სოციალური კოლხიების ჩვენზეა, ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ გმირთა უზამბის დადასტურება. ისინი იყვნენ ჩვენი დღევანდელი სცენური გმირების წინამორბედი, გმირებისა, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების იდეალების კონკრეტული მტარებელი არიან. და, როგორც ამ პანორამის შევეკვეთრა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რამე ქართული დრამატურგთა თანამედროვე პიესათა შორის (და ამ პიესებზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის) ყველაზე მძაფრი პლუმიკის საგანი შ. დადიანის „თეთრულდი“ აღმოჩნდა.

ეს კამათი ატარებს პრინციპულ ხასიათს, რადგან თანამედროვე ეროვნული დრამატურგიის განსახიერებისა და თანამედროვე ეროვნული თეატრის პრობლემების ეხება, და ამდენად სცილდება ერთ-ერთ სექტაკლის წარმომავალ-წარმოებებლობის საკითხს. „თეთრულდში“ შ. დადიანი ნოვატორულ გზას დაადგა: მან განიზარბა საბჭოთა სინამდვილადან აღებული მასალაზე ტრადიციული დრამატული ნაწარმოების შექმნა ძველსა და ახალს. პატრიარქალური სვანეთისა და ახალი სვანეთის, მახჭუმუხის პატრიარქალურ-ფეოდალურ წარმოშობილი ადამიანებისა და თანამედროვე გმირების კონფლიქტი დაუღო საფუძვლად ტრადიციულ კონფლიქტს. ისევე როგორც მას ტრადიციული ეპიკის ნაწარმოები შიშითხიფ, აქ ერთმანეთს უზიარებდნენ და ერთ-ერთი შეურთიგებელი წინეობრივი ძალა, ირავე თავის სიმართლუმი დარწმუნებულა. გარდაუვალა იერთის დამარცხება, რადგან ისტორიის, ცხოვრების ასარეშზე მათი თანარსებობა შეუძლებელია. ერთის მხრივა არავიღი — ცრურწმენების, რუტინის განსახიერება და მეორე მხარეს ახალგაზრდა წესავეული კომუნისტთი გელახსანი — რომელიც დგანასხიერებს სოციალისტური რეკლუციის განმსახლებელ სტილისკუთვების (მოქმედება 1930 წელს მიმდინარეობს). ერთის უკან დგას საუკუნეებით განმტკიცებული ცრურწმენა, ტრადიციისა და რიტუალების შეუცვლილობის იდეური სამყარო, მეორის უკან — ცხოვრების განახლების აუცილებლობის, პროგრესის იდეა დაუფნებულა არა მხოლოდ სოციალური სიმართლუე, არამედ წინეობრივ და შეცინებულ სიმართლუე. მძაფრ კონფლიქტში ირავე გმირი იდუბება, თეატრის ირავე ეს სამყარო უნდა ენეწეწიანა. მაგრამ, თუ არავიღის სამყარო რიტუალები მოკლდობის უფრო „თეატრული“

იყო, ვინაიდან თავის თავში ატარებდა, უფრო სწორად, თვით იყო განსახიერება საუკუნეწინა ჩამოკლებული წეს-ჩვეულებების, რელიგიური ქმედების, გელახსანი-ლალოსი სამყარო იდეებისა და მოქმედების სამყარო იყო, რომელსაც არ ჰქონდა წარსული და; ცხადია, არ ჰქონდა დროის მიერ უკვე შექმნილი „ფორმა“. ამერიკაში — ახლა, როცა ვანალოზეზე წარსულის გამოცილებლას და ამ სექტაკლის შარშემო არსებულ მასალას — თეატრალური თვალსაზრისით უფრო გამოშვებულა არგოშდის სამყარო გამოვიდა, რამაც საფუძვლიანად შესცვალა სექტაკლის აქტივობა. სექტაკლად დადგმისას სადრო ამბებელმა — რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პიესას თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებაში — ტექსტუალური მასალის გამძაფრებით კიდევ უფრო შეურთიგებულა ცხელა და ძველსა და ახლის კონფლიქტი. „მძაფრე და დაუნდობელი უნდა იყო ძველსა და ახლის კიდელი. ისე წარმოუდგენელი ტრაგეზია“ — ამბობდა იგი „თეთრულდის“ ერთ რეკლუციანზე. ამ სექტაკლში ძირითადი კრიტიკა მიმართული იყო მის დასამტკიცებლად, რომ ძველი სვანეთი — მისთვის დაბნახისათხებელი წეს-ჩვეულებებით, ადგიანობით, რელიგიით და ბოლოს, ყოფით იმდენად ძლიერ იყო გავრცელებული სექტაკლში, იმდენად ისტატური თეატრალური ფორმა ჰქონდა მას მოქმედების და გამოხიერებულ რიტუალ-მუსიკალური გამოქოლი ხაზით, რომ ამის ფონზე მართლად გამონდა ახალი სვანეთი და მისი ახალი გმირებოი, ეს საუკუნეული წარწელობრი იყო საპრობლემო. მიუთმეტეს რომ თვით პიესაში გმირების ხასიათების ეს თანატოლყოფენება დარკვეულია. აჯაკი ვასაძე აღიარებს თავის „მოგონებებსა და თქვიწმუნებს“; „იმდენად გავრცეალა სექტაკლის გარგველ განმსახლებელზე, ფორმალურ მუშაობამ, რომ პიესის სხსნი და დღემდის შემნებანის უსხსნი (ხაზი ჩემია მ. გ.) მხარეების დასძლიევერეც ერთმა ვერ მოვიცალეთ“. (გვ. 299). ხოლო ს. ახმეტელმა განსაკუთრებით აღნიშნავდა ამ დადგმის მნიშვნელობას ეროვნულ მასალაზე, ეროვნულ დრამატურგიაზე სპეციფიკური ეროვნული თეატრის ფორმების ძიების საქმეში. „ამ ნაწარმოებმა ჩვენ საშუალება მოგვცა ხაზი გავველოთ იმ მიმართულებით, რომელიც აუცილებელია თეატრისათვის. ჩვენ გავინდოდა მოგვეკებნა ფორმა დიდა მპრობლემი დრამისათვის, დიდი ტრადიციისათვის“.24 მიუხედავად სექტაკლის ზოგირითი არსებობის ხასიათის ხარვეზისა, არ შეიძლება მისი განხილვა წინარე სექტაკლებსა (სრულად „წინეობრივი“) და მიმდებარე შედეგების — შიღრის „უჩაღებებისაგან“ მოწყვეტით. ამ სექტაკლში ვაგრძელდა თეატრის მიერ უკვე ჩამოკლებული სტილისტური ტრადიქურა და ამავ დროს — მასში ჩაისახა სრულიად ახალი ტენდენციები, რომლებმაც ვაგრძელბა და ვაგრძელება მოვეც „უჩაღებში“.

ს. ახმეტელმა იმთავითვე ზუსტად განსაზღვრა სექტაკლის იდეურ-პოლიტიკური მიზანსახაზებუა: „ამ მვერთიად უნდა გამოვლინებულყოფი ახალი ძალა, ნათელი და ძლიერი, მისი ვაგრძელობის თუნდელიც ეს ძველი სვანეთის შეუვალბის სიმბოლოა. მწვერვალის დაღმსქერა უზალო დრამატული ილუსტრაცია კი არ არის, არამედ რელიგიური ფანატისმის საშობი ხაზებუელი ღვთაებრივი ხატების დამღევა ახალი თაობის, ახალი ადამიანების მიერ. ეს ცოცხალ და უსაჩვენებელი რომანტიკული შერეული ახალი დროის ქალი-სახურში უნდა ჩაღვდეს, რათა — როგორც პიესის გმირი კალი ლალოი ამბობს — ამიერიდან თეთრულდ და მშენის „რეკლუციის“ მამუმა დროსაში“. აი, მისი ზუსტი ფორმულირება ამ სექტაკლის დღევანდრებას: „ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ახლის დახადების პათოსი, მისი მზენებელი სული“! და ეს იქნება „კომუნისმის იდეების შეტერა და ზემო რელიგიური ბურჟუაზიის მიცულ საუპარაში“. ამგვარად, სექტაკლის იდეური კონცეცია სასებოთი ნათლად იყო იმთავითვე ჩამოკლებული. თუ რაგონი მოხდა სექტაკლის მხედრად ძალთა დისპროპორციული განსხვავება, ამის მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთა გამო გვექნება დასარაკი, ამასთან დაკავშირებით, იგი დახეობითობით ვანაშარბავდა დადებით გმირთა რღულის შემსრავლებლობით — იმისათვის, რომ შედარბოლოთა და დამარცხობით ფანატური ძალა, რასაც ძველი სვანეთი ბაქების სახით წარმოადგენს, ამისათვის საჭიროა თვითონი თქვენთაგანი დასწეობით, ისეთივე გახლებლობით, ისეთივე რწმენით მიიწრე-ფოდეს ახალი სვანეთის ცხოვრებისკენ“25, როგორც არგვილი და მისი თანამოარბენი იცავენ ძველს.

რატომ ამხილებდა იგი რელიგიურ ფანატისმზე უარადე-

ბას ამგვარი სიმჭიდროვე? ს. ამბეტლის მშენებელი ესმოდა, რომ სასოციალისტური ურთიერთობის ყველაზე მიმდებლობელი, რეტორიკულად, უტრუნილად ფორმები თავის საყრდენს და „გაფორმებას“ რელიგიური კოპიებზე, რომ რელიგია ახანგრძობებს და ინარჩუნებს პატრიარქალურ ფორმებს. ამიტომ, რეჟისორმა — სასენებით მართებულად — გელახსანის ესპანელიის ძირითადი მცენერული მიზანი „თეთნულდის შესწავლა და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ნახვის სამხატვრო ჩვენება, უკანა პლანზე დასწავლა და დაწინაურება მეორე აზრი — თეთნულდზე შეტევა რელიგიურ სამყაროზე — ის, ძველ სამყაროზე ახლის შეტევა და ამდენად იგი შეიცავს ტრაგიკულ კოლიზიას. აქცენტის ამგვარმა სიმკვეთრემ უფრო დაძაბული გახადა მთავარ გმირთა სამკედრო-საეცოცხლო კოდილი. სასენების მართებულ აზრს გამოსოქვამს ამასთან დაკავშირებით გ. ციციშვილი, რომელიც შენიშნავს, რომ ტრაგიკული „თეთნულდის“ ახასიათებს ქვეტექსტული, ალტეროციული გადართობით აზრი, რის გამოც პიესის მრავალი ასპექტი სიმბოლურ ხასიათს ატარებს. „ასეთი სიმბოლისტური მნიშვნელობა აქვს დაესწავლებული თეთნულდის დაყურბასაც, ამ მოუვლი მწვერვალის დამორჩილება ძველი სენათის წგრევადა, ძველი ყოფის დასამარბება და სენათში ახალი სიცოცხლისტური ცხოვრების დამკვიდრებადა უნდა აღიქვას“.²⁶

როგორც ვნახეთ, თავის დროზე სწორედ ასე ესმოდა ეს პიესა ს. ამბეტლსაც და უნდა ითქვას, რომ ძირითადად ეს იდეური ჩანაფიქრი თვით სექტაკლშიც განხორციელდა. ქართული რაპულეები სექტაკლს გასფორმებინ დაესწინ თავს და იგი ატახტავდა თა მოვლენად გამოაცხადეს. სხვადასხვაგვარად შეაფასეს იგი ცნობილმა მოსკოველმა კრიტიკოსებმა: ადრ. პიოროვსკი, რომელმაც სექტაკლი წერილი მიუძღვნა „ანხორას“ და „თეთნულდს“, ძალზედ საინტერესოდ და ორიგინალურად განმარტავს რუსთაველის თეატრის მშეორმდებით მეთოდს. თეატრის მუდმივად ამოცანა ამ მეთოდის იმგვარი დახვეწა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სინამდვილის ხასიათების ნატოვი ხეულებების გამოყვანა. ამ თავსაწარისით უარსებად საინტერესოდ მიიჩნებს კრიტიკოსი „თეთნულდის“ დადგას.

მართალია — შენიშნავს იგი — ამ სექტაკლშიც მოქმედება გადატანილია შორეულ, ნახევრადპატრიარქალურ სენათში, „წმინდა თეთნულდის“ კალთბევეს, მართალია თვით პიესა დაწერილია ამდღებელი თეთრი დღესით, მართალია ისიც, რომ აქაც უჩვეულო ძალითა და მრავალფეროვნებითა დემონსტრირებული თეატრისათვის ეგვრო დამახასიათებელი ისტატობა პირველყოფილი სენათის წეს-ჩვეულებათა და რიტუალების გამოსხვავა, მაგრამ მთელი ეს ფერხებულება და მიწნები მოწოდებულია არა მიაზიტური გატაცებით — როგორც „ლამარბის“ — „ა ს ნეიკი ტრაგიკული პრონიე (ხაზი ჩემია, ნ. გ.) შემდეგ ადრ. პიოროვსკი განსაკუთრებით გამოიყოფს მეორე მომენტსაც — მისი აზრით უფრო მნიშვნელოვანს — თეატრი აქ გვიჩვენებო ჩვენი თანამედროვე გმირების სახეებს... და ეს სახეები სისხლსაც და რთული ადამიანების სახეები. ყოველივე ეს მიღწეულია არა საკუთარ პრინციპებზე უარის თქმის გზით, არა ფსიქოლოგიისა და ყოფითობის წინაშე კომპრომისით, არამედ სწორედ თეატრის სპეციფიკურ მეთოდზე დაყრდნობით, ამ მეთოდის გადამღერებისა და სრულყოფის გზით.²⁷

ო. ლიტოვსკი ვაზ „პრადის“ ფურცლებზე მიიღის კატეგორიულობით წერდა, რომ „თეთნულდში“

«Тема социалистического строительства «пришита» к сванской романтике белыми нитками и отсюда вся «современность» пьесы явно приспосаблического характера»²⁸.

ამვე თეზის ავთორებდნენ ისეთი ცნობილი სექცილისტებიც, როგორებიც იყვნენ კ. ფელდმანი და ი. იუზოვსკი.

ჭ. ფელდმანის აზრით „თეთნულდის“ დადგამა თეატრი მოაქცია გამოფიტული, ცარიელი ფორმების ჩიხში. სექტაკლი უნდა გაედერებულყო როგორც საქართველოს ძველ ურთიერთობათა წინააღმდეგ მიმართული საბარდლებო აქტი, როგორც მამბილებული დოკუმენტი. ნაცვლად ამისა თეატრი, მეროიკული ფორმების ძიებისას შუა გზაზე შეჩერდა — მან საქმით სარკაზმით ამხილა პატივს, რომელიც ხელში არაღმედი უზარალო მართებელი იყო და

ამავ დროს გმირული დროის სიმალღმედ აიყვანა არაღმედი ტრაგედიების ანსაკვი მოღაღნება. ფორმის გამოდგენებში „თეთნულდის“ ციციშვილი, ანემიური პიესის მიზინა და აღწმნა, თანამედროვეობის თემა გელოვნურადააო ჩართული მასში.

«Советская тема — стройка электростанции в горах — просто вмонтирована в красивую картину бытчаев и нравов Сванетии»²⁹.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი :


- 1 ესარგებლობ შ. შივაკარიანის წიგნით „ქართული საბჭოთა თეატრი“. გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966 წ. გვ. 94.
- 2 დას. წიგნი, ტ. 111, გვ. 25.
- 3 Г. Бояджиев, Душа театра, «Молодая гвардия», 1977, стр. 103-104.
- 4 გ. ქიქოძე, ჩრეული თხზულებანი. ტ. II, გვ. 262.
- 5 იქვე.
- 6 ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, გვ. 273.
- 7 ს. ამბეტლი, წერილები, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964 წ. გვ. 107.
- 8 ა. ამბეტლი, წერილები, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964 წ. გვ. 155.
- 9 ს. ამბეტლი, წერილები, გვ. 129—130.
- 10 Новаторство советского театра. Изд. «Искусство» 1963 г. стр. 122.
- 11 ა. ამბეტლი, წერილები, გვ. 129.
- 12 А. Февральский. Театр им. Руставели. стр. 141—142.
- 13 Сандро Ахметели. «Хеловнеба», Тб., 1977. стр. 519—520.
- 14 იქვე, გვ. 501.
- 15 ა. ამბეტლი, წერილები გვ. 135.
- 16 Новаторство советского театра, стр. 128.
- 17 Сб. «Театр и драматургия», Л., 1959, стр. 410.
- 18 ა. ამბეტლი, წერილები, გვ. 91.
- 19 იქვე, გვ. 133-134.
- 20 იქვე, გვ. 134-135.
- 21 Котэ Марджанишвили. Изд. «Заря Востока», 1958 г. стр. 190—191.
- 22 იქვე, გვ. 183.
- 23 თამარ ვახვახიშვილი. კოტე მარჯანიშვილის ექვსი სექტაკლი, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1968 წ. გვ. 104.
- 24 ს. ამბეტლი, წერილები, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, გვ. 134.
- 25 იქვე, გვ. 160-161.
- 26 გ. ციციშვილი. ქართული საბჭოთა დრამატურგია. გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1962. გვ. 85.
- 27 სანდრო ამბეტლი რუსულ ენაზე, გამოც. „ხელოვნება“, 1977 წ. გვ. 512.
- 28 იქვე, გვ. 500.
- 29 იქვე, გვ. 502.
- 30 იქვე, გვ. 519.

(გაგრძელება იქნება)

რეგო

50

იაშვილი



ირაკლი ოჩიაური

ქართული მხატვრული კერამიკის აღორძინებასა და განვითარებაში საყურადღებო წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს კერამიკოსს რეზო იაშვილს, რომლის შემოქმედებამ არა მხოლოდ საინტერესო ქმნილებები შესძინა ეროვნულ კერამიკულ ხელოვნებას, არამედ სრულიად ახალი გზებიც გაუკვალა მას.

50-იან წლებში ქართული მხატვრობა ფასეულობათა გადაფასების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. მხედველობაში მატეს სუფთა პროფესიულ-მხატვრული ღირებულებანი, — ძირითადად მხატვრული ფორმის საკითხი. ამ წლებში შემოქმედებით გზაზე გამოსული ახალგაზრდა მხატვრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ნახატზე, ფორმაზე, ფერზე...

პასიური ფოტოგრაფიული ხედვა უარყოფით ესთეტიკურ რეაქციას იწვევს მხატვრობის მოყვარულთა წრეებში და განსაკუთრებით ახალგა-


ზრდა მხატვრებში. ქანდაკებაში ერთხანს იგრძნობა ჯერ იაკობ ნიკოლაძის, შემდეგ ნიკოლოზ კანდელაკის მხატვრული ტენდენციების გავლენა, მაგრამ ახალი თაობის მოქანდაკეები ეძებენ საკუთარ გზას.

ეს ძიებები და ძვრები მხატვრობის ყველა დარგს დაეტყო, მათ შორის, ქართულ კერამიკულ ხელოვნებასაც. ეროვნული კერამიკის მომავლით დაინტერესებული მასწავლებლები და მოწაფეები ეძებენ გზებს ამ დარგის აღორძინებისათვის.

მაგრამ ახლის მიგნება, ახალი გზებისა და შესაძლებლობების აღმოჩენა მხოლოდ სურვილზე როდია დამოკიდებული. ფაიფური, რომელიც იმ დროს ქართული აკადემიური კერამიკის ძირითად მასალას წარმოადგენდა, ვერ გამოდგა მისი განვითარებისათვის.

იმ პერიოდის მრავალრიცხოვან დეკორატიულ





და საყვავილე ღარნაკებში, ღვინისა თუ ჩაის სერვისებში მეორდებოდა ამპირული ფორმებზე. გადატვირთული დაზგური ფერწერისა და ქანდაკების პრინციპებიდან გამომდინარე პორტრეტებით, ცხოველთა გამოსახულებებით, ლიტერატურული სიუჟეტებით, ჭედური ხელოვნებისა და არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით. ამგვარმა მხატვრულმა აზროვნებამ კერამიკულ ფორმას დაუკარგა დამოუკიდებელი ეთნოტექური ლირებულება, იგი გადააჭყია დეკორის თავისებურ ფონს და თვით ნამუშევრები ცელსტაგური გახადა.

ღარიბი იყო ჭიქურების არსენალი, ამასთან, ნაკლებად იხმარებოდა თიხა, როგორც კერამიკული მასალა. ყოველივე ეს უკმარისობის გრძნობას ბადებდა როგორც მასწავლებლებში, ისე, ახალგაზრდა კერამიკოსებში და მათ ინტენსიური ძიებისკენ უბიძგებდა. ცხადია, უცხოური კერამიკული ფორმები ვერ დაედებოდა საფუძვლად ქართული კერამიკის განვითარებას. საჭირო იყო ეროვნულ ხალხურ კერამიკაზე დაყრდნობა და მის თავისებურებათა გამოვლენა-გამოყენება. თანამედროვე ქართულ კერამიკაში ახალი გზების მიკვლევის აუცილებლობას ყველა გრძნობდა, მაგრამ რთული აღმოჩნდა მისი გაკვალება.

რეზო იაშვილის წილად ხვდა ამ ჯებირის გარღვევა. მის სახელს უკავშირებენ ახალი ქართული კერამიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. რეზო იაშვილმა გახსნა, აღადგინა და ხელმისაწვდომი გახადა შავი, ანუ შებოლილი კერამიკის საიდუმლოება. შავი კერამიკა (ზოგი შავ-კრაილასაც უწოდებს) ადრე გავრცელებული ყოფილა საქართველოში, ოღონდ მისი წარმოების ტექნოლოგიას უკვე აღარავინ იცნობდა. რეზოს დამსახურება ამ ტექნოლოგიური პროცესის მიკვლევით როდი განისაზღვრება, თუმცა ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ახალ ქართულ კერამიკაში გადატვირთვის მოსახდენად. ის, რასაც მხატვარმა მიაგნო, მოულოდნელი იყო ყველასათვის, მათ შო-

მოსკლის ზეიმი. 1966 წ.
დეკორატიული მოტივი
ისტერიკისათვის 1966 წ.
ღვინის ჭურჭელი. 1973 წ.

რის, ალბათ, თვითონ რეზოსთვისაც. შედეგი უარესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი კერამიკისათვის. ჯერ ერთი, ამ ტექნიკურმა და მხატვრულმა მონაპოვარმა ქართულ კერამიკას სრულიად განსხვავებული და თავისთავადი სახე მიანიჭა, მეორეც — მან საშუალება მისცა ქართულ კერამიკოსებს თავი დაედოთ ერთგვაროვნებისა და უსახურობისათვის. შემდგომში შავი კერამიკა, ასე თუ ისე, დაქარაგვს კიტუ-ალობას, მაგრამ დარჩება მისეგან გამოძინარე, ახლის ძიების საშუალებები და გზები, რომელსაც კერამიკოსთა ახალი თაობები ვაპყვებინ.

რეზო იაშვილისეულმა შავი კერამიკის პირველმა ნიმუშებმა მისი პედაგოგებისა და კოლეგების გამოცემა და აღტაცება გამოიწვია, კერამიკოსთა წინაშე კი ახალი შესაძლებლობები გადაშალა.

ახალ ქართულ კერამიკას ფართო აღიარება ხდება არა მარტო მოძმე რესპუბლიკებში, არამედ სახლდარგარეთაც. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი. რეზო იაშვილის პირველივე ნამუშევრებმა ბელგიაში კერამიკოსთა მსოფლიო გამოფენაზე ქოსტენეში 1959 წელს დიპლომი დაიმსახურა, 1960 წ. მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე — ოქროს მედალი, პრადის, კერამიკოსთა მსოფლიო გამოფენაზე — ვერცხლის მედალი...

რეზო იაშვილის ინიციატივით კერამიკის კათედრასთან დაარსდა მხატვრულ-მონუმენტური სახელოსნო, რითაც შეიქმნა არქიტექტურასთან სინთეზში მხატვრული კერამიკის გამოყენების შესაძლებლობა.

რეზო იაშვილის კერამიკულ ნაწარმოებთა ფორმები სუფთა ქართული, ეროვნულია. ასეთი ფორმები მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა შექმნილიყო ტრადიციის ათვისებისა და შემოქმედებითი განვითარების გზით.

მხატვრის პირველი ცდების შედეგი — შავი კერამიკის პირველი ნიმუშები, მამინდელ კერამიკულ ნაკეთობათა ფონზე სრულიად უჩვეულოდ გამოიყურებოდნენ. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. დღეს ქართული მხატვრული კერამიკის შესაძლებლობები საგრძნობლად გაფართოვდა, ეს დარგი მრავალფეროვანი, მრავალმხრივი გახდა და მისი მომავალიც უთუოდ საიმედოა.

პარტიული თეატრების წლებანდელ რეპერტუარში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „შთამომავლობა“ ერთ-ერთი იმ დადგმათაგანია, რომელსაც, ალბათ, არ დაუკავშირდება თეორიული ხასიათის მწვევე პოლემიკა და საკუთარი გაუთვითცნობიერებლობით შემკრთალი რიგითი მაყურებელი არ იგრძნობს ღრმა უსუსურლს თავის აზრსა და თეატრის მცოდნეთა რაფინირებულ გეგმვებებს შორის. სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი იშვიათი სიბოთ და უშუალობაა. თანამედროვე თეატრის ხელოვნების გართულებულ გამომსახველობით საშუალებათა შორის სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე იჩრქვს ბუნებრივობასა და სიწრფელეს და ჭეშმარიტ ხელოვნებისათვის აუცილებელი ეს თვისებები საესეებით გაცნობიერებულ სტილისტკური ნიშნების ხარისხში აპყავს. ამჯერად ეს არის მისი შემოქმედებითი მიზანი და სპექტაკლში ყველაფერი ექვემდებარება მის განხორციელებას. სპექტაკლი თითქოს აცოცხლებს თეატრის ისტორიის მივიწყებულ ფურცლებს და მოძველებულ ყიდაზე გადაწყვეტილი მისი მიზანსცენები კარგად მორეგული სტილიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. მხატვრობისა და მუსიკის ზომიერად სენტიმენტალური ტონი, ფოტოსურათებით მოფენილი კედლებით, ძველებური ავეჯით შემოხლული სივრცე აპირობებს მოქმედების ლოკალიზაციას და სცენური აქცენტებით აძლიერებს ბიჟის ტექსტს. მხატვრები ქოჩაკიძე, სლოზინსკი და ჩიკვაძე შეუცდომელი გემოვნებით აცოცხლებენ ძველი ოჯახების კოლორიტს და სცენაზე ნაწევრებ მოქმედებას „დანგრეული ბუდეების“ სევდას უხამებენ. სცენიური პირობითობის სიმცირე, გამჭვირვალე სიმბოლიკა, ყოფითი რეალიზმი ქმნის გარემოს, სადაც თავისუფლად გრძნობენ თავს ბიჟის გმირები და დრამატული სიუჟეტები დაუძლებლად და შეუფერხებელ თვითდინებას მიჰყვება, რეჟისორი ითვალისწინებს ალექსანდრე ჩხაიძის დრამის ყველა შესაძლებელ სცენურ ინტერპრეტაციას. ეს დრამა თავისი აქტუალური, საჭირობოტო საკითხების შემცველი შინაარსისა და თავისებური ისტორიული კონცეფციის გამო სრულიად ვერ შეითვისებდა უფრო მეტად გამკვეთრებულ საღებავებს, მოჭარბებულ განზოგადებას. პაროდული უკიდურესობა და მისი მნიშვნელობა ე. წ. ნეგატიური მოვლენების პირუთენელი ჩვენებით შეიძლებოდა შემოფარგლულიყო. მაგრამ სპექტაკლი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების საყრადღებო

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „შთაშობავლობა“

გულნარა კალანდარიშვილი

ფაქტ წარმოადგენს და ხელოვნებისათვის აუცილებელ ემოციებს მარტო მოქალაქეობრივი გამბედაობის მეოხებით როდი აღძრავს. სპექტაკლის სტრუქტურა ქართული კლასიკური თეატრის პრინციპებს მოიცავს. მისი საყრდენი მსახიობის ინდივიდუალური განუმეორებლობა და პიესის ტექსტისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებაა. რეჟისორის ყურადღების ცენტრში ყველა პერ-

სონაჟია და მოვლენათა შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ მათი ცოცხალი ურთიერთობით შეიცნობა. რეჟისორი თავს არიდებს სახეების იმპერსონალურობას და სცენური თამაშის ანსამბლს პირტონული კონკრეტულობის, ფსიქოლოგიური სიმართლისა და გულითადობისაკენ წარმართავს.

სპექტაკლში განხორციელებულია სამსახიობო ხელოვნების სუბიექტური განცდების ჩვენებისათვის გამიზნული სტილი, რომელიც ასე ნათლად დაახასიათა ვერიკო ანჯაფარიძემ თავის ერთ-ერთ წერილში: „თუ შენ ადამიანებს არ გაუხსნი მთელ გულს, ვერასოდეს ვერ იქნები კარგი მსახიობი. მე პირადად ყველა წარმოდგენა ძვირად მიღირს იმიტომ, რომ თავის დასოფავა სცენაზე არ შეიძლება. თქვენც ხომ კარვად ხედავთ, როცა მსახიობი ნახევარი გრძობით, ნახევარი ტემპერამენტით, ნახევარი ენერჯით თამაშობს, მაშინ ვერ თანაუგრძობთ მას, გულკრილად უცქერით მისი გმირის თავდასავალს“.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გრძობა სტიქიურად განაგებს მსახიობთა მოქმედებას. პირიქით, მათი თამაში ექვემდებარება გამომსახველობით საშუალებათა მაკერ შერჩევას, სიზუსტესა და ნებაყოფლობით შესლუღვას ისეთ სცენურ გარემოს, სადაც, ჟან ვილარის სიტყვით რომ ვთქვათ, უფრო სჭარბობს ორგანიზებული ტალანტი, ვიდრე არაორგანიზებული გენიალობა. გმირი დასრულებული, ბოლომდე გახსნილი ხასიათით არის წარმოდგენილი და მისი სცენური ცხოვრების ყველა მომენტი დეტალურად დამუშავებული და დაკავშირებულია დრამატურგის მთავარ იდეურ ჩანაფიქრთან.

სპექტაკლში გამოვეითილია ორი პრობლემა — ისტორიული ღმერთმინიშნის მნიშვნელობა პირშიმამის სულიერი კულტურისსამშის და ზნეობრივი კომპრომისის გარდუვალი შედეგი პროვინებისთვის. სპექტაკლი ესმარება მაყურებელს იმ უდიდესი კანონის შეცნობაში, რომლის ძალითაც ადამიანი გაზუყოფელი ნაწილია თავისი ერის ისტორიისა და მის ცნობიერებაში აუცილებლად ცოცხლობს წინაპარი. ადამიანი, რომელიც ზნეობრივად დამარცხებული ხვდება ისტორიის მსაჯავს, ცხოვრობს აუნაზღაურებელი დანაკლისის ისეთი ფარული და მწვავე შერძენებით, როგორითაც ცხოვრობენ სპექტაკლის გმირები. სპექტაკლში ისტორია პერსონიფიცირებული იერს იღებს: კარგა ხანია ფიზიკურად არარსებული ადამიანები სცენაზე მსახიობებთან არიან წარმოდგენილი და მათ მხოლოდ თხელი ფარდა

ყოფს ცოცხლებისაგან. მათი სული ტრიალებს აქ, გომელაურების ოჯახში, სადაც თავისი შთამომავლების გარემოცვაში ცხოვრობს ძველი საზოგადოების „უკანასკნელი მოპოკანი“ და მის ფოკუსში თავს იყრის სპექტაკლის ყველა სტრუქტურული ელემენტი.

ფატი გურიელი უკვე მეორე ბებიია ვერიკო ანჯაფარიძის მიერ შექმნილ გმირთა გალერეაში. მსახიობი თავად ამყარებს კავშირს ა. კასონას პიესის „ხეები ზეხურად კვდებიან“ გმირთან, როდესაც ეუხენას თეთრი შარფით შემოდის სცენაზე. ასაკით გამოცდილი პირიუნილი მონოლითურობითა და შთამომავლობის განსჯის შეგნებული უფლებით ახლოვებს ის იმ ორ გმირს, რათა სპექტაკლის მსვლელობისას ფატი გურიელის ხასიათის განსხვავება გასაოცარი ოსტატობით გეჩვენოს. თუ ამაყი და შეურიგებელი ეუხენა, თავიდანვე განწირული ილუზიების მსხვერვისათვის, ტრაგიკულ გმირთა ელიტას გვუთვინის, ფატი გურიელი ისტორიულ ასპექტში გააზრებული ქართველი დედაა — ერთგული მისის შეგნებითა და ჯარისკაცის განწუხობილებით გამსჭვალულია. ის ეცემა კიდევ როგორც მებრძოლი. მისი სიცოცხლე და სიკვდილიც მოწოდებაა — გაწყვეტილი კავშირების აღდგენისა და უგზურად დაკარგული ღირსების კვლავ მოპოებისათვის.

ფატი გურიელის მსგავსი ადამიანები გარემოს აღიქვამენ მთელი მრავალფეროვნებით. ისინი ყურადღებით, მოთმინებითა და ინტერესით ეკიდებიან ყველას და მათი ზნეობრივი მსკავრი ყოველთვის ღრმა შემეცნების შედეგია. ისინი არ ექვემდებარებიან ილუზიურ განცდებს, პირიქით, რეალისტები არიან და მათ წარმოდგენაში სინამდვილე თავისი ობიექტური კონტურებითა არის ფიქსირებული. ვერიკო ანჯაფარიძის ამპარმინდელი გმირის ბიოგრაფია განსაკუთრებულ მოვლენებს არ შეიცავს და არც ხასიათი აქვს უცნაური. ის ზომიერი, სანგვინიური და შემოვიხტილია. ვერიკო ანჯაფარიძე თავდაპირველი დიდებულიებით ეგუება თავისი გმირის „ჩვეულებრივობას“. როდესაც შესხურებული შეილი-შეილი კინოსტუდიიდან დაბრუნებულ ბებიასე ამბობს — სთვი ღორენი მოვიდაო, ჩვენი დროის უდიდესი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე იუმორითვე იფერებს მის სიტყვებს. მაცურებლის მესხიერებაში გაიკვლევა მისი დიდი სცენური ცხოვრება და მალღათა თავმდაბლობის მომხიბვლელობა ამყარდა მის გმირს კი არა, თვითონ მას უკავშირდება. მაგრამ ეს მხოლოდ ხანმოკლე

განცდაა მაცურებლისა. ვერიკო ანჯაფარიძე არასოდეს არ გამოდის თავისი როლის ფარგლებიდან, გარდასახვა არის სრული და დამაჯერებელი. სცენიდან არ ისმის მისი აქტურებული, უსაზღვრო ინტონაციური ნიუანსებით ელვარე ხმა, ტონი სასაუბრო, გურული აქცენტით ოდნავ შე-



ფატი გურიელი — ე. ანჯაფარიძე

ფერილია. თეატრალური ეფექტი ამჟამად მიღწეულია უაღრესად ბუნებრივი, ცხოვრებისეული საშუალებებით. ვერიკო ანჯაფარიძის ეს როლი ანტიკური ქალღმერთის დედამიწაზე გასერებლის ჰგავს. ის ამ როლში შემოქმედებით მიზნას უმორჩილებს გარეგნობასაც კი. ასაკით დაღდასმული მისი სახე ამტკნავს იმ გამოჩრეულ გვარს სიღამაზისას, რომელიც ჩნდება მხოლოდ ხანდაზმულობისას და არ შეიძლება ახლდეს სიყმაწვილეს. ეს ის სიღამაზეა, რომლითაც დროთა განმავლობაში იმოსება განწმენდილი მხოლოდ თავისი საუკეთესო თვისებებით დამახსოვრებული, სულის ნაწილად ქვეული ისტორია.

დახვეწილი იუმორი აზრისა და გრძნობის სიღრმეს მოწმობს და კეთილშობილი სისადავით ამკობს ყველა მის მოქმედებას. მსახობი ყოველთვის გვაგრძნობინებს, რომ ფატი გურიელის თაობაში უკვე ცუდ ტონად ითვლებოდა თავმომწონება გვარიშვილობით და წარმოდგენა



ფატი გურიელი — ვ. ანკაფარიძე
გურამი — ნ. მაგლობლიშვილი

სულიერ კულტურაზე სცილდებოდა კლასობრივ ფარგლებს.

თავისებურად ხსნის ფატი გურიელის სახეს მედია ჯაფარიძე. მის შესრულებაში სჭარბობს ტრაგიკული ინტონაციები, ის აღრმავებს კონტრასტს მის გმირსა და შთამომავლობას შორის და მსაჯულის პოზიცია ზღუდავს ჭერეტასა და შეცნობას.

დრამის პრობლემატიკა, სპექტაკლში გამდიდრებული ძალზე მასვილი სცენიური აქცენტებით, უკავშირდება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას — პიროვნებასა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულებას. მოქმედება

ინტელიგენციის წრეში ვითარდება და ხდება ისე, რომ დრამატული კონფლიქტი ეწყარება არა მხოლოდ ამაღლებული მორალის კატეგორიებს, არამედ იურიდიულ ცნებებსაც კი. დრამატურგის ჩანაფიქრის წყალობით ორი პერსონაჟი, ორი ნასამართლევი კაცი თავის პიროვნებაში არეკლავს მართლმსაჯულების თვალსაზრისით სასცენო უდანაშაულო ადამიანების ნამდვილ არსს. სიმართლე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ საზოგადოება ყოველთვის განაპირობებს პიროვნების მიერ ჩადენილ დანაშაულს და ასეთ მტკიცებას სპექტაკლში არც ვხვდებით. მაგრამ საზოგადოება ყოველთვის ვალდებულია შექმნას პიროვნების ხსენისათვის მასქიმალური პირობები, ფაქიზი გარემო, ეს აუცილებელი მოვალეობა კულტურული, მასშასადამე, მუშაუნარი ადამიანისა. ამგვარ გამოცდას პიესის გმირები ვერ უძლებენ.

გივი ბერიკაშვილი, ბონდო ლანჩავას როლის შესანიშნავი შემსრულებელი, ოდნავადაც არ ცდილობს შექმნას თავისი გმირისაგან უდანაშაული დამნაშავე და საზოგადოების პირქუში ბრალმდებელი. პირიქით, ეს ოხუნჯი, კეთილგანწყობილი და გულწრფელი კაცი შეგუებია თავის ადიღოს ცხოვრებაში და შემოუნახავს პატივისცემა საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმებისადმი, რომელთა ტარება თვითონ ვერ შესძლო. ეს როლი, მიუხედავად ბერიკაშვილის ოსტატობისა, შეიძლება ცოტა ბანალურიც მოგვჩვენებოდა, რომ ცხოვრებაში ამ ზომამდე მომრავლებული არ ყოფილიყვნენ იმ ტიპის ადამიანები, რომლებსაც ბონდო ლანჩავა, ექვსჯერ ნასამართლვე, პროფესიული ქურდი ვაჟკაცური ტაქტის მაგალითს აძლევს.

კომედაუნების ოჯახში, როგორც ფატი გურიელი ამბობს, ცხოვრება შეუცვლიათ „თავის გატანით“ და გაბატონებულა საქმე, რაღაც დამორგუწველი ძალა, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოსპოს კომუნიკაციის მოძველებული ფორმები: ერთმანეთისადმი ყურადღება და ინტერესი, გულწრფელი თანალობა, დარბაისლური საუბრის კულტურაც კი.

მექანიზმად ქცეულ ამ ადამიანებს ცეცხლივით ეშინიათ შექმენის და საქმე მათთვის ერთმანეთისაგან თავდაცვის საშუალებაა. მათი გონება არ არის დაფუძნებული მასშტაბური მსჯულობის კანონებს, ემოცია ვერ სცილდება მარტივ შეგრძნებებს და სინდისი ალუფოთებულად ეგუება საქმის სფეროში დასამკვიდრებლად საჭირო აკრძალულ იღვივებს. ჰედონიზმის — სიამოვნებისა და უტანჯულობის დაბალ დონეზე გაგებული პრინციპი უკარნახებს მათ თავგამოდებით დაც-

ვან ერთხელ მოგვარებული ცხოვრების წესი, ხელის დატყობილი ათვისის რაიმე საქმის შედეგად ცოდნა და არაფერს შევალხვიონ შეჯიბრებაში გამარჯვებული, ხელსაყრელი მდგომარეობით საშუალოდ უზრუნველყოფილი კაცის პატივოვარეობა. საესტეტიკო გასაგებია, რომ შემლაურების ოჯახში სანიშნურო და საამაყო შევილად ითვლება ლევანი (ჯემალ მინიაგას შესრულებით), რადგან მისი ცხოვრება ჩქაროსნული წესის, ინტელიგენტისათვის სრულიად გაუგებარია სწორსაზოგადი მიზანდასახულების წარმატებით დაგვირგვინებას წარმოადგენს. მას უკვე დაუკავებია სოლიდური თანამდებობა და სადავო რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი გახდება. თავისთავად ფაქტი მხოლოდ მისასაღამებელია, მის მიღმა ფსიქიკური და სოციალური მექანიზმის სერიოზული დამახინჯება რომ არ იმალებოდეს. სპექტაკლი ყურადღებას ამახვილებს ოფიციალურ მონაცემებსა და ზნეობრივ-საზოგადოებრივ ფუნქციებს შორის წონასწორობის დარღვევაზე, წარმატების სახიფათო ილუზიებზე. სპექტაკლი მოვლენები ვითარდება ისე, რომ მეცნიერის უსაზღვრო ამბიციის, მდებრივი ეგოიზმისა და სასიკეთო ყოყმობის ასახვას ნახვად მაყურებელს, რომელიც ცხოვრებაში შესაძლოა კიდევ უფრო უხეშ გამოვლინებასაც აწყდებოდა ამ წრეში, სჭირდება მოაზრდი აზრის გამოვლენა — ადამიანობა მთავარი, თორემ მარტო განაღლება რას მოგვეცემს. განაღლებილი მართლაც ყოველთვის ვერ ხერხდება ინსტიტუტის სრული რეგულირება. უბრალოდ გამოთქმული ეს ტემპარიტება „მარტო“ ვფრთხა რას იზავს, თუ ბუნებაც არ უშედეგო“ ცხოვრებაში მრავალი სიტუაციით დასტურდება. მაგრამ, ამავე დროს, შრომის ტიპი, თუ ის უნაგაროდ არის შერჩეული პიროვნების მიერ და მას საფუძვლად თვითგამოხატვა, ინდივიდუალური განუშეორებლობის თვითშეგნება უდევს, ქმნის პიროვნული ნიშნების კომპლექსს. არის ზოგიერთი ისეთი თვისება, რომელიც არ შეიძლება მქონდეს ვინმეირივად მომუშავე ადამიანს. ინტელიგენტი არცერთ ვითარებაში არ ემსგავსება ფულით გაღადებულ დახლიდარს და მეცნიერის უაპელიაციო ტონმა და ბლაგვმა ქედმაღლობამ უპირველეს ყოვლისა, მის მეცნიერულ დონეში უნდა დაგვატკიცოს. სერიოზული მეცნიერული შრომა სრულიად სპობს პიროვნებაში თვითდაჯერებასა და ამბიციას, ის ანტიორთქული მოვლენების კრიტიკული შეფასების უნარს, საკუთარი აზრის წარმავლობასთან არიგებს ადამიანს და მუდმივი, ხშირი და უპასუხოდ

დარჩენილი კიბხვის შემოქმედებაში აქცევს მას. ამიტომ საქმისწარმოებელი ენერჯია, ტიტულუბისადმი მოურიგებელი მისწრაფება, ნივთად ქცეული უპირატესობა ყოველთვის მოწმობს შრომის ინტენსივს დაქვეითებას, მეცნიერებისადმი არაშემოქმედებით, უტილიტარულ დამოკიდებულებას. ამის შედეგია არა მხოლოდ მდარე ხარისხის გამოკვლევა, რომელიც ვერ შეაფერხებს მეცნიერების პროგრესს არამედ პიროვნების დაკნინება, მისი სულიერი ძალების მოღრუბება და ფსიქიკის დამახინჯება. მომთხოვნელობის შესუტების წყალობით დაწინაურებულ პიროვნებას ესღა დარჩენია, რომ საკუთარი არასრულფასოვნება აგრესიული თვითდაპყვირებით შეესვალოს და საგრძნობლად დაარღვიოს სოციალურ მოვლენათა თანაფარდობა. ასეც ხდება სპექტაკლში. ჩვენ ვხედავთ, როგორი გააფთრებით ეჭიდება ლევანი თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას და საამისოდ როგორ იცუნებს დარიალის, „ჩალიჩს“. ამავე დროს, მწეიდად იტანს იმას, რომ მის კოლეგასა და მეგობარს — იმავე დარიალოვს, მისი სადოქტორო დისერტაცია წაკითხულიც კი არა აქვს და ამ ნაშრომის ფორმალურ მნიშვნელობას არც მალავს; ლევანი მზად არის დასწავროს საკუთარი ძმაც კი, თუ მისი მოწესრიგებული ცხოვრების გზაზე დაბრკოლებად აღმოჩნდება. ჯემალ მინიაგას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ გმირის არსებაში ჩადრმავება აღვისტატუსს, მსახიობი გვაგრძნობინებს ლევანის შინაგან დაურწმუნებლობას, ზნეობრივი კომპრომისით გამოწვეულ აფორიაქებას, სირცხვილის ხანმოკლე, მაგრამ მწვავე გრძნობას. ბონიდ ლანჩავს გაგადების შემდეგ საქციელწმუნდარი, ნერვიული ნაბიჯით გადის სცენიდან და თავის თავზე გაბოროტებული ხელს აჰკრავს ფარდას, რომელიც მისი ოთახის სამყაროს მისთვის უსარგებლო ადამიანებისაგან თიშავს. გურამის გაგადების სცენასაც ის კვლავ ლარის თავგამეჭობით ატარებს. როდესაც მის მიერ შექმნილ ცხოვრების მოდელი მოვლენები და ადამიანები იცლიან მათთვის მიჩენილ ადგილს, ეს კაცი სრულიად კარგავს პიროვნულ ორიენტაციას და აშკარა შეტევაზე გადადის.

თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გმირის განსახიერების ფაქტობრივ სიხუსტეს. მაყურებელმა უნდა იცნოს თანამედროვე ადამიანი. ზომიერების მცირეოდენი დარღვევაც კი ამ შემთხვევაში შეიძლება სიყალბის საზღვარზე აღმოჩნდეს და

მაცურებლის სერიოზულ დაფიქრებასა და მსახიობთან კონტაქტს საფუძველი გამოაცალოს. ამას გრძობის ყველა შესწრნულბული და თავისი აქტიურული შესაძლებლობების შესაბამისად იცავს სიმართლეს და თავს არიდებს უადგილო ფაშის-ლარობას, რომელიც ზოგჯერ უსამართლოდ გვეხდება ხოლმე თვალში თანამედროვე თემაზე შექმნილ სპექტაკლებში.

გმირის დეტალური დახასიათების შესაძლებლობას იძლევა ი. ტრიპოლსკის მიერ შესრულებული გაიოზის როლი. საქმიანი მანერები, მორგებული კოსტუმი, თვითდაჯერებული და „ზრუნეთ“ დაღლილი სახე, მენტორული ტონი და გამყინავი მიუდგომელობა ამჯვადნებს მასში ხელმძღვანელ პოსტებს მიჩვეულ კაცს. მსახიობის დამოკიდებულება თავისი გმირისადმი ამკარად ირონიულია, თუმცა ამითი არ ირღვევა აღქმის პლანი. გმირი ნაჩვენებია ყველა ასპექტში. გაიოზის ტიპის ადამიანებს სავესებით შევსებული აქვთ მნიშვნელობა პიროვნებისათვის სახიფათო ფაქტორებისა, მაგრამ კეთილგონიერული მოთინებებით იყენებენ კიდევ მათ, რათა ცხოვრების სასურველი მოვლის ხელშეწყობა დაიკვან. ამ განხვევულ კაცს აკრძალული, მოღალატური სიყვარულიც კი ოდნავ გააცოცხლებდა, ის რომ ნამდვილი ყოფილიყო, მაგრამ ტრიპოლსკი მივგანიშნებს, რომ მის გმირში მსოლოდ უნდილი იმპულსები შეიძლება არსებობდეს, ისევე და ისევე მარტივი კომფორტისაკენ მიმართული, გაიოზი იწერციით მიპყვება დინებას, სცენაზედაც მუდამ განაპიარს დგას და კარიერისტული მისწრაფებაც კი მასში ძლიერი ვნების სახეს ვერ იღებს.

ნოდარ მგალობლიშვილის იშვიათი დრამატული ნიჭი გურამის როლშიც მთელი ძალით გამოპრწყინდა. შეძრწუნების ეფექტი ასლავს მის შემოვლას სცენაზე — განწირულ ხელღებს, დაშვებულ ხელღებსა და მძიმე ვჯრის ზიფით დაღლილ სხეულს. მასთან ერთად სცენაზე მკვიდრდება სიმართლის მძებნელის ტრაგედია. მსახიობის მეტყველი სახე და მიდღიარი პოსტება სულიერი ძვრებისა და შინაგანი ტანჯვას გამოსახატად არის მოწოდებული. იტანჯება მისი გმირი, რადგან აბოიოქრებული პროტესტისათვის მიმართულება ვერ მოუტებნია. ისჯება კანონით, რადგან კანონიერი უფლებები ვერ თვითონაც ვერ შეუცენია. მას მოსვენებას არ აძლევს ვინმე ვალიკო ცნდლაძე, კომპინატორი, ანუ ჩვეულებრივი მოუხელთებელი ქურდი, რომელიც თავის ზნეობრივ ანტიპოდად წა-

რმოუსახავს. აწუხებს კითხვა, რატომ არ ეზიზღებათ ადამიანებს ენდლაძე, რატომ ემინიათ იმ კაცის, რომელიც თვითონ უნდა იყოს შემინებული, რატომ მრავლდებიან მის ირგვლივ ნაირნაირი მასშტაბის ენდლაძეები. შემველებობის პერსპექტივა გურამში შეუფოთებასა და გაუცხოვებას იწვევს და სიძულელი აზიანებს მის ნატიფ სულს.

უკომპრომისობა, რა თქმა უნდა, ამშვენებს ადამიანს და საქმედ ქვეული პრინციპულობა ზნეობრივი პიროვნების ვალია, მაგრამ ადამიანს უჭირს გამუმდებით კონფლიქტურ სიტუაციაში ცხოვრება. როდესაც მის ირგვლივ არსებული გარემო ამდენად წვირილმანი და მდარეა, აღმაფრენას ნოკლებულმა მისმა კონებამ შეიძლება ველარაფერი შეკმანს, საზოგადოებრივი წონასწორობის დაკარგობა სხვა გზით წარმართოს მისი ცხოვრება, შემოქმედებითი უნარი უაზრო შესლა-შეზობლის მსხვერპლი გახდეს და მისი ნაზი ბუნება გაიწიროს უსაზღვრო ტანჯვისათვის. ასეც ხდება გურამის შემთხვევაში.

თანამედროვეობის ანასველი სპექტაკლების ერთერთი სირთული ისიცაა, რომ ყოველდღიურობა მაცურებლის თვალში რომანტიკას არის მოკლებული, ნაცნობი ადამიანები გმირების დონეზე აღარ განიცდიან და თითქმის ნატურალიზმამდე მისული სინამდვილე თეატრისაკენ განუყოფელ ზეაღმტაც განწყობილებას ემუქრება. მაგრამ თუ სპექტაკლი „შთამოავლობა“ აღემატება საკრიბოროტო მოვლენების სიმწვავებს და მისი გმირები გვაფიქრებენ საერთოდ ადამიანის ბედზე, ეს უშთავრესად რეცესორისა და მსახიობების დამახარებაა. სპექტაკლში ასახული ცხოვრების უღიმამო და სამარცხვინო ფონზე მაცურებლის წინაშე აღიმართება ორი ძალა: წინაპართა სისხლით სხვიმოსილი ისტორია და ტანჯვისა და მსხვერპლის დიალი, მუდამ დაუმაღლებელი მაგალითი.

მერაბ დარიალოვს თითქმის სიმბოლურ სახედ აქცევს მალხაზ მუხრანიშვილი. არის რაღაც გამცმული მის ცინიზში, საზიზღარ, შემპარავ დიმილში. პროვოკატორის სიყვარავით ის აწვდის ბანჯს ამ ადამიანებს, რათა შემდგე დატკბეს მათი დაცემით.

მთავრდება მოქმედება. კედლებიდან იზიხრებიან წინაპრები, ფატი გურიელიც თხელი ფარდის მიღმა არჩდილებს შურევია, სცენას დასცქერის ქართული ტაძარი და განუშორებელი სა-

ფიქრალი — რანი ვიყავით, რანი ვართ და რა მოგველის, თეატრიდან მოპყვება მაყურებელს.

ქართული თეატრი ამჟამად თავისი განვითარების უნიშვნელოვანეს ეტაპზეა. მის სცენაზე სამსახიობო ხელოვნება გამოსახვის ახალს ან ახლებურად განცდილ საშუალებებს ეძებს. ანეთ პირობებში მართლაც შეიძლება აღიძრას კითხვა — როგორია თეატრის მომავალი, საით მიდის მისი გზა. თუმცა ზუსტ პასუხს ამ კითხვაზე ისევე ვერ მოძებნის ჩვენი დრო, როგორც ვერ მოახერხა ეს ვერცერთმა სხვა დრომ.

«В искусстве не может быть запрещенных приемов, есть лишь неуместно и неакстати примененные приемы» — წერდა ვს. მეიერჰოლდი. ადამიანის სულიერი მის-

წრაფებების უსაზღვრო მრავალფეროვნება არასოდეს დაუკმაყოფილებია მხოლოდ ერთ, უნივერსალურ ფორმას. თვით ცნება „ეპოქის სტილი“, როგორც ცნობილია, მხოლოდ პირობითი მნიშვნელობისა და თავის თავში შემოქმედებითი აზრის განუწყვეტელ მოძრაობას შეიცავს. კულტურის პროგრესი, ცივილიზაციის პროგრესისაგან განსხვავებით, სხვა რივის კანონებს ემყარება.

სპექტაკლი „შთამომავლობა“ კლასიკურ რეალისტურ ტრადიციებზეა შექმნილი. ის გვაღელვებს მიმეზისის ხელოვნების სიდიადით, გვათბობს მსახიობთან ინტიმური, გრძნობისმიერი კონტაქტით, გვაფიქრებს სიტყვით...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის სხალსშ არტისტის ვ. ი. ანჯაფარიძისათვის
ლმხილისტური შრომის გიორის ფოლადის პინიჭების უხსახუ



საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის ქართული აკადემიური თეატრის მსახიობს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ივლიანეს ასულ ანჯაფარიძეს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „სამაგალი და ურა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრძანაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 21 სექტემბერი.

უფრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავენ სახელოვან მსახიობს ამ მაგალი ჯილდოს.

უკველასი ანთროპომორფული ზიგურაგი საქართველოს ტერიტორიაზე

პლასტიკის სათავესთან

გიორგი ჯავახიშვილი

აღმაქინის მიერ საკუთარი თავის მხატვრული სახის შექმნა რთული პროცესია. ეს არის ბუნების, სამყაროს შეცნობის პროცესის განუყოფელი ნაწილი და, მასთანადავს, მასავით დაუსრულებელია, მაგრამ ამ პროცესს დასაწყისი გააჩნია და მასზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ის, თუ როგორ უყურებდა და როგორ ხედავდა აღამაქინი თავის თავს ისტორიის გარიჟრაჟზე, როგორ ქმნიდა საკუთარ მხატვრულ სახეს.

აღამაქინის პირველი გამოსახულებები ჩნდება დაახლოებით 55.000 წლის წინ, ქვისხანის მოგვიანო საფეხურზე (ორინიაკის ხანიდან), როცა საბავთი ხელოვნება პირველ ნაბიჯებს დგამდა. აღამაქინის ეს უადრესი მხატვრული ნაწარმოები — ქვის ან ძვლის პატარა ფიგურები — დაკავშირებულია იმ დროის პრიმიტიულ, მაგრამ რთულ წარმოდგენებთან ბუნების ძალების შესახებ და მათი დანიშნულებაც, პირველ რიგში, გამოყენებითი იყო, რამდენადაც უნდა უზრუნველყოთ ბუნების

ნაყოფიერება. მაგრამ მათ ისეთი თვისებები გააჩნიათ, რომლებიც ესტირკურ ზეგავლენას ახდენენ მხატვლურ — სიმეტრიულობა, პროპორციულობა, გარკვეული რიტმი გეომეტრიკული ფორმების დალაგებაში და ა. შ. სწორედ ამით აქვთ მოხვეჭილი სახელი მთელ მსოფლიოში ქალის პატარა ძვლისა და ქვის ფიგურებს, რომლებიც აღმოჩენილია ევროპისა და აზიის ვრცელ ტერიტორიაზე — ლესიპოვში, ვილენდორფში, კასტიონკემში და სხვაგან — და რომლებსაც ძველი ქვისხანის ვენერებს უწოდებენ.

მართალია, ამ ფიგურების ფორმები გამარტივებულია, გადაჭარბებით ხაზგასმულია სხეულის ის ნაწილები, რომლებაც მეტყველებენ მის შინაარსზე და მთლიანად ფიგურები განზოგადებულ-განყენებული სახისაც კი არის ხოლმე, მაგრამ, ზედაპალოლითის ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად, როგორცაა პირველ რიგში ცხოველების გამოსახულებები ცალკე ან ნადირობის სცენაში და სხვა, ისინი ამჟღავნებენ

ბუნებაზე დაკვირვებისა და ობიექტური სინამდვილის სწორად, ზოგჯერ ნაკურთხილი სიზუსტით გადმოცემის უნარს. ცხადია, რომ თავისი სახის შექმნის დროს ადამიანი გამოდიოდა უშუალოდ ბუნებაზე დაკვირვებიდან; მაგრამ ამის საფუძველზე ის ახდენდა როგორც ფორმის, ისე შინაარსის განზოგადებას — გადმოსცემდა არა რომელიმე კონკრეტულ საბოლოოებს, არამედ ადამიანის, კერძოდ, ქალის ისეთ განყენებულ სახეს, რომელშიც გამოისახებოდა მისი არსი — ბუნების ნაყოფიერება, სიცოცხლის მარადიულობა.

პრიმიტიულ-რეალისტური „გვერდითი, ამ აღრუელ საფეხურზე უკვე ჩნდება უაღრესად განყენებული ფორმის ქალის ფიგურები; ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მამონტის ძვლისაგან გამოთლილი ძლიერ გამარტივებული ფიგურები მეზონის სადგომიდან. გაგარინობად და სხვა მრავალი. მასხადადმე, ანთროპომორფული ფიგურების სქემატიზაციამო შეიძლება დაეინახოთ ფორმის განვითარების მიმართულება — შედარებით რეალისტრიდან განყენებულისკენ.

დასავლეთ ევროპის ქვისხანის ხელოვნების გამოჩენილი მკვლევარი ანრი ბრეილი ღიჭრობს, რომ პრიმიტიული ხელოვნების საწყისები და განვითარების პირველი ნაბიჯები ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი; ის წერს, რომ ორინაკის ხანის ნაქანდაკე ფიგურები და გრავირებული გამოსახულებები მოწოდებენ ხელოვნების ირავისი ჯერ კიდევ უცნობი წარსულის არსებობას. ამის ერთ-ერთი საბუთი ის ასახელებს ბრანსპეის ძვლის პატარა ქანდაკებებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებულ მეტყველებით და ატარებენ ნატურაზე დაკვირვების ნათელ კვალს. ამასვე აღნიშნავენ სოციალიზმი, პალერმოს მახლობლად აღმოუპოვებულის უაღრესად უაღრესად დაზოგადებული ფორმისა და სიბრტყეობის რეალისტური პორტრეტული ნახატი, რომელზეც გადმოცემულია ბიჭის მოძრაობაში გამოსატყლად ადამიანთა ფიგურები, რაც, შესალოა, საირივლი ცეკვას გადმოსცემდეს. ფიგურები თავისუფალი ხაზებითაა გამოსატყლი და ნატურის ჩანახატებს წარმოადგენს. ინდივიდუალური პორტრეტული ხასათისთან ადამიანის თავის ჩანახატი, შესრულებული ნაკურთხი ხაზებით ქვის ფილის ნაგებზე, ნაპოვნი მარშის გამოქვაბულში, საფრანგეთში¹. ამრიგად, მართლა არის იმის საკმაოდ დამაჯერებელი ნიშნები, რომ თავდაპირველად ბუნების მიმსაგებებას, გარემოს სწორად ასახვას და ამ გზით მისი შექმნის სურვილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის მხატვრული თვალთახედვის ჩამოყალიბებისათვის; მაგრამ განვითარების ეს საფეხური შედარებით სწრაფად იქნა განვლილი და იმ დროს, როცა პრიმიტიული ხელოვნება პირველ ავეჯებას განიცდის, კურადლება ძირითადად გადატანილია გამოსახულების ზოგად შინაარსზე, იდეაზე, რასაც შესაბამისი ზოგადი ფორმა უსაჭიროება. ამით შეიძლება ავსნათ შემოადინებული ტენდენცია, რომელიც შეინიშნულია ფორმის განვითარებაში, — რეალისტრიდან განყენებულისკენ.

პრიმიტიული რეალიზმის ან ნატურალიზმის ნიშნები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილს დიდხანს იქნდა ხილვით თავს უფლებსი ხანების სახეობ ხელოვნებაში — ბუნების მიბაძვის, მისი ასახვის და ამ გზით შექმნობის სურვილი აზროვნების განვითარების, შემეცნების ერთ-ერთი გამოვლენება.



ახალი ქვის ხანაშიც კი, როცა ყალიბდება მწარმოებლური მეურნეობა და მისი შესაბამისი აგრარული სარწმუნოებრივი წარმოდგენები და კულტები და ქალის, როგორც ბუნების ნაყოფიერების მაგიურ-რელიგიური ფუნქციის მქონე არსების, დაკანონებული სიმბოლური სახე, ჩვენ ვხვდებით პრიმიტიული ნატურალიზმის საკვირველ მაგალითებს. ასეთია, კერძოდ, მცირე ასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე — „ჩათალ-პეუგუს“ და „პოტილარზე“ ნაპოვნი ფიგურები და სხვა მრავალი: ნატურალიზმის ყველაზე შესანიშნავი მაგალითია პალესტინაში, იერიქონის პორტო-ნეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნი ადამიანის თავისქალიბი², რომლებზედაც თხიხთ დაძვრწილია ადამიანის ნაკეთები, თვალში ჩასმულია ზღვის ნივარები, თმა და ულ-ნაკეთი დასატყლი საღებავით, რაც საკვირველ სიცოცხლეს აძლევს მათ. ადამიანის თავისქალების ასეთი შემოქმობი ჩვეულება დაკავშირებულია წინაპრების კულტთან და, საერთოდ, იმ დროის წარმოდგენებთან სიკვდილზე და იმეცნიერ ცხოვრებაზე; იერიქონის თავისქალიბი განხილული შეიძლება იყოს როგორც უძველესი „პორტრეტები“; ერთგვარი პორტრეტები დასაქრძალავი ნიღბებისა, რომლებიც ცნობილია ძველი სამყაროს ზოგიერთ მხარეში: მაგალითად, ეგვიპტესა და მიკენში. ცხადია, რომ ნეოლით-ენეოლითის ხანების შემოსენებულ ანთროპომორფული ფიგურებისა და თავისქალების რეალიზმი და პორტრეტულობა მინე მეტად პირობითია.

განთხატველობითი ფორმის გამარტივება და, ამავე დროს, გაზოგადება, მისი პირობითობა ერთნაირად ახასიათებს ძველი სამყაროს ვრცელ ტერიტორიაზე შუა აზიიდან აღმოსავლეთ ევროპამდე მცხოვრები მიწათმოქმედი მოსახლეობის სახეობი ხელოვნების ნიმუშებს, კერძოდ, ანთროპომორფული გამოსახულებების, და დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთგვაროვნების იერს აძლევს მათ. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას მიწათმოქმედი საზოგადოებების ეგვიპტური და სოციალური უფასოებრებისა და მის ნაიაღზე აღმოცენებული იდეოლოგიის მსახეობითა და იმით, რომ ადამიანთა აზროვნებას გარკვეული კანონზომიერებანი აქვს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის გამოთხატველობითი ფორმების გამარტივების შედეგად ხდება მათი ერთიანი ნივლიერება; ერთნაირობის ფერულზე მოთავსებურებებს ინარჩუნებენ არამარტო ძველი სამყაროს ცალკეული დიდი რეგიონები, როგორცაა, მაგალითად, სხვა აზია. წინა აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და სხვა, არამედ მათი ცალკეული მხარეები — ირანის პლატო, შუამდინარეთი, ანატოლია და სხვა — თვით ცალკეული ნამოსახლარები და იქნებ, „როსტრებიც კი“³. შემოთქმულის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ანთროპომორფული გამოსახულებები.

უძველესი ანთროპომორფული გამოსახულებები — თხიხსაგან გამოძვრწილი მცირე ზომის ფიგურები — ჯერჯერობა ნაპოვნი ნასოფლარებზე, რომლებიც სპეკიოლისტების აზრით ევუთენის ნეოლითის მიწურულსა და, ძირითადად, ენეოლითის ხანას. ნასოფლარები, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ხსენებულ ფიგურები, გავრცელებულია მდ. მცკერის დინების შუაწელზე, ქვემო ქართლში, მდ. ხრამის სანაპირო ველზე ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, აგრეთვე — მეზობელი აზერბაიჯანის ყაზახის რაიონში, მდ. აღ-

სტაფა ველზე. ამჟამად ისინი წარმოადგენენ მხოვრდულ ბორცვებს, რის გამოც მათ გორებს უწოდებენ. გათხრების დროს ამ გორებზე გამოვლენილი შენობების ნანგრევები, საყოფაცხოვრებო, საკულტო და სხვა საგნების ნაშთები ძირითადად ერთნაირია და შეადგენენ ერთ კულტურულ კომპლექსს, რომელსაც პირობითი უწოდებენ შულავერ-შომუთფეს კულტურას იმის გამო, რომ პირველად ის გამოვლენილ იყო აზერბაიჯანში შომუთფეზე, საქართველოში ე. წ. შულავერის გორაზე. გამოიკველია, რომ შომუთფე-შულავერის კულტურა სხვადასხვა ლოკალური ვარიანტების სახით ანსებობდა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წ. VI—IV ათასწლეულების ფარგლებში. ამ კულტურის თითოეული დასახლება წარმოადგენდა მატრიარქალურ საგვარეულო სოფელს, რომლის ეკონომიური საფუძველი იყო მიწათმოქმედება და, ძირითადად, მსხვილფეხა საქონლის მოშენება. ოჯახებისაგან შედგენილი გვარის, ანუ მთლიანად სოფლის სამეურნეო და სასოფალი-ებრთვი ცხოვრება აწყობილი იყო წესების მიხედვით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ წესებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ღვთის, გვარის, მისი ყოველი წევრის კეთილდღეობასა და ნაყოფიერების კულტს. შულავერ-შომუთფეს კულტურის ნასოფარებზე გათხრების შედეგად აღმოჩენილ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საგნებისა და თიხის ჭურჭლის მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია საკულტო შინაარსის მქონე სხვადასხვანაირი დამატება და სამკაული; მათ შორის არის ასტრალური, ცხოველური და მცენარეული სახეები, ხშირად ძლიერ სტილიზებული და გეომეტრიზირებული, აგრეთვე — ანთროპომორფული გამოსახულება ან მისი ცალკეული ელემენტები. ასე მაგალითად, აღმანიის ძლიერ სტილიზებულ-გეომეტრიზირებული გამოსახულებები დაძვრწილია დაბალი რელიეფის სახით იმირის გორაზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების პირთან; დამახასიათებელია ისიც, რომ თიხის ანთროპომორფული ფიგურების უმეტესობა აშკარად არის დაკავშირებული მუდმივი ცეცხლის შესანახად განკუთვნილ საოჯახო კერასთან, ხრამის დიდ გორაზე კი ზოგი მათგანი აღმოჩნდა უშუალოდ ნაცრით ამოვსილ კერაში, რომელშიც განსახიერებული იყო ასტრალური ღვთაება მზე⁸ აქ აღმოჩენილი ანთროპომორფული ფიგურების მთელი სერიიდან (21 ფიგურა) 17 მოპოვებულია № 1 ნაგებობის კერაში. ყველა ამ ფიგურებს (ერთის გარდა) მკვეთრად გამოსახული მდგომრობითა ნიშნები გააჩნიათ. აღმოჩენილი ფიგურებიდან სივითი ფორმის სქემატურობით ხასიათდება, ხოლო ფიგურების ის ნაწილი, რომელიც გამოირჩევა ფორმათა ნატურალისტური ხასიათით, პირობითად დაყოფილია ორ ჯგუფად: 1) ფენმოსხრილი-მუსლაწეული და 2) ფენგაჭიმული⁹. ჩვენ განვიხილავთ ხრამის დიდი გორის მეტ-ნაკლებად მთლიანად შემორჩენილ ფიგურებს. ესენია: პირველი ჯგუფის ფიგურებიდან ერთადერთი მთლიანად აღდგენილი ფიგურა; სამი ფიგურა, რომელსაც აკლია თავები; ორი ფრაგმენტი — თავი და თავიანი ტრისი და განსხვავებული ტიპის ანთროპომორფული ფიგურა შულავერის კორიდან, რომელიც ნაპოვნია ზედაპირულად და ამიტომ ძნელია გარკვევა თუ აქ აღდგენილ რომელ კულტურულ ფენას ეკუთვნის¹⁰.

ჩვენ იმითმ შემოვიფარგლეთ აღნიშნული ფიგურებით,



რომ ხელოვნების ჩასახვის პერიოდში, მაშინ, როდესაც გა-
მომსახველობითი ენის საშუალებები შეზღუდულია, საერთო
წარმოდგენის შექმნა პირველყოფილი ხელოვნების მხატვრულ
სახესზე და მისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით ფორ-
მის თავისებურებაზე ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით გაძ-
ნელებულია.

ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი თიხის ანთროპომორფუ-
ლი ფიგურები წარმოადგენენ მცირე პლასტიკის ნიმუშებს. ამ
ოთხივე ფიგურის ზომა არ აღემატება 6 სმ. ოთხი ფიგური-
დან, როგორც ზეგით აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთ ფიგურას გა-
აჩნია თავი (სურ. № 1). მიუხედავად იმისა, რომ ფიგურა
მჯდომელი პოზაშია გამოსახული, მისთვის არ არის დამახა-
სიათებელი სიმეფიქრე, რაც გამოწვეულია ჯდომის პოზითა და
გამომსახველობითი ფორმის თავისებურებით. ფიგურის ზედა
და ქვედა ნაწილის უთურავიშფარფრება შეაქვე გარკვეული
დაძაბულობა ჯდომის პოზაში. საჯდომის სიმაღლის დინე-
უფრო დაბალია მობრლივი მუხლების დონეზე. მაღლა აწეული
მობრლივი ფეხებით და ოდნავ წინ წამოწეული ტრისით, იქი-
ნება მაყარი და ამავე დროს დაძაბული ჯდომის შიბაქცილობა,
რასაც აძლიერებს ფიგურის არაპროპორციული ნაწილების —
შედაბრებით ვიწრო და თხელი ტრისისა და მოცულობიანი
მხიმე ქვედა ნაწილის შეფარდება. ფიგურის სტატურობას აძ-
ლიერებს თავი, რომელიც ზეგითვე წაგრძელებულია და ვიწ-
როვდება, ხოლო ქვედა გაფართოებული ნაწილი მაგრად
დასშულია ტანზე (ესეური წინა მხრიდან ოდნავ არის მიწინე-
ბული ფორმის შებრტყელებით). ფიგურის თავი, ტრისი, ქვე-
და ნაწილი მჭიდროდ ერთმანეთთან მიდგებულ მუხლებით გან-
ლაგებული არიან სწორ ვერტიკალურ ღერძის ირგვლივ. ფი-
გურას აქვს ხედიის ორი ძირითადი წერტილი: ფრონტალური
და პროფილური. მიუხედავად ფორმისა გარკვეული მსგავსე-
ნისა რეალურ ნატურასთან გამომსახველობითი ენა გამოირჩევა
თავისი პირობითობით. ფიგურაში, ერთის მხრივ, იმ ნაწილე-
ბის განყოფილება, რომლებსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა ეწი-
ებათ მისი შინაარსის გასწავლაში, ხოლო, მეორეს მხრივ, უარ-
ყოფა სხვა ანატომიურად აუცილებელი ნაწილების (ხედები
და სხვა), მეოთხეთის მის მაგიერ დანიშნულებას.

ყურადღების გამაჩვილება სხეულის იმ ნაწილებზე, რომ-
ლებიც ქალის ნაყოფიერების უნარზე მიუთითებს, აღმოჩენის
დადგომა, — კერა, რომელიც როგორც უკვე იყო აღნიშნული,
დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტთან, მჯდომარე პოზა,
რომელშიც გაერთიანებულია ორი წარმოდგენა ქალზე — ბავ-
შისი ტუქუს წყლის პერიოდში და ფეხმძიმობის დროს¹¹, გვა-
ფიქრებინებს, რომ ამ მცირე ზომის თიხის ფიგურას ენიჭებო-
და მაგიური დანიშნულება ნაყოფიერების კულტში თუ მხედ-
ველობაში მივიღებთ, რომ ქვემო ქართლის ენოლოგიურ ნამო-
სახლარებზე შეიმჩნევა გვაროვნული თემების რღვევა და
დიდი ოჯახების, სახლების წარმოშობა¹², ეს ფიგურა დაკავში-
რებული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ დავილზე მცხოვრებ
კონკრეტული ოჯახის წარმოდგენებთან, ჰქონდა ლოკალური
ხასიათი და დაკავშირებული იყო ადგილის დედის კულტთან.
ან ფიგურის მაგიერ დანიშნულებაზე მიუთითებს ისიც, რომ
ის განკუთვნილი იყო არა მაცურებლისთვის, არამედ გუსა-
ნოდა იმ კონკრეტულ ოჯახს, რომლის სახლის კერაშიც იყო

მოთავსებული და უზრუნველყოფდა ამ ოჯახის ნაყოფიერებას.
მიუხედავად იმისა, რომ ფიგურა თიხისაა ნაძრევი, მას ახასია-
თებს უფრო მეტად სკულპტურული, ვიდრე პლასტიკური სტი-
ლი. ფორმის გარკვეული კომპაქტურობა, მოცულობიან ფორ-
მათა სიმკვრივე, ფორმათა დანაწევრების გარკვეული გაუბუ-
ვობა, სტილზე შეზღუდულობა ქვემო გამოკვეთილი ფიგური-
სა. პლასტიკურ ფორმათა მონაცვლეობა (მუხლი, მკერდი, თავი),
რაც ქმნის მოცულობიან ფორმათა რიტმს, ძერწვის გან-
ზოგადებული მანერა, ფორმათა სიმკვარე, პოზის თავისებური
დაძაბულობა, მაცურებელში იწყებს პლასტიკური გრძობების
კონცენტრაციას. ფიგურას ენიჭება შინაგანი ენერჯია, რომე-
ლიც მას მაგიურ ძალას ანიჭებს.

ამ ფიგურის თავთან ახლოა ხრამის დიდი გორის ანთ-
როპომორფული ფიგურის ორი ფრაგმენტი: თავი და თავიანთ
ტრისი (სურათი №№ 2, 3) ამ სამივე თავს აქვს მსგავსი ფორ-
მა, თუმცა ორი უკანასკნელი გამოირჩევა ფორმის გადმოცემის
შეტი დეტალიზაციით და თავისი ხასიათით. თუ შევადარებთ
მთლიანი ფიგურის თავის ორ ფრაგმენტს, უნდა აღინიშნოს,
რომ პირველი ფიგურის თავი გამოირჩევა ფორმის მეტი სტე-
მატიკობით, ძერწვის უხეში მანერით, ხოლო უკანასკნელი
ორი გამოირჩევა მეტი სიმეტრიულობითა და წბილი ძერწვით.
დიდი თავებიც, ღრმა პედეტივი, აღნიშნული წარბები, ზეაწე-
ული თავი განსაზღვრავს მათ სემანტიკას, რომელიც დაკავში-
რებულია სოღარული კულტთან¹³. მათგან განსხვავებით. პირ-
ველი ფიგურის კომპოზიციაში ხასი გასშული აქვს მიმართუ-
ლებას ქვევით, მიწისკენ, რაც ვლინდება ფიგურის ქვედა ნაწი-
ლის სიმძიმით, მაგრად დასშულ უკისრო თავსა და პირდაპირ
მაკობობლ შერწყმას. აღნიშნული ფიგურების დამახასიათებ-
ელი „გამომსახველობა“, „ფრონტალულობა“ კარგად ხსნის მათ
ხასიათსა და დანიშნულებას. ფიგურების ფრაგმენტების თავ-
ზეზე დარჩენილი ფერწერის კვალი (თეთრი საღებავით დაჯა-
რული სახის სიბრტყის ნაწილები, შავი მრგვალი წერტილები)
საკრალურ ტაქტიურებას გამხაზავდა და გარდა გარკვეულ
დეკორაციულობისა სახეს მეტი გამომსახველობასა და გქპარე-
სიულობას ანიჭებდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტრისიან
ეფემო უკვე ჩანს სილამაზის გრძობა, რაც ვლინდება უფრო
მეტი დახვეწილი ფორმების გადმოცემაში, რბილ მიდღიორ-
ბასა და სიმეტრიულობაში.

ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ფიგურიდან კა-
შიორის მხარეზე მეთრე თავაწეულობილი ფიგურა, რომელიც ოსტატურად
არის შესრულებული (სურ. № 4). ეს ფიგურა მჯდომარე
პოზაშია გადმოცემული. განსხვავებით მთლიან ფიგურისაგან,
მას არ ახასიათებს დაძაბულობა. ფიგურის ტრისის უფრო თავ-
ისუფლად გაზიდული ქვედა ნაწილი, რაც ჯდომის პოზის უფ-
რო მეტი ბუნებრიობას ანიჭებს. თუ პირველი ფიგურის საყრ-
დენი წერტილები არის უფრო მკვეთრად გამოყოფილი (საყ-
რდომი, ფეხის ტემეფები), მეორე ფიგურის საყრდენი: ტანის
მთლიან ქვედა მხრე ნაწილი. კომპოზიცია უფრო თავისუფ-
ლია, სხეულის მოცულობიანი ფორმები შედარებით თავისუფ-
ლად არის გაშლილი სივრცეში. ამ ფიგურას ახასიათებს ფორ-
მათა სიმრგვალი, განზოგადება, მისთვის დამახასიათებელია
მეტი პლასტიკობა და მასალის გრძობა. ეს ფიგურა მრგვალ
ქანდაკებას უახლოვდება. ფორმათა გამომსახველობის შედეგად


სხეულის სიმბოლურ კარგავს თავის განყენებულობასა და აბსტრაქტულობას. ფიგურა ხდება ნაყოფიერების ნათელი განსახიერება, უზრუნველყოფს ამ ოჯახის გამრავლებასა და კეთილდღეობას.

განსხვავებით ამ ფიგურისაგან მესამე პატარა ფიგურა (სურ. № 5) გამოირჩევა ფორმის უფრო ნაკლები დანაწევრებით, ოუმცა ძერწვის მანერა აქაც ძალიან რბილია ფიგურა თითქმის ინარჩუნებს თიხის მრგვალი ბურთის პირვანდლ ფორმას. ერთი მხრიდან მოდელირებული მსხვილი ფეხები და დიდი ბიუსტი ხაზს უსვამს ფიგურის მაგიურ ძალას ოჯახის ნაყოფიერების უზრუნველყოფაში. მაუხედავად ფორმათა მსგავსებისა ამ სამივე ფიგურას ეტყობა სხვადასხვა შემსრულებლის ხელი, ინდივიდუალური მანერა, პირველი ფიგურა გამოირჩევა ფორმის მეტი კონსტრუქციულობითა და სიმაკრიო, დანარჩენ ორ ფიგურაში უფრო ელანდება პლასტიური საწყისი, რომელთაგან პირველში ჩანს როგორც შეპურლების მეტი ოსტატობა. ასევე ცოცხალი ნატურის შეგრძნება, რაც ვლინდება სხეულის ნაწილების უფრო თავსუფალ ბუნებრივ ურთიერთკავშირში.

აღნიშნული სამი ფიგურიდან განსხვავდება მეოთხე ფიგურა, რომელიც ასევე მჯდომარე პოზიშია (სურ. № 6). ფიგურებზე, რომ შესაძლებელია ეს იყოს მამაკაცის გამოსახულება¹⁴. ფიგურას მკერდის ნაცვლად დატყნული აქვს ღვედისებური რელიეფური ზოლები, რომლებიც ამქამად დაზიანებულია და ნაკლებულია. ფიგურის ჯდომის პოზა მყარია, საკმარისად განიერი ენერგიულად მოდელირებული ტორსი გაწონასწორებულია გრძელი, პროპორციულად იმავე ზომის ქვედა ნაწილით, ვრძელი ბარძაყებითა და მოხრილი ფეხებით, რომლებიც ფიგურას მყარ საფუძველს უქმნის. განსხვავებით პირველი სამი ფიგურისაგან, ამ ფიგურაში არ არის აქცენტირებული ტანის ქვედა ნაწილი, რომელსაც პირველ შემთხვევაში ენიჭებოდა გარკვეული სემანტიკური შინაშენლობა. ფიგურას აქვს უფრო წაგრძელებული პროპორციები და ახასიათებს ძერწვის სიმკვრივე, რაც შექმნილ სახეს გარკვეულ ფიზიკურ სიძლიერეს ანიჭებს. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ამ ფიგურასა და ზემოთ აღნიშნულ ფიგურებს შორის არის მისთვის დამახასიათებელი სხეულის აღნაგობა, რომელიც უფრო ახლოა მამაკაცთან: უფრო წაგრძელებული ფორმები, განიერი ძლიერი ტორსი, შედარებით მსუბუქი ქვედა ნაწილი, მკერდის არ არსებობა, რომელიც შეცვლილია მასზე დატყნული ღვედისებური რელიეფური ზოლებით.

ცნობილია, რომ საყოველთაოდ გავრცელებულ ქალის გამოსახულებებს შორის მამაკაცის ფიგურებიც გვხვდება და, როგორც აღინიშნავს ი. კიკვიძე, „...ამ ხანაში ეღება ბოლო მის (ქალის) ერთპიროვნულ ბატონობას და ძლიერი მეტოქე უჩნდება გამანაყოფიერებელი ღვთაებებს სახით, რომელიც უკვე მამაკაცური ბუნების არის“¹⁵. თუ დავუშვებთ, რომ ეს არის ქალის გამოსახულება, ღვედისებურ, რელიეფურ ზოლებს, რომლებიც ფარავენ მკერდის ადგილს, საფიქრალია, რომ ენიჭებოდათ მაგიური დანაშნულება.

ხრამის დიდი გორის ფიგურებისაგან განსხვავებულია შუალაგერის გორის ზედა ფენის ფიგურა (სურ. № 7). თვლიან, რომ ეს ფიგურაც მჯდომარეა¹⁶. მას არ გახანია არც თავი, არც





მკლავები და სხეულის სხვა დეტალები. ფიგურას აქვს წვრილი სხეული, რომელიც ზევიითვე ვიწროვდება (კონუსისებურია) და ფართოდ გაშლილი, მსხვილი, გაჭიმული ფეხები. ფიგურის სხეულის ფორმის სქემატიზაცია ანელებს მისი პოზის ზუსტად დადგენას. ფეხებისა და სხეულის მდგომარეობა შეესაბამება სამეუბნედის ფორმას, რაც კომპოზიციას წონასწორობასა და სტაბილურობას ანიჭებს (განსხვავებით ხრამის დიდი გორის ფიგურებისგან, სადაც წონასწორობა იქმნებოდა პლასტიური მასების განაწილებით). თუ ჩავთვლით, რომ ფიგურა მჯდომარე პოზაშია გამოსახული, მაშინ სახეზეა მჯდომარე პოზის შეთავსება ვერტიკალთან. საგულისხმოა, რომ უძველესი მიწათმოქმედი ტომების კისნოგონიურ შეხედულებებში შერწყმულია ორი მოპოტი: ქვეყნიერება შექმნილია ვერტიკალური დაყოფის შედეგად, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მიწასთან, რომლის ნაყოფიერების უნარი მსავსება ქალის ნაყოფიერებისა. კომპოზიციის ვერტიკალური ხასიათი და ტანზე ამოკვეთილი წიწვოვანი ორნამენტი ქალის ფიგურის მკანარეს, ხეს ამსავსებს, ხდება შერწყმული ქალის ხასის ხესთან, მის მკანარეულ ბუნებასთან. ქალი იგულისხმება, როგორც დღემდე სიმბოლო, რომლის სახეში შერწყმულია ორი საწყისი: მკანარეული და მიწური. შუალაგერის გორის ფიგურის გრაფიული დამუშავება: ფეხებზე გამოსახული პარალელური ჭედები და ტანის საპირისპირო ნიშართულების ზოლები, რომლებიც შეერთების ადგილზე ქნინან კუპრებს, არ წარმოადგენს ურალურ დეკორატიულ მოტივს, არამედ მას განსაზღვრული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა, რომ ის დაკავშირებულია გაქენის, დაბადების იდეასთან; აღსანიშნავია გამომსახველობითი ფორმის გრძობა გრაფიკული ორნამენტის განაწილებისას. ფეხებზე გამოსახული პარალელური ჭედები ხაზს უსვამს კომპოზიციის წინასწორობას, ხოლო ტანზე გამოსახული წიწვოვანი ორნამენტი, ზევიითვე განშტოებული ხაზების განმეორებითი რითმი ანიჭებს ფიგურას

გარკვეულ ზესწრაფვასა და ბადებს ზრდის, გამრავლების ასოციაციებს.

ანთროპომორფული ფიგურები ფართოდ გავრცელებული იყო ძვ. წ. VII—IV ათასწლეულებში, მწარმოებელი მურენიონის ჩასახვისა და სამიწათმოქმედო კულტურების აყვავების ხანაში, მცირე აზიის უძველეს ნამოსახლარებზე; ნეოლიტურ ჩათალ-ბუკიუსა და ჰაჯილარის ანთროპომორფული ქანდაკების სტრები ხასიათდება ტიპობრივი მრავალფეროვნებით (ფეხზე მდგომი, მწოლიარე, დამჯდარი). უმთავრესად ქალების გამოსახულებებია, ხშირად გამოსატული ფეხშიმედ აღსანიშნავია. ამ სერიების ფიგურებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა ბუნებრივი ფორმების გადმოცემისაკენ. უმრავლეს შემთხვევაში სხეულის ფორმათა მეტი დიფერენციაცია, ფორმის ყოველმხრივი დამუშავება, რაც მათ მრავალი პლასტიკის ნიმუშებს უახლოვებს, განსხვავებით ხრამის დიდი გორის ფიგურებისაგან, რომლებშიც კერძოდ შენარჩუნებულია ფონტალურობა.

შესაბოტამიის თხის ფიგურების უმრავლესობა ქიარიმ-ხიარის უკერძაო ფეხებიდან და ნეოლიტური ჯარმოდან პოზების მხრივ უახლოვდება ხრამის დიდი გორის მჯდომარე ფიგურებს. ზოგიერთ შემთხვევაში აღსანიშნავია ჯდომის პოზის ბუნებრიობა, თუმცა ხასიათდება სხეულის ფორმათა დაუნაწილებლობა და გამომსახველი ფორმის განსოვადლებით.

ანთროპომორფული ქალის ქანდაკებებისათვის, რომლებიც აღმოჩენილია ირანში ნეოლიტურ თევზ ხარაზე, დამახასიათებელია სხეულის ფორმათა სტილიზაცია და გრაფიკული დამუშავება, რაც განსაზღვრავს გამომსახველობითი ენის გარკვეულ პირობითობასა და ხაზს უსვამს დეკორატიულ საწყისს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰასუნისა და ხამარის კულტურის (ტელეს საფანის) ძველებზე (მესობოტამიის ნეოლითის ხანა) აღმოჩენილი ანთროპომორფული ქანდაკებები, რომლებიც, როგორც უკვე იყო აღნიშნული¹⁷, იწინე გარკვეულ მსავსებას ხრამის დიდი გორის ფიგურებთან (კონუსური მოცვანილობის თავები, მკაფიოდ გამოყოფილი ხასის სიბრტყეები, წარბები და ინკუსტირებული თვალები). გარდა აღნიშნული ნიშნებისა ამ ანთროპომორფულ ქანდაკებებს ხრამის დიდი გორის ფიგურებთან აკავშირებს კომპოზიციის ფონტალურობა, სწრაფვა ბუნებრივი ფორმების გადმოცემისაკენ, სხეულის ნაწილების ორგანული უთითერეკავშირის გრძობა და გამომსახველობითი ფორმის განსოვადება.

ხრამის დიდი გორის ფიგურებთან მსავსების მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ჰალაფის კულტურის (მესობოტამიის ნეოლითის ხანა) ძველებზე (ტელ-ჰალაფი, ტელ-არბაჩია, თევზე-გაგრა და სხვა) აღმოჩენილი ანთროპომორფული ფიგურები, რომლებიც გამოირჩევიან ტიპობრივი მრავალფეროვნებით. ამ ფიგურებიდან აღსანიშნავია არა მარტო ის ფიგურები, რომლებიც ხასიათდებიან მეტი მსავსებით სხეულის ბუნებრივ ფორმებთან, არამედ ისეთებიც, რომლებსაც ახასიათებთ ფორმის სტილიზაცია. პოზითა და ფორმების მოდულირებით ხრამის დიდი გორის ფიგურებთან განსაკუთრებით ახლოს არიან მჯდომარე მუხლებზეწული ფიგურები, თუმცა მათ შორის არის ნიშნულდღიანი განსხვავებაც; თავების განსხვავებული ფორმა, ზოგიერთებს გაანინათ ხელები. აღსანიშნავია, რომ სწო-

რედ ამ ცალკეული განსხვავებული ნიშნებით ისინი უახლოვდებიან შულავერის გორის ფიგურას და ხრამის დიდი გორის ქედებთან ფიგურას. აღნიშნული მსგავსების გარდა, რომელიც პირველი როგორ ვლინდება მჯდომარე მუხლებსააწვეულ პოზაში და სხეულის სემანტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილების ფორმათა უტრირებაში (მკერდი, მძიმე ქედა ნაწილი, მსხვილი ბარძაყები) ჩანს მნიშვნელოვანი განსხვავებები გამომსახველობითი ენის თვალსაზრისით. პალაფის კულტურის ამ მჯდომარე ფიგურებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის უფრო მეტი ფორნტალურობა, რასაც განასაზღვრავს ტრისის გაჭიმული მდგომარეობა და უფრო მეტი პროპორციულობის გრძობა სხეულის ზედა და ქვედა ნაწილების შეფარდებისას. პლასტიურ ფორმათა კონტურის გამოხატულობა, მისი რბილი ხაზობრივი რითმი, თითქმის ფარავ მრეკლობიანი სხეულის რეალურ სიმძიმეს, აძლიერებს დეკორატიულ საწყისს.

ხრამის დიდი გორის ფიგურებისათვის დამახასიათებელია ქანდაკების უფრო მატერიალური ბუნება, ფორმები განზოგადებულია არა იმდენად კონტურით, რამდენადაც მოცულობიან ფორმათა ძერწვით, მოდელირებით, რაც, თავის მხრივ, კარგად ავლენს ქანდაკების რეალურ სიმძიმეს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად პოზასა და სემანტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფაში მსგავსებისა, ვლინდება გარკვეული სტილისტური განსხვავება. ხრამის დიდი გორის ფიგურებისათვის დამახასიათებელია მოუკლობიან ფორმათა პლასტიკობა. ხილი პალაფის კულტურის ძველში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გრაფიკულ საწყისსაც.

როგორც სხეულის ცალკეული ფორმათა მსგავსების მხრივ, ასევე სტილისტურად შულავერის გორის ფიგურას და ხრამის დიდი გორის სალტებიან ფიგურას უახლოვდება პალაფის კულტურის (თეფე-გავრას) ორი ანთროპომორფული ფიგურა.

შულავერის გორის ფიგურასთან ახლოსაა თეფე-გავრას მჯდომარე ფიგურა, რომელშიც ისევე, როგორც ფიგურაზე შულავერის გორიდან არ არის მინიშნებული სქესობრივი ნიშნები; ამ ორ ფიგურას ერთმანეთს უახლოვებს ანალოგიური ფორმის წარმოდგენილი და ზევიტან დაეწირობებული ზედა ნაწილი (კონუსისებური) რომელზედაც გამოსხვლია გრაფიკული წიწვიოვანი ორნამენტი. მიუხედავად განსხვავებული ნიშნებისა (თეფე-გავრას ფიგურა ფეხმოხრილ, მუხლსააწვეულ მჯდომარე პოზაშია და გამოსახული აქვს მკერდზე დაწყობილი ხელები) ორივესთვის დამახასიათებელია სხეულის ფორმის და კომპოზიციის (ფორნტალურობა) მსგავსება, სილუეტური ხაზის გამომსახველობა, ზედაპირის გრაფიკული დამუშავება და (გარკვეული) დეკორატიულობა.

ხრამის გორის სალტებიდან ფიგურასა და პალაფის კულტურის თეფე-გავრას ფიგურას შორის მსგავსება ვლინდება ჯდომის პოზის თავისებურებაში, კომპოზიციის ხაზგასმულ ფორნტალურობაში, სხეულის ნაწილების ფორმათა გადმცემებაში (ენერგიულად მოდელირებული ტრისი) და მათ პროპორციულობაში, სილუეტური ხაზის გამოხატულებულ ხასიათში. ჩვენს მიერ განხილული ანთროპომორფული ფიგურების ფორმის ანალოხი ადასტურებს უკვე აღნიშნულ მსგავსებას¹⁸ შულავერ-მომე-თეფეს კულტურისა და პასუნასა და

პალაფის კულტურის მცირე პლასტიკის ნიმუშებს შორის.

ქვემო ქართლის ადრეამიწიანოქემდე ნამოსაძლარენზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ძველში ვლინდება ქანდაკების სპეციფიკური ნიშნები: ქანდაკების მოაგარი თება — ადამიანის გამოხატულება, ქანდაკების მატერიალური ბუნება, კონტრეტულობა, სამკანუზომილებიანობა, წონადობა. ისახება მხატვრული ფორმის გრძობა (შეგრძნება), რომლისთვისაც დამახასიათებელია პლასტიურ ფორმათა და ხაზობრივი რითმი, პროპორციულობის გრძობა და კომპოზიციური წონასწორობა სემანტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფის დროსაც კი.

ყოველივე შემოთაღნიშნული მიუთითებს მხატვრული ახროვნების ჩამოყალიბებაზე ამ აღნიშნულ ეტაპზე და საშუალებას გვაძლევს ეს ანთროპომორფული გამოხატულებები ჩაკეცილად დასვრდების ტერიტორიაზე მოპოვებულ ხელოვნების უძველეს ნიმუშებად.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი :

¹ H. Bruil, Lepaléolithique. L'artel'homme, I, გვ. 38, სურ. 46.

² H. W. Janson, History of art. Second ed. 1977, გვ. 26, სურ. 13.

³ H. Bruil, დასახელებული ნაშრომი, სურ. 34.

⁴ E. V. Antionova, Антропоморфная скульптура древних земледельцев Передней и Средней Азии, М., 1977, таб. XII, XXII.

⁵ S. Mellart, Earliest civilisation of the Near East.

⁶ ლ. ლონტი, თ. კილერაძე, ა. ჯავახიშვილი, ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები, ძველის მეცნიერება, № 33, 1973.

⁷ ი. კიციბე, მიწათმოქმედება და სამაშობოქემდე კულტურა ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, თავი 111.

⁸ ი. კიციბე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 164, 165.

⁹ ლ. ლონტი, თ. კილერაძე, ა. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი.

¹⁰ ეს ფიგურები აღწერილია უკვე აღნიშნულ ნაშრომში: ლ. ლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კილერაძე.

¹¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

¹² ი. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ. 63.

¹³ ი. კიციბე, დასახელებული ნაშრომი.

¹⁴ ი. კიციბე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.

¹⁵ ი. კიციბე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.

¹⁶ ი. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 90-92. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ. 90-92.

¹⁷ ლ. ლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კილერაძე, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 16.

¹⁸ ლ. ლონტი, თ. კილერაძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.



ერნოტ ლომიე, 1865 წ.

დიდი ფრანგი მხატვარი

კიტი მაჩაბელი


პარიზის ქუჩებში ჯერ კიდევ ბარიკადები იყო აღმართული, იქვე კი სენის სანაპიროებზე ბუკინისტები უკვე ჰყიდდნენ ესტამპებს, რომელზეც გამოსატული იყო ტერუან დე მერიკური, სიმბოლო მებრძოლი საფრანგეთისა, ზარბაზანზე მკდომარე, სატყვერით ხელში.

ხელოვნება მძლავრად შეიჭრა XIX საუკუნის საფრანგეთის ცხოვრებაში. მოწინავე იდეებით შთაფინებული კმნილებები პარიზის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. და ამაში უდიდესი როლი დაეკისრა სწორედ ბეჭდურ გრაფიკას, რომლის დარგთანაც ყველაზე სწრაფად ლითოგრაფია განვითარდა. ლითოგრაფია, ანუ სიტყვა-სიტყვით „ქვაზე წერის“ ან „ხატვის“ ხელოვნე-

ბა გრაფიკის ყველა სხვა ტექნიკაზე ახალგაზრდაა. იგი ჩაისახა და განვითარდა XIX საუკუნის დასაწყისში. მის სწრაფ აყვავებას ხელი შეუწყო იმან, რომ, გრაფიკების სხვა ტექნიკისაგან განსხვავებით, იგი უფრო პრაქტიკული და მოხერხებული აღმოჩნდა, რადგან მხატვარი უშუალოდ ასრულებდა ნახატს ლითოგრაფიულ ქვაზე.

ლითოგრაფიას დაეკისრა ამოცანა ხალხის ფართო მასები გაერკვია აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებში, გრაფიკული ხელოვნების სპეციფიკური საშუალებებით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება დროის მტკიცენული პრობლემებისადმი.

საფრანგეთის რევოლუციურმა სინამდვილემ



აჯანყება

საზოგადოებრივი აზრის აღმავლობამ ხელი შეუწყო ლითოგრაფიის ხელოვნების ფართო ასპარეზზე გასვლას. ლითოგრაფია — პარიზის ცხოვრების დამახასიათებელი და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. წიგნის ფარდულეებში, მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილი ნაწარმოებები პარიზელთათვის ისეთივე აუცილებელი რამ იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც დილისა და საღამოს გაზეთები.

1831 წლის დეკემბერში ობერის ფირმის მაღაზიის ვიტრინასთან ხალხი ინტერესით ათვალიერებდა აქ გამოფენილ ახალ ლითოგრაფიას. ჩასუქებული ლუი ფილიპე შთანთქავს ოქროს,

უსასრულო ნაკადად რომ მიედინება მისი დაღებული ხახისაკენ. ხალხმა შეიცნო გაუმძღარი „გარგანტიუა“, რომლის მადა მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელ ხალხს. ყველა მოიწინააღმდეგებდა, რათა მოესწრო ამ შეხანიშნავი კარიკატურის შექმნა. მაგრამ საქმეში ჩაერია პოლიცია და ლითოგრაფიის მთელი ტირაჟი აკრძალა. პარიზი რამდენიმე დღის განმავლობაში დაპარაკობდა ამ ლითოგრაფიაზე. მისი ავტორი კი — ასალგაზრდა მხატვარი ონორე დომიე ამ წარმატების შედეგებს იმკიდა — სასამართლომ იგი 500 ფრანკით დააჯარიმა და ეჭვსი თვის პატიმრობა მიუსაჯა მთავრობის შეურაცხყოფისათვის,



პოეტი

ვაჭარი



ოცდაოთხი წლის მხატვარმა პარიზის სენტ-მელის საპატრიარქოში მიიღო საბრძოლო წახვეტა, და ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება მებრძოლ საფრანგეთს ეკუთვნოდა.

* * *

ონორე დომიე, გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი მხატვარი, განასახიერებდა ყოველივე პროგრესულს თავისი ქვეყნისა და თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის შემოქმედებაში გადაიშალა სამი რეკლუციის ეპოქის საფრანგეთი. შესანიშნავი ფერმწერი, სანტიერესო მოქანდაკე, ო. დომიე გაცილებით უფრო ფართოდ იყო ცნობილი როგორც მხატვარი-კარიკატურისტი. მას ხელთ ჰქონდა მძლავრი იარაღი ადამიანის დამთრგუნველი ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ეს იყო ნასახტი, რომლითაც მხატვარმა შექმნა თავისი ეპოქის ისეთი სრულ სურათი, როგორც არ შეუქმნია არც ერთ სხვა შემოქმედს. მისმა ნოვატორულმა ხელოვნებამ, ჭეშმარიტმა რეალიზმმა ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება მხატვრის სიცოცხლეში. მხოლოდ შესანიშნავმა ფრანგმა პოეტმა შარლ ბოდლერმა, ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნემ და დამფასებელმა ალიარა იგი ეპოქის უდიდეს ფერმწერად, ნერისა და დელაკრუს გვერდით.

სიძნელეებით იყო აღსავსე დომიეს ცხოვრება. მარსელიელი ხელოსნის ოჯახიდან გამოსულმა ჭაბუკმა ბევრი გაჭირვება გამოიარა, ვიდრე საკუთარ გზას გაიკვლიდა: ცამეტი წლიდან — ლუგმა პურზე ზრუნავდა, მუშაობდა შვირიკად სასამართლო მოხელის კანტორაში, შემდეგ — დელონეს წიგნის მაღაზიაში, სადაც პატარა ონორე მეტ წრის ანდომებდა გრაფიურების თვალყურებას, ვიდრე თავისი მოვალეობის შესრულებას. ხელოვნება უჩვეულოდ იზიდავდა ჭაბუკს. ხატვის გარდა არაფერი აღარ აინტერესებდა. მყარი სამხატვრო განათლება დომიეს არ მიუღია. მუშაობდა ალექსანდრე ლენუარის სახელოსნოში, შემდეგ ე. წ. „სიუისის აკადემიაში“, სადაც მცირე ვასამრჯელოს გაღებით ახალგაზრდები ცოცხალი ნატურიდან ხატავდნენ. დომიეს ნიჭი გაიშალა სრულიად დამოუკიდებლად. დიდი მხატვრები ხელოვნება ლუერის დარბაზებში და მისი თანამედროვე საფრანგეთის მჭევრავრე ცხოვრება — აი, ის ორი წყარო, ორი დიდი მასწავლებელი, რომელსაც უმაღლის დომიე თავისი ხელოვნების სრულყოფას.

დომიეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლითოგრაფიის ტექნიკამ, რომლის პირველი გამოკვლილები მან შარლ რამესეცანგ მიიღო. ლითოგრაფია მას საშუალებას აძლევდა გამოხატურებოდა პარიზის ბოზოქარი ცხოვრების მოვლენებს. მისმა ნახატებმა მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება და სატირული ყოველკვირეული გაზეთი „კარიკატურის“ გამოცემულმა, მხატვარმა შარლ ფილიპონმა იგი თანამშრომლად მიიწვია. ეს უკვე ნამდვილი აღიარება იყო.



დაიწყო დაულალავი, თავდავიწყებული შრომის წლები. საფრანგეთის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება მსატარის უსაზღვრო მასალას აწვდიდა მამხილებელი, გაბედული ნახატებისათვის. არავითარ ძალას არ შეეძლო აეძულებინა უარი ეთვა თავის რწმენაზე. ცხოვრებასა და ხელოვნებაში იგი სამართლიანობის მხარეზე რჩებოდა. საფრანგეთის ისტორიის ყველაზე მშფოთვარე დღეების მომწირვე თავიდანვე აირჩია პოზიცია რევოლუციური მასების გვერდით. მარსელიეზის ჰანგებში, პარიზის ბარკადებიან ქუჩებში იწრთობოდა და ვაკაცადებოდა მისი ხელოვნება. პარიზის კომუნის დღეებში მსცოვანი მხატვარი მხატვართა ფედერაციის კომიტეტის წევრად აირჩიეს.

პირველ ლითოგრაფიებში ვერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული დიმიეს სტილი, მათში ჭარბობს თხრობითობა, თუცა კომპოზიციის ოსტატობა და მახვილი თვალი მის ყველა ლითოგრაფიაში თანაბარი ძალით იგრძნობა. რაც მთავარია, ყველ ნაწარმოებში იშვიათი პოლიტიკური ალღო და რთულ სიტუაციაში ღრმად წუდობის გასაოცარი უნარი ჩანს.

„საკანონმდებლო სტომპიქი“ — ეს ლითოგრაფია უკვე ხარისხობრივად ახალი ნაწარმოებია. მასში არა რომელიმე გარკვეული პიროვნების უარყოფითი მხარეობა დახატული, ეს არის საფრანგეთის მთავრობის, იგლისის მონარქიის დაუნდობელი, მამხილებელი კრებობით პორტრეტი. ამფოთუატრის სავარძლების მონოტონური რკალების რიტმში წარმოდგენილია დეუტატატა გულგრილი, თვითმყოფილებით ახსავსე, მღიქვეწლური სახეები. არავითარი დამატებითი აქსესუარები ან დეტალები! უმარტაგვის ხერხები-თაა დახატული ხალხის ბღისადმი სრულიად გულგრილი მთავრობის ქეშმარიტი სახე, შემზარავი მისი დაუფარავი ბოროტებით.

ჭაბუკი დომიეს ნაწარმოებთა შთამბეჭდაობა ბალსაკმა შემდეგნაირად განმარტავს: „ამ ახალგაზრდას მიქელანჯელოს კუნთები აქვსო“. იგი გულისხმობდა დომიეს ხელოვნების განსაკუთრებულ თვისებას — სკულპტურულობას, მონუმენტურობას, რაც სათავეს იღებდა მის გატაცებაში ჯანდაკებით.

ცნობილია მეთოდი, რომლითაც მუშაობდა დომიე თავისი კარიკატურების შექმნაზე. 30-იან წლებში, იგლისის მონარქიის რეპუბლიკურ პოლიტიკოსთა ნახატი პორტრეტების შესაქმნელად იგი წინასწარ თიხისაგან ძირწვდა სკულპტურულ პორტრეტებს. გროტესკამდე მიჰყავდა სახის სახასიათო ნაკვები, სავანგებოდ ქმნიდა განათების ეფექტებს და შემდეგ მათ მიხედვით ასრულებდა მამხილებელ, გამომსახველ ნახატ პორტრეტებსა და ლითოგრაფიებს. ამ პატარა სკულპტურული მიუსტების მონუმენტურობა და უდიდესი შინაგანი დინამიკა დომიეს ბრწყინვალე პლასტიკურ ალღოზე მიუთითებს. ჯანდაკე-



ბებში დომიემ ისეთი თავისუფალი, ექსპრესიული პლასტიკური ხერხები გამოიყენა, რეგულარულ შემდგომში მხოლოდ როდენთან ვგებდებოდა. ეს სკულპტურულობა, ფორმის ხელშეწყობა მოცულობითობა მკაფიოდ ჩანს დომიეს ნახატებში, ლითოგრაფიებში.

„ტრანსანონენის ქუჩა 1834 წლის 15 აპრილს“ — ორნახევარი წელი გავიდა „გარანტიუას“ შემდეგ და ერთი-დღიანი გალერეაში დომიეს ახალი ლითოგრაფია გამოჩნდა. გამგულეები მის წინაშე ქუდებს იხდოდნენ, ჭალები ტიროდნენ. განმეორდა ძველი ისტორია, გამოიყვამულ ლითოგრაფიების დასტები ჩამოართვეს და დასწვეს. დომიეს ავიჯრდა ასედა დაპატრონება. პარიზში, ტრანსანონენის ქუჩაზე მომხდარმა შეშარავამ ბოროტებულდებამ, უდანაშაულო ხალხის უწყალოდ ამოვლტამ მთელი ქალაქი შესძრა. დომიე შეშენა კიდე ერთი მამხილებელი ნაწარმოები, რომელშიც ჩაკისვთა მთელი თავისი აღმფოთება, გულისტკივილი. ფართო განზოგადება, კომპოზიციის უამღლო ოსტატობა, განათების ვირტუოზული გამოყენება ამ ნახატს ეპოქის „სისხლიან“ ფურცლად აქცევს, რომელიც მრისხნე ხელობაა შექმნილი და კეთილშობილი აღმფოთებითაა ნაყარნახვე... ეს ნახატი დროულად გამოჭედილი მედალია — მოხუცებზე, ქალებზე და ბავშვებზე მოპოვებული გამაჯრების სამახსოვრად (შ. ფლიბონი).

ეს ნაწარმოები ჩვეულებისამებრ, დომიემ მესსიერებით შექმნა. იგი არასდროს არ ხატავდა ნატურადან. დავეკურთხე ფანტასტიკური უნარი და ფეიქმენაიური მებსიერება ჰქონდა.

ცნობილია დომიეს ფრაზა: „მაივნეთ ადამიანის თუნდაც მხოლოდ ერთი ყური და მე მას მთლიანად დავსატავო“. საქმე არ მხოლოდ მის საოცარ მებსიერებაშია, არამედ რეალისტურ მეთოდში, სამყაროს ღრმა ცოდნას რომ ემყარებოდა. ეს აპირობებს დომიეს ნახატებისა და ლითოგრაფიების უდიდეს სიმარტივეს, მკაფიობასა და ერთიანობას. ამიტომაც აკეთებდა დელაკრუა ასლებს დომიეს ნამუშევრებიდან.

დომიეს ნახატის თავისებურებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ტექნიკა, იგი უპირატესად ფოლადის კალამს ხმარობდა. მისი ნახატის ეს თავისებურება ჩანს ადრეულ ესკიზებში: ხასთითიქოს ჭაოტური სჭარბოდან თანდათან გამოიკვთება პლასტიკური ფორმები. დომიეს ნამუშევრებში თითქმის არ არსებობს კონტურის მკაფიო ხაზი, ხაზები თითქმის შოვნიდან ქმნიან ფორმას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათებას. გვერდითი შუქი ფორმების მოდელირების საუკეთესო საშუალებას ქმნის. ნახატებში, სადაც შუქი აქტურად მონაწილეობს ფორმების პლასტიკურ ძირწვაში, დომიე-მოქანდაკის სელი იგრძნობა.

ქურნალი „კარიკატურა“ დაიხურა. შეიცვალა დომიეს ლითოგრაფიების თემატიკა. ამ პერიოდ-



ში იგი ქმნის ლითოგრაფიების ციკლს, რომელშიც ამართახებს ბურჟუაზიული საზოგადოების მორალს. მისი ლითოგრაფიების გმირი, კრებითი ტიპი — რობერ მაკერი — საქმისანი, კარიერისტი, გაიძვრა, განასხივრებდა ყოველივე უაყოფიოსა და ვულგარულს მის თანამედროვეებში. 1836 წლის ავიტოში შეიქმნა ამ სერიის პირველი ლითოგრაფია და მას შერე, ორი წლის მანძილზე გაზეთ „ზარიანის“ ფურცლებზე ყოველ კვირას ჩნდებოდა რობერ მაკერი, რომელიც სულ ახალ-ახალი სახით ეგვიწინებოდა გაზეთის მკითხველს. არ დარჩა საქმიანობა, რომლისთვისაც მას არ მოეკიდა ხელი, არ დარჩა ცოდვა, რომელიც მას არ ჩაედინა. დომიერ ამ სოციალური ტიპის ისეთი სრული პორტრეტი შექმნა, რომ რობერ მაკერი თითქმის რეალურ პერსონაჟად აღიქმებოდა პარიზისა და მიერ. ეს იყო განმეორავი სატირა საფრანგეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე, მისი უაყოფიო მხარეების გაკიცხვა.

დომიერს ლითოგრაფიებმა დაიპყრეს პარიზი, ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანეს, მაგრამ მხატვარს მაინც ჰქონდა უკმარისობის გრძობა, რადგან მიანდა, რომ თავისი აზრების, ნაფიქრალის გადმოცემას იგი ფერწერაში უკეთ შესძლებდა. ფერწერისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება დომიერში მუდამ ციცილობდა, მაგრამ ცხოვრების მიმე პირობები, ჟურნალ-გაზეთებში მუშაობის ტემპები არ აძლევდა საშუალებას მოეკიდა ხელი ფერწერისათვის.

40-იანი წლების დასასრულს დომიერ ქმნის პირველ სერიოზულ ფერწერულ ნამუშევრებს. მათში კარგად გამოჩნდა მხატვრის შესანიშნავი ფერწერული ტალანტი. წერის თავისუფალი მანერა, შუქ-ჩრდილის კონტრასტების ვირტუოზული ფლობა, მოძრაობის, ფორმის გადმოცემის საოცარი ტექნიკა — ყველაფერი ამქადაგებდა დიდოსტატს.

დომიერს შოქმედეობაში შერწყმულია გრაფიკოსის, ფერმწერისა და მოქანდაკის მხატვრული აზროვნება. მისი ფერწერა უმეტესად მონოქრომულია, ეფარება უნატიფის ნახევარტონების დაწვეწვილ შეფარდებებს, ნათელი და ჩაბნელებული ნაწილების დრამატულ კონტრასტებსა და სივრცის გადმოცემის დინამიკას. ყოველივე ერთიანი აზრის გადმოცემის ემორჩილება.

ფერის სათუთი შერქმევა, ფერადოვანი ნიუანსების წვდომის იმეათი უნარი კარგად ჩანს დომიერს ნახატებში, რომლებშიც ფერმწერის თვალის იგრძნობა: ხასთა რთული მიმართულებები, მათი ურთიერთგადამკვეთი ექსპრესიული მოძრაობა ქმნის ოპტიკურ ილუზიას — ფერწერული ლაქის შერქმევა, რეალეშებით აღსაქვე პაეროვანი გარემოს შთაბეჭდილებას. ეს იყო ის ეფექტი, რომელიც შემდეგში იმპრესიონიზმის მონაპოვრად იქნა აღიარებული. ამიტომაც, რომ ზოგიერთი მკვლევარი (ე. აღმერარი) თვლის,

რომ იმპრესიონიზმის ისტორია იწყება არა 70-იანი, არამედ 40-იანი წლებიდან, დომიერს ხელუფლებდა.

იმპრესიონიზმის პრინციპები იგრძნობა დომიერს კალმითა და ფუნჯით შესრულებულ ნაწარმოებებში. ეს შესანიშნავად ჩანს მის აკვარელებში („თეატრალური ლოჟა“), სადაც მკაფიოდადა დახასიათებული თეატრალური საზოგადოება, შექმნილია თეატრის განსაკუთრებული ატმოსფერო.

დომიერს ნახატებში ხაზების მქუფაერ რიტმი ქმნის ცვალებადობის, მოძრაობის შთაბეჭდილებას, ხაზს უსვამს შუქ-ჩრდილის ლაქების მონაცვლეობას. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს კალმით ან ფუნჯით ნახატის დასრულება ტუშით ან სეპიით.

სიჭარბავს სიბერე მოხედვად, ხილო სიბერე, ბიბლიური ნორმების მიხედვით, ღირსებად და ღვთის წყალობად ითვლებოდა. შუა საუკუნეებში იშვიათად ვხვდებით მიხარწილი მოხუცის სახეს, რომელიც, საქმეთაგან განმდგარი, მშვიდად ელოდება აღსასრულს. შუა საუკუნეების მოხუცები, ჩვეულებრივ, ორმოცი, ორმოცდაათი წლის ხალხია, ჯერ ისევ გაუთხეხავი, დიდად გამოცდილი და საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ანგარიშგანაწიერი, რამდენადაც მათ ხელშია მემკვიდრეობითი ტრუტლებიცა და სიმდიდრეც. თუმცა, ქემშარბიტი გერონტოკრატია შუა საუკუნეებისათვის უცნობია.

სიკვდილი ადრე მოდიოდა, მაგრამ შუა საუკუნეებისათვის და მახასიათებელი შიშო სიკვდილისა მარტო იმით რადი აიხსნებოდა, განუწყვეტლევ თან რომ სდევდა ადამიანს იმი, ეპიდემია თუ შიმშილი. სიკვდილზე თავის ფიქრობდნენ, რადგან ქრისტიანული მოძღვრებით ის ახალი სიცოცხლის დასაწეისად ითვლებოდა, „მარადისობაში დაბადება“ და არავის შეუძლია სცოდნოდა, რა ელოდებოდა სიკვდილის შემდეგ — ხსნა თუ ჯოჯობის ტანჯვა-წამი. ამიტომაც იყო აღბათი, სიკვდილის სახე (ჩინჩი, რომელსაც ხანდახან ცელიც ექირა ხელში) ასე შეუპოვრად რომ მკვიდრდებოდა შუა საუკუნეების თქმულებებსა თუ მხატვრობას; სიკვდილს ხან გულისხმედა განასახიერებდა, სისხლი რომ არწავა მინდორის, ხან კი უშიწალო ომის წარმმართველი მეფე. უფრო მოგვიანებით (შესაძლოა, ქალაქური კულტურის გავლენითაც) ამ ლეგენდებით იუმორის ელემენტებზე იტრება: ახლა სიკვდილი ხან ხანაქის ვაქნილი მოთამაშეა, ხან ვერაკი მუსიკოსი, რომელიც თავისი სტერიის პანგებით იზიდავს მსმენელებს.

სიკვდილის როცა დამატულ წარმოდგენებშიც მკვიდრდება: სიკვდილი ერთდროულად ოცდაათი კაცს ესაუბრება, კიდევ უფრო რომ წარმოაჩინოს მიწიერი არსებობის ამოცანა.

სიკვდილის შიში აძლევდა ადამიანს თავისი აღსასრულის წინ, დახმარებისთვის ეკლესიისათვის ან მონასტრისათვის მიმართა: ერთნი რელიგიურ დაწესებულებებს მდიდრულ ლეგატებს უტოვებდნენ (ამ დროს, ხშირად, უშუალო მემკვიდრეებსაც კი ივიწყებდნენ), სხვები ბერად აღკვეცას ჩქარობდნენ. მონასტრები სიხარულით ეგებებოდნენ ამგვარ მისწრაფებებს, განსაუთრებით, როცა საქმე მდიდარ ხალხს ეხებოდა. პაპი ალექსანდრე მეოთხე იძულებული გახდებოდა თავად გაერჩია რეიზში მომხდარი ერთი მეტად სკანდალური ამბავი: ვიღაც მძიმედ დასრულებული მოქალაქე, ბერებს, ავადმყოფის ცოლის თანხმობის გარეშე, დაურწმუნებიათ ბერად აღკვეცილიყო და მონასტრისთვის გადაეცა ოცი ლიბრი (ოქროს ფული), რის შემდეგაც ავადმყოფი მონასტრში გადაუყვანიათ, სადაც, ყველასათვის მოულოდნელად, განკურნებულა; გაუხდია ბერის სამოსი და თავისი ფულიც უკან მოუხიზოვია. ეს რომ ბერებს გაუგიათ, გუშინდელი მომავლადვი ჩქვეით დაუზამთ და ძალით უთმევივნებიათ უარი საკუთარ ფულზე.

მიცალაბულს განხანის შემდეგ აცემდნენ, არაფერს დაკლებდნენ ხოლმე, რაც იმდროინდელ ტანსაცმელში შედიოდა — შოსი იყო, ფეხსაცმელი, ხელთათმანი თუ ქალი; მერე სუდარაში ახვედნენ — ჩვეულებრივ, ცვილით გაპოხილ ტლოს ნაქერში, თუმცა, ზოგჯერ სუდარას ტუპისაგანაც კერავდნენ. მიცალაბულს საკუთარ სახლში გლოვობდნენ, შემდეგ კი, საკაცით მიჰქონდათ სასაფლაოზე და მიწას აპარებდნენ. ძაძის ტარება ესანეთში უკვე

მეთორმეტე საუკუნედანაა დადასტურებული. საფრანგეთში, ეს ჩვეულება რომდენი საუკუნეში გავრცელდა, გრაფინი კრეტუატი რომდელე 1304 წელს მიიპარა მეუღლე მიწას, არა მარტო თვითონ ჩაიკვა შავიში, არამედ საწოლშიც და მთელი ოთახიც შავი სიკვდილებით მოფინა. გლოვის ნიშნად, მამაკაცები შავ ტანსაცმელს იცვამდნენ და ხანდახან თმსაც აპარსავდნენ. დროთა ვითარებაში, ეკლესიამ დაქრძალის წეს-ჩვეულებათა რთული ლიტურჯია დაიდგინა; ამასთანავე, წარჩინებულ და გავლენიან პირებს, ახლა ჩვეულებრივ სასაფლაოებზე კი არ მარხავდნენ, არამედ ტაძრებსა და მონასტრებში, სადაც, მიცალაბულები, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამათვლად იქნებოდნენ დაცულნი, რადგან შუა საუკუნეებში სასაფლაოების ძარცვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მეცამეტე საუკუნედან მდიდარი მიცალაბულებს საფლავებზე ძეგლებსაც უდგამდნენ და აკლამბებსაც უშენებდნენ. დაქრძალეობიდან ეკლესია დიდ გამოჩინვას მახულობდა: დაქრძალის აუცილებელი იყო შესწავლილათა გაღება როგორც ლატკათისთვის, ისევე ეკლესიისთვისაც თავდაპირველად ნატორალური ფორმით (მდიდრული ტრაპეზი), შემდეგ კი ფულად. ამ გარემოებამ მეთორმეტე საუკუნეში სასტიკ ბრძოლა გამოიწვია მონასტრებსა და ეპისკოპოსის შორის, დაქრძალეობის უფლების მოსაპოვებლად. ეპისკოპოსი და სამღვდლო დასი ცდილობდნენ შეეზღუდათ მონასტრებისათვის ის პრივილეგია, რომლის საფუძველზეც მონასტრები თავიანთ კელლებში არა მარტო ძმობის წევრებს, არამედ საერო (წარჩინებულ) პირებსაც მარხავდნენ. ამ პრივილეგიის წინააღმდეგ ხანდახან გარდაცვლილის მემკვიდრენიც ილაშქრებდნენ. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის — მოურჩლებელი ეტიტაკოსების, განდგომილებისა თუ თვითმკვლელების — საეკლესიო წესით დამარხვა საერთოდ აკრძალული იყო, მაგრამ მონასტრები ხშირად თვალს უხუჭავდნენ ამგვარ აკრძალვებს და, მატერიალური გამორჩენის მიზნით, თავიანთ კელლებში განიცილებლათა და შერისხულთა დამარხვასაც არ ერიდებოდნენ.

ეკლესია ჩველის აკვანაზაც იდგა და უკანასკნელ გზაზეც მიაცილებდა მიცალაბულს. ის ღებულობდა ადამიანს საზოგადოებაში და ის განსაზღვრავდა მის საიქიო ცხოვრებასაც, მის ხსნასა თუ წარწყმედას; ასე რომ, თავის კარჩაკეტილ სახლში, ურუ კელე-ბში მომწყვედილი შუა საუკუნეების ადამიანი სრულბითაც არ უყოფდა ასოციალური, მართალია, მეტად თავისებურად, მაგრამ მაინც დაკავშირებული იყო ცხოვრებასთან, სადაც მტერიც შეაედა და მოუყარევს.

გაგატელება შემდეგ ნომერში

თარგმნა ზაზა კილაძემ

„შაკ - ნამე“-ში მოხსენიებულ მუსიკალურ საკრავთა ნარკოვალობისათვის

გულიკო მამულაშვილი



თარსი, ჰინდრისი, წინწილას გამოყენება ლხინის დროს

ფირღოუსის „შაკ-ნამე“-ში საკრავები მრავალგზისაა მოხსენიებული. ისინი გამოიყენება ბრძოლის, მშვიდობიანობის, გლოვის; ლხინისა და ზეიმის დროს.

თვით საკრავი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „არს მუსიკა მწყობრი ძალთა და „ნესტეთა“ საკრავთანა და კმოანება ტკილ გალობათა, თუ სოფლიერთა სიმღერათა“—ო.¹

განვიხილოთ თითოეული საკრავი ცალ-ცალკე.

ბარბითი — ბერძ., სპ. „ბარბეთ“ ან „ბარბელ“. სიმეზიანი საკრავი.

(ი. აბულაძე, „შაკ-ნამეს“-ს კომენტარები).

ბარბითი—მულნი,

(სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი).

„ბარბეთ“ — სიმეზიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, ლლთნია.

(უ. ა. რუბინჩიკი, სპარსულ-რუსული ლექსიკონი).



სიმის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „ეს ტერმინი სპარსული სიტყვაა. ფ. გორგჯანიძის ლექსიკონით: სიმ¹ მე-17 ს. სპარსულად ვერცხლის ზოლი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა. ცხადია, რომ, რაკი ირანულად ვერცხლს ნიშნავს, თავდაპირველად ვერცხლის მავთულის აღმნიშვნელი იქნებოდა და საკრავის თეთრი სიმებზე ხომ ვერცხლის იყო“².

ივ. ჯავახიშვილის აზრით: „ქართული ბარბითი ბერძნულ ბარბიტონს შესაბამედა და სპარსული ბარბიტისაგან განსხვავდება. ორივე ყელთან-მუცლიანი დაბალი, ბოხი-ხმის მქონებული საკრავი იყო“³.

ბარბითს „შაჰ-ნამე“-ში რამოდენიმეჯერ ვხვდებით. ეს იმით უნდა ავსხნათ, რომ ბარბითი ერთ-ერთია იმ მკითრერიცხოვან საკრავთა შორის, რომელიც მხოლოდ ლხინის დროს გამოიყენებოდა და გამოირჩეოდა ტკბილხმოვნებით. როგორც ცნობილია, „შაჰ-ნამე“-ში საბრძოლო ეპიზოდები კი გაცილებით მეტია, ვიდრე ლხინისა და გლოვისა:

„ორმოც დღესა ქაიხოსრომ აღარა ჰკრა ბარბითია. გლოვით იყო პაპისათვის, შავი ეცვა ვით წესია“.

ტ. II, 4927 სტროფი.

როცა ზალდასტანი ნადიმს შეუღდა: „მერმე დასდეს სანადიმოდ, მუნა იყო ჩანგთა,

მღერა,

იყო კარგი სიხარული. ბარბითისა ტკბილად ქვარა“.

ტ. I, 1670 სტროფი.

ბუკი — ლათინური „ბუკინა“⁴. ვხვდებით არაბულ-სპარსულ და ქართულ ლექსიკაში.

ბუკი — დიდი საყვირა.

(სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი).
საყვირი არქანჯელო ლამბერტს ასე აქვს აღწერილი: „მოყვანილობით არის სწორედ და არა მოღუნული, სიმალლით კაცზე უმაღლესია: იმას ორი კაცი უტრავს: ხან ერთი და ხან მეორე. მისი ხმა ყურთა სმენისათვის უფრო საზარელია ვიდრე სასიამოვნო“ (ივ. ჯავახიშვილი, დანახ. ნაშრომი, გვ. 175).

მიუხედავად ამგვარი განმარტებისა, ბუკს ვხვდებით ლხინისა და ზეიმის დროსაც, მისი გამოყენების სფეროს გაფართოვება დროთა განმავლობაში მოხდა. ბუკი ლხინის დროს:

„საკელოვანი კელ-მწიფე მუნ გაეგება დასითა. შეჯდა და გავლო ქალაქი მონითა ბეერ-ათასითა. სცემდეს ბუკსა და ტაბლასა ნალარა დროშო-ასითა. და მუნ სიხარული შეექმნა, მიკა ტანითა ხასითა“.

ტ. I, 1482 სტროფი.

მაგრამ, არქანჯელო ლამბერტის განმარტების არ იყოს, ბუკი „შაჰ-ნამე“-ში საბრძოლო საკრავად უფრო გვევლინება ვიდრე სამხიარულოდ. იგი გამოიყენება ხმობისათვის ბრძოლის დაწყებისას, თვით ბრძოლისას კი აღიერებს საბრძოლო განწყობილებას:

მაგ. „ნათირი და ბუკი ჰკმობდა, იხახობა ყვირო-სტვირი“.

ტ. II. 3561 სტროფი.

„სხვათაგან მათი მორევა არეისგან სახზონია.

და სცემდეს ბუკსა და ტაბლასა, მტერთაგან სახარონია“

ტ. I, 372 სტროფი.

ან კიდევ: „აქ აფრასიობ საომრად ადგილსა არ ემეცეოდა, ოლა,

ჰკოცდის ბილოსა, ზახილი მათი ცად ვაიროდა; ბუკთა კმა იყო, მინდორი სისლის ტბად

გარდიქეოდა, და ძრწოლეს ქვანი და მიწანი, ჰგავს თუმცა დაიქცეოდა“.

ტ. II, 3116 სტროფი.

დაბდაბი — სპ. „დაბდაბა“—ორმხრივ დასარტყმელი საკრავია.

დაფდაფი — „ორსავე თავს დაიფ საცემელი, ზაბილური. (სულხან-საბა, ლექსიკონი).

დაფი — ცალმხრივ დასარტყმელი საკრავია.

სპ. „დაფ“ დარია, მკირე დოლი,

(ი. აბულაძე, „შაჰ-ნამე“-ს კომენტარები).

სულხან-საბას განმარტებით: „ესრე არს გრკალი, ცალთა მჭხარეთა ეტრათი აკრავს საცემლად მროკავათათვის, რომელსა სპარსნი დარას უწოდებენ. ხოლო დაფდაფს, ორსავე მჭხარეს ეტრათი აქვს, რომელსა დაულს უწოდებენ“.

„შაჰ-ნამე“-ში გვხვდება დაბდაბი და დაფიც. აქედან ყველაზე ხშირად დაბდაბს ვხვდებით. როგორც ჩანს, დაბდაბი ყოველთვის სხვა საკრავთან ერთად გამოიყენებოდა. იგი უმეტესად ქოსის თანმშლებია:

„უკრებ ქოსსა და დაბდაბსა, რაზმმან, ვითა ზღამ, იარა

და ვინ იცის, ვინ ამაღლდების, ვინ დამდაბლდების, ვინ არა!“

ტ. III, 806 სტროფი.

„ჰკრეს გურგსა, ქოსსა და დაბდაბსა ნაღარასა და შეუბერეს ზროხაკუდთა. ბუკმა ხმა გაიზიარა და მოასხეს ცხენები, დაეკაშმნეს ათი ათასი ცხენოსანი“.

ტ. III, გვ. 183.

დაბდაბის გამოყენება ლხინის დროს:

„სამი მივა მოკაშმული მუნ დიდითა დიდებითა, ზაულისტან-ნიმროზელი მიჰყუებთან ლხინებითა.

მდიდარნი და ნაშოებნი, დავეერშულნი თან ხლეებითა,

და ქოს-დაბდაბით, ნალარითა, ქაიანდრ დროშებითა“.

ტ. I, 1563 სტროფი.

დაბდაბი მწუხარებისა და გლოვის დროსაც გამოიყენებოდა: მაგალითად, „შაჰ-ნამე“-ში ხელაღის ზანგისა და ნარიმანის ომში:

„რა ფარუხ-ხაქ შეიგნა სიკუდილი ორთა მისისა უკრეს ქოსსა და დაბდაბსა, ისმის ხმა ზათქი ზარისა“.

ტ. III. 837 სტროფი.

დაფი სხვა საკრავებთან ერთად იხმარებოდა. იგი ბრძოლის დაწყების მანიშნებელი დასარტყამი საკრავი იყო.

„ქვეა იახლა, წავიდეს მისაგებავად მეფეა, ორმოცდაათი ათასი თან წაჰყვა სისხლთა მჭქეფეა ჰკრეს, ვაემართნეს, იხახდა მალლად ქოსი და დაფი და ცოტა რა წაელეს, გამოჩნდა ლაშქარი მონაწილეთა“.

ტ. I, 279 სტროფი.



დუმბული — მცირე ზომის სამხედრო დოლია.

მცირე ნალარა.

(სულხან-საბა, ლექსიკონი).

დუმბულს უკარგდნენ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გამართულ ლხინში:

„ერანისაყენ მორკმულთა წამოვლეს სიგრამე
გზისანი, მოვიდეს გამარჯვებულნი მადლის მიმცემნი
მლითსანი, გამოიბეს და ბუკსა ჰკრეს, კმა ისმის დუმბულსანი.
და ტურფად მოჰკაზმეს ქალაქნი, მგზავსინა
სამათხისანი“

დუმბული — ბრძოლის მოახლოების მაუწყებელი საკრავი.

„შეებნეს ერთმანეთსა წინა და რა ლაშქარი გამოუჩნდა, დაუდგეს ერთმანეთსა პირისპირ და ჰკრეს **დუმბული**-სა ქოსსა, და შეიქმნა ზახილი და კივილი, რომე ცამდის გაიწეოდა“.

ტ. III, 170 გვ.

ჴამბულური — ჴამბილი-სფირიდი დაფი, ჴამბილური.

(სულხან-საბა, ლექსიკონი).

„**ჴამბულური** და მისი სხვა ვარიანტი (ჴამბილური, ჴამბული, ჴამბილი) არ გვხვდება ლხინის დროს.“

„**ჴამბულის** ელერა სხვა საკრავებთან ერთად ბრძოლის დაწყებას ამცნობს ორივე მხარეს.“

„რა გათენდა შეუბერეს ჴროხის ეულთა ყუირო სტეროსა, საომარი ქოსი კუნესის. აუღიერებენ, ვითა ვირსა, მიძიე ნაფირს გამოაბეს, **ჴამბულური** დიდად ყუირსა, და სიწვთა ჰკრიან საზაროსა, მიუღიან პირის-პირსა“.

ტ. III, 356 სტროფი.

როგორც ჩანს, **ჴამბულური** ძლიერი ხმის საკრავი ყოფილა, რასაც გვაფიქრებინებს მასთან სწორად ნახმარი სიტყვები — ყვირილი და გრგვიცა. მაგ: „მერემ“ ჴაქ პილოს შეჯგა ტრავითა და გვირგვინითა.

ჴკრეს საომარს სპილენც-ჴურთა. სინჯთა ხმაა გვირგვინთა, ნალარა და **ჴამბულური**, ვით შვიი ჴლვა, **მოგარგვინთა**, და ფალანი იძახიან, იქით-იქით მობრძღვინთა“.

ტ. III, 476 სტროფი.

ჴროხა-კუდი-საყვირი ჴროხაკუდი-საყვირი (ა) მომცროს.

ნაფირი, საყვირი. (სულხან-საბა, ლექსიკონი).

სულხან-საბა ბუკს დიდ საყვირად განმარტავს, ხოლო ჴროხა-კუდს მომცრო საყვირად, რომელიც ამ საკრავის ქართულ სახელად მიაჩნია. მისი სახელის უცხო შესატყვისია ნაფირი.

„**ჴროხა-კუდს** სწირად სიტყვა „კუნესა“ ახლავს, რაც მის საბრძოლო დანიშნულებაზე მიუთითებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ „შაჴანამე“-ში იგი ლხინის დროს არ გვხვდება: „ცის აფრი ოქროსა ვავს ინდაურთა კრმალთა ფენით,“

ჴროხა-კუდა კუნესისაგან სპილენც-ჴურთა

თავ-გაჩენილია

„ცა დაეცა, ამას გუანდა, არა იმის ყურთა სმენით! — და მათ პირდაპირ ერანელთა რაჴში აწუხეს კულავ გაჩენით“.

ტ. I, 2470 სტროფი.

„**ჴროხა-კუდი** რომ მართლაც საყვირის ფორმის იყო, იქიდან შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ იგი შებერვით ეკვრება: „**ჴროხა-კუდა** შეუბერეს, მიწა იძირის სიმრგულე ცისა“.

და კინჴუელაგან უმრავლესი — ვერ დაიტევს სიბრტყე ცისა“.

ტ. I, 1901 სტროფი.

ან კიდევ „ჴკრეს ქოსსა და ნალარასა, შეუბერნეს ყვირო-სტვირთა და **ჴროხა-კუდა**“.

ტ. II, გვ. 421.

საყურადღებოა ერთი გარემოება; თუკი **ჴროხა-კუდი** „შაჴანამე“-ში საკმაოდ სწორად გვხვდება, მას ვერ ვხვდებით სხვა სპილენც ძეგლებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ **ჴროხა-კუდი** სპარსეთში გავრცელებული საკრავი არ უნდა ყოფილიყო.

მულნი — არაბ., „მულანი“ — ბარბითი, ებანი, ქნარი. (ი. აბულაძე, „შაჴანამე“-ს კომენტარები)

ბარბითი. (სულხან-საბა, ლექსიკონი).

გ. ჯავახიას განმარტებით „მულნი“ (არაბ. მულნი) ჩონგურის სახის მუსიკალურ სიმებიანი საკრავია.

ვინაიდან მულნი ბარბითადაა განმარტებული, ისინი ერთგვარ საკრავებად უნდა მივიჩნიოთ.

„შაჴანამე“-ში მოხსენიებული მემულენე კი ის პირია, რომელიც ამ საკრავზე უკრავს.

„ფრიდონ დალოცეს კელმწიფედ და ქებას შეასმდიან, მეჩანგვენი და **მემულენე** ამოსა მასა ჴურდიან, უზნებდეს გამარჯვებულნი, სადგომისაყენ მიდიან, და გამოსუხეეს ლხინითა ამოდ და ტკბილად ჴმიდიან“.

ტ. I, 87 სტროფი.

მულნი „იოთხე — „**ჴილიხანი**“-შიც ტკბილ საკრავადაა წარმოდგენილი:

„ჩადრ“ კარავთა მორთულთა ან მეჭლის ვით იმბობის!

ვფიცავ, რომე სამოთხისა უტურფესად შეიკობის, ჩანგ-სეთით, უდ-ქამანჩა, **მულნი** **ყანუმს** შეტკმობის და ვეჴვობ, რომე იგ არ მოკვდეს, ვინც ამ ლხინსა შეესწრების“.

ნალარა — არაბ. სპ. „ნალარე“ — საომარდ მომწვევი საკრავი, წინწილასავით. ნალარა შედგება ორი, ერთმანეთზე მისარტყმელი ლითონის თევზისაგან.

(ი. აბულაძე, „შაჴანამე“-ს კომენტარები).

სხვათა ენაა, ქართულად სამძიკი და დუმბულ ჴჴეიან. (სულხან-საბა, ლექსიკონი)

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „რამდენადაც ამ განმარტების პირველი ნაწილი ჴუმარტივებაა იმდენად მისი მეორე ნაწილი მცდარია: არც დუმბული



და არც სამეციი ანუ სამპიკია-ქართული. (ივ. ჭავჭავაძე-ლი. დას. შრომა, გვ. 202).

ნალარა განუყოფელი ატრიბუტია ყოველგვარი ცერემონიალისა და რიტუალის, ზეიმისა და საბრძოლო მომენტებისა. იგი იხმარება თითქმის ყველა შემთხვევაში, ცალკე და საკრავებთან ერთადაც. აქედან მისი განმარტება — „საომრად მომწვევი საკრავი“ — მისი თავდაპირველი დანიშნულების გამომხატველია, ხოლო დროთა განმავლობაში მისი გამოყენების სფერო ვიწროვდა. ამაში ნათლად ვრწმუნდებით, ტექსტის იმ ადგილებით, სადაც ნალარის დანიშნულების განსამარტავად ხშირად ვხვდებით სიტყვა სამხიარულოს. მაგ:

„ფერიდუხტ დიდსა მხიარულებსა მიეცა ამა ანბის მდინითა და ღმერთს მადლობა შესწირა, მაშინვე ფალავანმა ბრძანა, **სამხიარულოსა ნალარასა** შეპებრეთო. სწრაფათ **სამხიარულოს ნალარასა** ცემასა კელი მიკვესა.“
ტ. III, გვ. 435.

საინტერესოა ქვემოთ მოტანილი ადგილი „შაპ-ნამე“-დან, სადაც ნალარა ერთ-ერთ ტკბილ და სამხიარულო საკრავად მოხანს:

მაგ. „და აგრევე მან დაიდვა გლოვა მამისათვის ორს წელიწადსა. და რა ორი წელიწადი გამოვიდა, აგრე **გლოვისაგან გამოვიდა, ნალარა** აქურცივინა.“
ტ. III, გვ. 264.

უნდაროდ წარმოდგენელია საბრძოლო ეპიზოდები. იგი ბრძოლის მოახლოების მაუწყებელი და გამამხნეებელია, გამარჯვების წინთ შთაფრენებს მებრძოლო, მოწინააღმდეგეთ კი პირიქით:

ორნივ ლაშქარნი დაკაშმეს, ერთმანეთს დაპირისპირდეს;
პილოზედ ქოსი მოაბეს, **ნალარას** და ბუქსა
ჰკვირდეს.“
ტ. II, 5264 სტროფი.

„გოდერძის და მისთა ძეთა ჰკრეს ქოსთა და **ნალარასა**.
დაკაშმულნი წამოვიდეს, აპირებენ სისხლთა ღვრასა.“
ტ. II, 3297 სტროფი.

ნალარა დიდად ვაგრცლებული საკრავი ყოფილა სპარსეთში, რასაც ნათლად ადასტურებს მისი მრავალჯგის ხმაარება ტყველეს და შემდგომდროინდელ სპარსულ ძეგლებში.

ნაფირა — მოხრილი ფორმის საყვირა ვალდაპორნის ტიპის სპ. „ნაფირა“ — საყვირი, ზროხა — კული.
(ი. აბულაძე, „შაპ-ნამე“-ს კომენტარები).

სხვათა ენა, ქართულად ზროხა-კული ჰქვია.
(სულხან-საბა, ლექსიკონი).

სპილენძის საყვირი, ხმა, კენესა, ტირილი, ქეთინი, გოდება.

(უ. ა. რუბინჩიკი, ლექსიკონი).

უ. რუბინჩიკის განმარტება ნაფირისა გვაფიქრებინებს, რომ ნაფირის თავდაპირველი დანიშნულება კენესა, ქეთინი, გოდება იყო. ე. ი. საბრძოლო საკრავი უნდა ყოფილიყო და დროთა განმავლობაში მას ძირითად ფუნქციასთან ერთად სხვაე დაეკისრა.

ნაფირის გამოყენება ლხინის დროს:

„მას სახლმწიფო ვაგრვკინი თავსა დაირქო
შეენოდა,
შეენოდა,

სრა ფარდავები ვაილეს, რაც კულავ ველთა ფხნოდა,
რაც შარირესა უბომა მონები სასახლოდა,
და სტერია, ქოსი და ნალარა, **ნაფირი** მადლობა
ყურიოდა.“

ტ. I, 1224 სტროფი.
ნაფირი ქლერს ძირითადად, ბრძოლის დაწყების წინ ლაშქართა სახმობად და გასამხნეველად:

„დილა გათენდა, გამოჩნდა უკუნის განმქარეველი.
გუმბოსთა ზედა ამაღლა საწუთროს მაშუენებელი
ჰკრეს ნალარასა, ყურიოდა **ნაფირი**, მისი მკომბელი
და შესხდეს ორივე ლაშქარნი — მინდოთა
ამავსებელი.“
ტ. I, 489 სტროფი.

ნაფირი ჩასაბერი საკრავი იყო, რაც კარგად ჩანს შემდეგ სტროფში (ბეთით):

„ორგნითვე სცემდეს ტაბლასა და ქოსმა შექმნა
დგარილი.
იყო **ნაფირთა** შებერვა, ქანარას ქონდა ზროლი.“
ტ. I, 384 სტროფი.

ბრძოლაში გამოსაყენებელ ნაფირს ისევე აკობდნენ მიძევებით, როგორც ბრძოლის დაწყების წინ სპილენძს მაგ:

„აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა საომარი ქოსისა,
კუნესა სტერითა სარაზმოთა, **თეთრი** მივი და
გამაბდა პილოსა,
ნაფირთა, ზროხაკულთა, ნალარა ზაბულური,
სპილენ-ქურთა და სინჯთა“
ტ. III, გვ. 213.

ნობა — საყვირ-დაფდაფი.
საყვირ-დაფი.
(სულხან-საბა, ლექსიკონი).

ნობას ვერ ვხვდებით სპარსულ ძეგლებში. „შაპ-ნამე“-შიაც სულ რამოდენიმეჯერ გამოყენებული იგი გვხვდება როგორც მხიარულების ასევე მწუხარების ეპოს. მაგ. ლხინის დროს:

„ყველას შევირდა ესეთი საამის ძალიანობა,
დარბაზს შევიდეს სახდომსა კმობდა ნალარა და
ნობა.“

კელ-მწიფე დაჯდა ტახტზედა, არ შექმნა ჯარიანობა,
და ოქროსა ხელი დაუდგეს, — საამს შეუნოდა
ჯინობა!“
ტ. I, 146 სტროფი.

სპილენძ-ქური — დიდი საყვირი.
(ი. აბულაძე, „შაპ-ნამე“-ს კომენტარები).

სპილენძ-ქური ძლიერი ხმის საყვირია. იგი სხვა საკრავებთან ერთად (იშვიათად ცალკე) გამოიყენებოდა ბრძოლის დაწყების წინ ლაშქართა სახმობად. უშუალოდ ბრძოლისას, ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გლოვისას და გამარჯვების შემთხვევაში მხიარულებისას.

„ქოსთა და **სპილენძ-ქურთა** აკრევივნა და ლაშქარნი
ახმოინა.“

ტ. III, გვ. 170.
„სამსა დღესა კელმწიფისა კარზე შეიქმნა ქოსთა და
ნალარათა ყვიროსტერითა, ზროხა-კულთა, **სპილენძ-ქურთა**, ბუქთა და ტაბლაკთა ტყრცილი და კენესა.“

ტ. III, გვ. 489.



„ზროხა-კულთა, სპილენძ-ჭურნი მალა ყვირდეს, და“
„როსტომ მივა გამარჯვებით ხოსროეს ამბავს

მოარბოდეს“.
ტ. II, 3774 სტროფი.

ტრადიციისამებრ, ბრძოლის დაწყებისას სპილენძ-ჭურს მძივებით რთავდნენ.

„ჭკრეს ორსავე რაზმშიგან ჭმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, გამოაბეს მძივი ნაფიროთა,

ზროხაკულთა, ნალარა, ზებილური, სპილენძ-ჭურთა, სინჯთა“.

ტ. III, გვ. 182.

თუკი სპილენძ-ჭურს, „შაპ-ნამე“—ში ყოველ საბრძოლო ეპიზოდში ვხვდებით, სხვა სპარსულ ძეგლებში ამ საკრავს ვერ არ შეხვედრივართ.

სტვირი — მცირე ზომის საყვირი (ი. აბულაძე, „შაპ-ნამე“-ს კომენტარები).

სტვირი — სასტეინავი.

ზურნა, მესტვრე, ნესტვ, ყვიროსტვირი.

ფსტვრი.
(სულხან-საბა, ლექსიკონი).

სტვირს იყენებდნენ ბრძოლის დროს. იგი ხშირად „საომარ“ და „სარაზმო“ სტვირად არის მოხსენიებული, რომლის „კუნესა“ ორთვე ლაშქარს ბრძოლის დაწყებას ატყობინებს.

„რა ვაიფნდა და საწუთოსა მაშუენებელმა მზემან თავი ამოყო... ჯრეს ორსავე რაზმშინ ჭმა საომარი ქოსისა, კუნესა, სტვირთა სარაზმოთა“.

ტ. III, გვ. 182.

ან
„ჭკრეს ორთავ რაზმთა ვასწორდა ხმა საომარი სტვირისა სარაზმოს ჭმასა სცემდიან, ცას უმძივის, ეტლი ტირისისა“.

ტ. III, 324 სტროფი.

იგივე ფუნქციებს ვხვდებით ყვიროსტვირისაც (ყვიროსტვირი):

ჭკრეს ქოსა და ნალარასა ყვირო-სტვირი მალლად ყვირდა, და მუნ დაკაზმეს ჯორ-აქლემი, თვალ გოარი ყუელას ჰკიდა“.

ტ. I, 1212 სტროფი.

სხვა საკრავებთან ერთად ყვიროსტვირი (ცალკე საეროთოდ არ გვხვდება) გამოიყენებდა გლოვის დროსაც:

„სამსა დღესა კელწიფისა კარხედა შეიქმნა ქოსთა და ნალარათა, ყვიროსტვირთა, ზროხაკულთა სპილენძ-ჭურთა, ბუტთა და ტაბლაკთა ტრკიადო და კენესა“.

ტ. III, 489. სტროფი.

ტაბლაკი — არაბ. სპარ. „ტაბლაკ“ — მცირე ზომის ნალარა.

ხშირად ისმის ტაბლაკის ხმა ბრძოლის დაწყებისას: „დაჭკრეს ბუქსა და ტაბლაკსა და საომარად

ემზადებოდეს“.
ტ. III, გვ. 169.

ტაბლაკი ბრძოლის დროს აძლიერებს საბრძოლო განწყობილებას.

„ჭკრეს ბუქსა და ტაბლაკსა და გახშირდა ნალარისა ჭმა შემოუტევენს ერთმანეთსა და შეიქმნა ზახილი

და დაუშინეს შუბითა, კმლითა, ლახტთა და ხანჯლებითა“.
ტ. III, გვ. 234.

„ჭკრეს ასაყრელსა ქოსსა და ტაბლაკსა. შესხდეს და გაემართნეს ადაყალას ოცდაათითა ზაღლისტანითა კაცითა, იარეს და დავსხნეს ციხეს გარეთ ყუაღობი და მოარბივნეს, დაწყუენს, დაიხარეს, ამოსწყვიტეს, რომე სისხუა ლმრთისა დასცეს“.

ტ. III, გვ. 236.

ტაბლაკი გამოიყენებოდა გლოვის დროს: „ჭკრეს ბუქსა და ტაბლაკსა და მას დღესა ომისაგან დაბრუნდეს და გულმტკიუნელა და დარღვილი სამსა დღესა და ღამესა გლოვასა და ტიროლისა შუგა იყენეს“.

ტ. III გვ. 379.

ბრძოლაში გამარჯვებისას კი ტაბლაკი სამხიარულო საკრავდაა გამოყენებული.

საკელოვანი კელწიფე მუნ გაეგება დართია. შეჯდა და ვაგლო ქალაქი მონითა ბევრ-ათასითა სცემდეს ბუქსა და ტაბლაკსა ნალარა დროშა-ასითა. და მუნ სისხარული შეიქმნა, მივა ტანითა ხასითა“.

ტ. I, 1482 სტროფი.

ან კიდევ იოსებ ზილხანიანში:
„გამომართა დაღოვეს ადგოვად გზა საეაღია, და ქოს-ტაბლაკ-ნალარის ცემით ქალაქი მიწავალია“.

616 სტროფი

ქოსი — სპარ. „ქოს“ — სპილენძის დიდი დიდილო.

ქოსი სხუათა ენაა, ქართულად სპილენძ-ჭური ჰქვიან (სულხან-საბა, ლექსიკონი),

ქოსი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძველი საკრავია სპარსეთში. იგი იხმარებოდა ცალკე და აგრეთვე საკრავებთან ერთად, როგორც ლხინის ასევე მწუხარების დროს:

ქოსის გამოყენება გამეფების დროს: „მან სახელწმიფო გვირგვინი თავსა დაირქო, შეენოდა,

სრა-ფარდაგები გაიღეს, რაც ყულავ ველითა ფენოდა რაც შარიერსა ებოძა მონები სასახელოდა.

და სტვირი, ქოსი და ნალარა, ნაფირი მალლად ყვიროდა“.

ტ. I, 1224 სტროფი.

ქოსის გამოყენება გამარჯვების დროს: „შეიქმნა ყველგან ქოსთა ჭმა გულითა მხიარულითა, ფეხზედა ძლივე იღვიან მეტისა სისხარულითა,

წაიღენდნ მისაგებულად ნალარა-სპილენძ-ჭურითა, და როსტომ გამოჩნდა ლომ-გული, ვით ჰვერობს, ჯავარ სრულითა.

ტ. I, 4361 სტროფი.

ქოსი, ნალარასთან, ბუქთან, სტვირთან, ნაფირთან, ზაბილურთან, ზროხა-კულთან, სპილენძ-ჭურთან, დაბდაბთან, ტაბლაკთან და დუმბულთან ერთად საკრავთა ან-სამაღს ქმნის.

ქოსის გამოყენება ბრძოლის დაწყების წინ: „გოდორძიმ და მისთა ჰკრეს ქოსთა და ნალარასა, დაკაზმული წამოვიდეს, აპირებენ სისხლთა ღვრასა“.

ტ. II, 3297 სტროფი.

ქოსის გამოყენება ბროლის მომენტში: „ჭკრეს ქოსთა და ნალარათა თურქნი წინა მოეგებნეს



ქმალმოწვედილმან შეუტრევა, მათი სისხლი ჰყეტა
თქვედნეს“.

ტ. II, 3251 სტროფი.

ქანარა — სპ. „ქანარაა — საკრავი ნაფირის მსგავსი.
„ქანარე“ სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი გრძე-
ლი საყვირის ფორმის (რუბინიკი, ლექსიკონი).

მას იყენებდნენ საბრძოლო სიტუაციებში, ლხინისა
და ზეიმის დროს იგი არსად მოიხსენიება. მისი დანიშნუ-
ლება იყო ლაშქართა ხმობა ბრძოლის დაწყების წინ;
„ორგნითვე სცემდეს ტაბლასა, და ქოსმა შექმნა
დგრაილი.

აყო ნაფირთა შებერვა — **ქანარას** ქონდა ზრიალი.
ორთავე რაზმი დააწყუეს, იყო ძახილი, ზრიალი
და ლოლასა გვანდა აბჟარი, იგი მინდორი ტრიალი“
ტ. I, 384 სტროფი.

ჩანგი — სპ. „ჩანგ“ სიმებიანი საკრავი.

მოდრეკილი საკრავი, ქნარი
მოდრეკილი საკრავია ძალთა.
(სულხან-საბა, ლექსიკონი)

„ჩანკ“ სპარსულად ერთი მხრით, სპარსთა და ჰინ-
დოელთა ოდენად არსებულ პარავს ეწოდებოდა, რომ-
ლის გამოხატულებაც სპარსეთის ქერმანშაჰის მე-6 საუ-
კუნის ბარბელდუზუა დაეწოლი“ (ივ. ჯავახიშვილი. დასახ.
ნაშრომი გვ. 144).

ჩანგი გავრცელებული საკრავია. იგი ხშირად გვხვდებ-
მა „შაჰ-ნამე“-ზე ადრეულ და შემდგომორიანულ სპარ-
სულ ძეგლებში და ყველგან ისევე, როგორც „შაჰ-ნამე“-
ში ლხინისა და მხიარულების უცილობელი კომპონენ-
ტია: იგი ერთ-ერთი უძველესი და ტყბილი საკრავია სპარ-
სელებისათვის.

„ვიკრამიანში“ ხვდებით თქმულებას, ჩანგის წარ-
მოშობის შესახებ:

„რამინისებრ გამარჯვებული ხელმწიფე არ ყოფილა და
არც იგივე გონიერი. მოხარული ესე იყო, რომელ პირ-
ველ ჩანგი მან მოიგონა, რომელ მუნთე აქამდინ სასიხა-
რულს სხვა ეგზობა ჰამო არავის მოუგონია. და მისგან
მოგონებულობთა პირველ თვით რამინის ჩანგობით
უქმობდეს. იყო ესრე მორკმით რამინ, რომელარავინ
ჩანდა მისი მეუნებლუ“.

ჩანგი „შაჰ-ნამე“-ში ლხინისა, ზეიმისა და მხიარულო-
ბის დამამუწვენებელი საკრავად გვევლინება.

„ზალ გამართა ნადიმი, იმათდ ფერა ღზმიდესა.

შრავალი მგზარი ხარშული, სანუკარს

ეგრდასთვლიდესა.

იავუნდისა კოკითა ლალის ფერს ლეთი, სმიდესა,
და ამოსაქმასა იტყოდეს, ჩანგის ძალს წამოზოდესა“.

ტ. I, 1232

„მას დამესა ერანელთა ჩანგის კკრითა გაიხარეს“

ტ. II, 4710.

ჩანგი რომ მხოლოდ ლხინის დროს იხმარებოდა, კარ-
გად ჩანს ოსებ-ზილხან-იანის შემდეგ სტროფში.

„ქალი მოსთქვამდა საბრალოდ, უჩივის ბედის წერასა,
სოფელო, რას გარმეკიდე, მაძლევ ქარვისა ფერასა,
გამყარე ლხინსა ყველასა, ჩანგ-ჩალანისა ძვრასა,
და იგი იმ ყოფით მაქციე, აქ მომეც ვისთა მუერასა“¹
ჩანგი ფორმით სამკუთხა, სიდიდით სხვადასხვა ზომი-

სა. ამაში დასარწმუნებლად გამოდგება „შაჰ-ნამე“-ს
შემდეგი ადგილი.

„ერთსა კაცსა ჩანგი ჰქონდა, მეფეს წინა გზა ითხოვა“.
(ივლილსმება ხელი ქონა)

ტ. I, 2114 სტროფი.

ან კიდეც, როსტომიანში ერთგან პირდაპირაა ნათქვა-
მი, ჩანგი „ხელთა ჰქონდაო“, მაშინ, როცა „ეფეხისტყა-
ოსანში“ კვითხულობთ:

„ავთანდილოჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ
პერანგი,
იმღეროდა და იხაროდა, წინა ედგა ერთი
ჩანგო“

245 სტროფი

წინწილა — სინჯი ტყბილი საკრავი(ა).

(სულხან-საბა, ლექსიკონი)

წინწილა საჩხარუნებელი საკრავია. იგი ნალარის
მსგავსად ორი ერთმანეთზე მისარტყმელი ლითონის თე-
ფშისაგან შედგებოდა წინწილას ურავლდნენ სხვა საკრავ-
ებთან ერთად და საამო სასმენი იყო. იგი უმეტესად ბუკ-
თან ერთად გამოიყენებოდა.

წინწილა ჟღერს „შაჰ-ნამე“-ში როსტომისაგან ზაალის
წინამე საშახრობლო წიგნის მიწერით გამოწვეული
მხიარულებისას:

„სხედვანდს ცეცხლი მოუდევს, კუამლი ცას შემოსწ-
უდებოდა“

მხიარულნი წამოვიდნენ როსტომ ქარფვსა ჯდებოდა.
რა შეიტყო მოსულა მისი, ზაალ წინ მიეგებოდა.

და ბუქსა ჰკრეს და წინწილასა, რა რიგადე
ეგებოდა“.

ტ. I, 1874 სტროფი.

ამრიგად, როგორც ამ მცირე მიმოხილვიდან ჩანს, მე-
სიკალურ საკრავთა გამოყენების თვალსაზრისით სოცი-
ალურ ყოფაში, „შაჰ-ნამე“ და სხვა სპარსული წყაროე-
ბი იძლევიან უაღრესად საკვლისხმო და კულტურის
ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს. სპარსული
საკრავების შესრულებამ, მისმა გამოყენებამ და ტრა-
დიციებმა შევაცულნა მოახდინა წინარე აზიის ხალხებზე
და ეს შორეული თვითმყოფადი ტრადიცია გადანაშთის
სახით დღესაცაა დატული თანამედროვე ირანში, რაც
საგანგებო კვლევის საგანია.

შენიშვნები:

¹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, „საბჭოთა სა-
ქართველო“, 1965.
² ივანე ჯავახიშვილი. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი სა-
კითხები“, ფედერაცია, თბ. 1938, გვ. 100.
³ იქვე: გვ. 154.
⁴ მ. თოდუა, ა. ევახარი, ვისრამინი, თბ., „ლიტერატურა და ხე-
ლოება“, 1964 გვ. 368.
⁵ ი. ზილხანბაი, 132 სტროფი.

მეგონებები და შიქრები

აკაკი ვასაძე

„ღიღინი ხელმწიფი“

1945 წელს მოსკოვიდან გვეწვია ცნობილი მწერალი და დრამატურგი ვლადიმერ სოლოვიოვი და თავისი ახალი პიესა „ღიღინი ხელმწიფი“ წაგვიკითხა. იოანე მრისხანეს თემა ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი და ახლობელიც იყო, — უკვე საკმაოდ ღრმად, დაკვირვებით მქონდა შესწავლილი ალექსეი ტოლსტოის ტრილოგია „იოანე მრისხანი“. ვლადიმერ სოლოვიოვის პიესა ამ ტრილოგიას ლიტერატურულ-მხატვრულ დონეზე ვერ იყო გამართული. ალექსეი ტოლსტოის ტრილოგია წარმოადგენდა ბრწყინვალე ნიჭით, შესანიშნავი სტილით დაწერილ სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებს; იგი კიდევ მესახებოდა დიალოგებით დაწერილ რომანებად, რომლებშიც მალამხატვრულად, მდიდარი ფანტაზიითა და ისტორიული მასალის ღრმა ცოდნით გადმოცემული იყო სხვადასხვა მოვლენები იოანე IV ცხოვრებიდან. მაგრამ სწორედ ლიტერატურული ღირსება ამ ტრილოგიასა განაპირობებდა აგრეთვე, ჩემის აზრით, მის ნაკლავს, — სიუჟეტი ძალზე რომანისტიკულად ვითარდებოდა, ენა ძალზე დახვეწილი, ძალზე ლიტერატურული, ფერადოვანი იყო და თარგმნის დროს ძნელად თუ შეინარჩუნ-

ნებდა თავის პირველყოფილ სიხვედრეს, მხატვრულ ეფექტს. ეს პიესები კი (ტრილოგია) წარმტაცი და მომხიბვლელი სწორედ იმიტომ იყო, რომ ალექსეი ტოლსტოის ენით შეტყვევებდა; ისინი უფრო საკითხავ პიესათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ვლადიმერ სოლოვიოვის პიესა კი კონკრეტულად თეატრისთვის დაწერილი ნაწარმოები გახლდათ, როგორც შინაარსისა და მისი განვითარების, ასევე დაალოგების აწყობის თვალსაზრისითაც. ამასთანავე, იოანე მრისხანეს ცხოვრებიდან ზოგიერთი საკითხი ახალი კუთხით ჰქონდა გაშუქებულ-შეფასებული.

პიესა მომეწონა. უკვებ დავინახე მთლიანობაში და, თანაც, იმიტომაც გამახარა, რომ საშუალებას მაძლევდა აკაკი ხორავასთვის მიმეწოდებინა მთავარი როლი და, რაც მთავარია, მისი მონაცემებისთვის სავსებით შესაფერისი.

სანდრო შანშიაშვილს ერთი ეგზემპლარი სათარგმნელად რომ გადაეცემა, მეორეზე ავტორთან, სოლოვიოვთან ერთად შევეუდექით მუშაობას, რათა დრო არ დამეკარგა. სოლოვიოვს მოვთხოვე ბოიარებთან იოანე მრისხანეს ლხინის ამოღება; შემდგომ ამისა: გადავაკეთე ის ეპიზოდი, სადაც იოანე მრისხანეს ბოიარები გარს შემოეხვევიან და შესთხოვენ, სამეფო ტახტს დაუბრუნდეს; მეოთხე სურათიდან ვაჭრების სცენები ამოვიღეთ, რადგან პიესას არაუფერს მატებდნენ; ამოვიღეთ ავ-

რთვე უკანასკნელ, მეთოთხმეტე სურათიდან მისხორბოლთა ეპიზოდები; უერთმეტე სურათი კი უნდალბა ავაწყობინე მოქმედების მფორ დინამიური განვითარების შესაქმნელად და აწ სურათის ტექსტის დასაწერად. მუშაობისას ვეძლიებოდი დღამა კომპეტური ჩათვალბეულობით, დაწვეწლიყო და უფრო მისხრდასაბული, მკაცრ ფორმას მოვეჭედა; ამასთანავე; შევეცადე, დღამაში სოციალური ასპექტი თუ ფინი მოვეღნათა ვახვითარების და, საერთოდ, ეპოქისაზე — ამოგვეწია და გავგვეფაოთებინა.

გატკეცილი ვუწაოიდი. სოლოვიოვიც დიდის გულისყურით მოყვიდა ჩემს შეიბმებას, უკვლებივ ყველა მითხონა ამასრულა, თადგან მთვდებ, პიკუსა სიცივედ მათობარებებდა ერთად იუთათა რთხ დაგასრულე რუსულ ტექსტს, გამომწლიოქონებინას, გაუსაღოვფილი უღვებები მოქვქ ქართულ ვარიანტში; სხვა ცვლილებიეიც შეიქტახა თუ საჭიროდ მოძიევენებოდა. თოდსაც სოლოვიოვიან ერთად პიეკაზე მუშაობა დაგამათავრე. დაწარმოების კონკრეტულად რეჟისორულ გაახრება-გახათხვას შევეღვლა. უპირველეს ყოვლისა ვეყრდნობოდი იმ ფაქტს რუსეთის ისტორიაში, რამ ითანე მრისხანეს ეპოქა (მეთექსმეტე საუკუნე) რუსეთის სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბება-დადგების პერიოდი. ამაზე მობითობედ და უკანასკნელი წლების საბჭოთა ისტორიკოსთა მიერ გამოქმუშავებული დებულებები, რომლებშიც მოცემული იყო ახლებური დაწახვა და შეფასება მეთექსმეტე საუკუნის რუსეთში მომხდარა სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა, თვით ითანე მრისხანეს ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და ღვაწლისა სახელმწიფოს წინაშე, — ბევრად გამსავვეული ადრეულ ისტორიკოსთა დებულებებისაგან. ვიციოდი ისიც: თეატრი, რომელიც აირტებს განახროცილოს სხვა ერის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის ძქონე მოვლენების, სახელმწიფოებრივი მასშტაბების კონფლიქტთა და პოლიტიკურ ბრძოლათა ამსახველი დღამატული დაწარმოები, ვალდებულა გაითვალისწინოს იმავე თქმაზე შექმნილი სხვა სპექტაკლები.

თავდაც მინახავს სცენაზე და კრიტიკული ხასიათის წყრბლებიდანაც ამობეიოთავს, რომ მეთექსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა ცხოვრების ამსახველ მოქიებებს, უპირატესად, ყოფაცხოვრებით ხასიათში დგამდენ და, ზოგჯერ სტილიზაციასაც მიმართავდენენ რეჟისორები თუ მსახიობები, რის გამოც მხატვრიულ კულტურის სამუშაოში ნიშნულთა ფოტოგრაფიულად გამოყენება (დეკორატიული მორთულობის სფეროში), სპექტაკლისათვის იმ ზეღისშემწმულ მამაზე ტვირთად იქვეოდა, რომლის ქვეშაც იუთებოდა, იკარგებოდა აქეთის ცოცხალა სულთ, სცენაზე შინაგანი ცხოვრების სინაიოლუ და სიციხოველ, სიხარბო პოლიტიკური ხასიათის, სახელმწიფოებრივი ბრძოლებისა. ჩემთვის კი აუცილებელი იყო სწორედ ეპოქის სულის რაც შეიძლება ცოცხლად გამოვლინება სცენაზე, ისტორიულ პიროვნებათა ამსახველი სცენური გმირების რაც შეიძლებოდა მხატვრულად მართალი და სახეს ცხოვრების ჩვენება, გამოსახვა პოლიტიკურ ბრძოლათა შინაგანი სულისა.

პიესაში დასმულ თქმაზე არსებულ ორასაზედ ბიბლიოგრაფიულ ხასიათის მასალას ვაგვეცანი: ითანე შრისხანეს კარის განჩრგის, იმ ეპოქის რუს დიდებულთა ზენ-ჩვეულებების აღმწერილ წიგნებს, დიპლომატიური ხასიათის მიმოწერებს, ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმებს, იმ ეპოქის ადამიანის ცხოვრების ნირს, მსოფლმხედველობას, ინტერესებს, მი-

ნაგან ვალდებულებებს ქვეყნის წინაშე, ერთვულ სულისყვერთებას; ვერებოდ იმდროინდელი მწერების ნარკვევებს-სასახლის ცხოვრებას და „ობრინინაზე“; ლიტერატურულ პორტრეტებს „თანე მრისხანის ხანის“ ეპოქაზე, ბორის გოღენივის, გასილ შუსიკას და, საერთოდ, შუსიკების, ნაგონების და სხვადასხვა გამოჩენილ დაღბულთა ცხოვრებაზე არსებულ მასალებს; ვაგვეცანი თანე შრისხანეს სასახლის ინვენტარს, ყოველი ნივთის დანიშნულებას...

როჯორც ცნობილია, ითანე მრისხანეს სასახლამ დიდარი ასახვა პიესა ლიტერატურაშიც, მხატვრობაშიც და ქანდაკებაშიც. ჩემზე მაინც ყველაზე დიდი შთანქვლილება მოუხდენია: ილია რეჟისის ტილის „თანე მრისხანეს“, სადგე ზარდაცემული თევე გულის იხტვების მისე სტილით მოკულ შეიღს, ანტიოქსის მიერ გამოქანდაკებულ სახების საგარდლოში მკდომარე ბრენი, მკაცრი მეფისა, სამხატვრო თეატრის მიერ აღგებულ, მეფე თოდორე კიანდეს ძესა და მუსორგისის „ბოგას გოდუნოვსა“ ეს ქმნილებები სიბალავნ მნახველს, მმენელსა თუ წამებითხვად და მობილავენ ყოველთვის, ყოველ დღოსა თუ გარემოში იმ მაღალმხატვრული სიმართლით, საზრიანობითა და განცდით, რომლებიც მომდინარებენ თვით ხელოვანთა უნარიდან — შუემქმნილებითად განასოვადენ სახე, მისი უმთავრესი დამახასათებელი ნიშანი თუ თვისება მხატვრულად ზემოსწიონ, ვადმოსვენ მხატვრულად სახის გრძობად-კონკრეტული განცდა და სათქმელი დაუმორჩილონ ძირითად შინაგან მიმართულებას. მაღალმხატვრულ სიბრძნესა და სამკაცრესთან ერთად, ითანე მრისხანეზე შექმნილ თითქმის ყველა მასალაში მეტ-ნაკლებად გაბისჭვიოდა მომენტის ვანაკტისმისა, ერთგანი შუშოლიობისა, ცოდვიანობისა, რომლებიც უკავშირდებოდენ შვილის მველოვანს და ამ მველოვლობასთან დაკავშირებით ითანე IV ხასიათის, მისი პიროვნების გაახრებას. კერძოდ, თეატრალურ ხელოვნებაში ამ მხარის გამამაგრება შესაძლოა ბევრის მხრივ საინტერესოც იყოს, მაგრამ, იმ პერიოდში, იმ საზოგადოებრივ ატმოსფეროში მე შევეცადე ამ მხარის ვაგვერკორბლებას, დარდოღვას მეფის სიბრძნესა და სახელმწიფოებრივ სიმკაცრეზე ყურადღების გამახვილების ზქონი.

მაგრამ, რა მექნა მართლა იმ ცოდვიანი საქციელისთვის?! რანაირად გამაწარებინა და მეჩვენებინა მრისხანეს მიერ შეიღის მველოვლობა ისე, რომ იმ სიტუაციაში მისი საქციელი საბატვიბელი ყოფილიყო მაცურებლობისთვის და შემეილობათ — გასაგებო.

მხატვრული ვაფორმება სპექტაკლისა სოლიო ვირსალაქმს ეთხოვე და სასწრაფოდ შეუვდექი მათთან მუშაობას ნაწარბობების დეკორატიულ-ფერწერულ ვადაწვევაზე. ჩვენი საუბრებისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოცდაათი წლის მანძილზე პოლიტიკურ ბრძოლებაში ჩამბებს და მუდამ საომარ მზადყოფნაში მყოფ რუსეთს და მეფის სასახლესაც წყნარ, ღია ფერები ვერ ვაჩვენებოდი. ვარკო-ფინი უნდა ყოფილიყო ისეთივე მკაცრი, პირქუში და დაბაღურ, როჯორც თვით ეპოქა გახლავდა. დრამატული სიმძაფრე სპექტაკლისა ჩვენ უნდა გავგეძლიებებინა მკაცრი, პირქუში, მაგრამ კეთილშობილური ხაზებით, ფერებით, დანადგარებით. იგივე სტილი უნდა დავეცა და ვანივითარებინა კომპოზიტორ იონა ტუკიასაც მუხიკალური ვაფორმების სფეროში.



ჩემთვის, როგორც დამდგმელისა და შუისკის როლის შემსრულებლისთვის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო თუ რა უზს აირჩევდა აკაკი სრავა ითანე მრისხანეს კინფლიქტური, რთულა სახის შუაკმწილად. სოლოვიოვის ამ პიქსას ხომ იმტრამაც მოვიკედ წელი განსაკუთრებული მონღმობითა და სხარნულით, რომ საშუალემა იმდლოდა აკაკისთვის მიმწოდებლის მისთვის შესაფერისი მთავარი როლი — როლო, რომელშიც ყველა საშუალემა ეძლეოდა თავისი მდიდარი ბუნებრივი მონაცემებო გამოყენებინა და უკონდებრად გაბერწყინა სტენაზე. პოდა, ფრანად ველეადი, მა გესს არჩედა იგი მრისხანეს ხახის სუნენური სტრუქტურისმისათვის. მთავარი გმირის სახის გახსნა მაყურებლის წინაშე, რომელმაც სამაშლოთ ომი ეს-გააა გადაატანა, მოითხოვდა სიცხადეს; მოქმედების დამატრეგელ მოტივირებას, ყოველი საქციელის მხატვრულ დასაბუთებას, დაახლოებას სტრუქტურისკულ სიმარტულესთანაც და აზრის საღრმესთან ერთად — დარანსთან გულმგფელი, უშუალო ურთიერთობის დამყარებას, ღდა შესაძლებელი იქნებოდა მსათობის თამაშის აზრობრივი დატვირთვით, მსახიობის გააზრებული მოქმედებითა და მოქმედებაში დიდი შინაგანი ძალის გამოვლენით. ეს როლი ფართო სამოქმედო ასპარეზს, ყველა მომდებანი სიტუაციას აწვდიდა მსახიობის ნიჭის, უნარის გამოხატვად და, მისი ხელდავ გამეება, მისი არასწორი, არასრული გამოყენება ყოვლად დაუმეეებელი იყო.

მაყურებელი პირველად იხილავდა ითანე მრისხანეს მეორე სურათში, მთავარხარდლის მუხარადა და ჯავე-პერანგში გამოწყობილს, ბროლის ველზე, განარჯების ვაჟს, როდესაც მას სამაღმებელი ლოცვა უნდა ადევლინა განებებისად, უფლისად.

შემდეგ ეპიზოდში მას ვხვდავთ უფლისწულებთან, როდესაც იგი განუმარტავს მათ, თუ რატომ ცდილობს ჯერ უვალი, შეუსწავლელი გზებით ვაუდავს რუსეთს, — როდესაც იგი გულწრფელად უვიარებს მათ საუთარ სახელმწიფოებრივი მიზნებსა და მისწრაფებებს და სურს მათში თანამოხიარნი, მის დაწყვეულ საქმეთა გამგრძელებელი დანიახის; მაგრამ, სწორედ ამ ეპიზოდში ნათელი ხდება ის, რომ არც ერთ ვადასთან არაფერი გაეება მამის ჩანაფიქრის, არც ერთი არ არის მისი სულისა და ძალის ნამდვილი მეგვიდრე, მის საქმეთა გამგრძელებელი. ამ ეპიზოდში გამოირკვევა ისიც, რომ მხოლოდ ვასილ შუისკა — ითანე მრისხანეს მეორე და ბნელისშემწილი — მხოლოდ ვასილ შუისკა წვდება მის განზრახვებს, მის გულაწაიღებს და, როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, ახლაც ასე გადაწყვეტს, შეაფერხის მეფის მისწრაფებთა აღსრულება, რადგან მეფის მისწრაფებები თუმცა რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებისკენ არის მიმართული, მაგრამ ბოიარა და დიდებულთა ინტერესებს ეწინააღმდეგება.

მესუთე სურათი: სატაგო დარბაზი... აქ აშკარად უნდა გამოვლენილიყო მეფის მივიწარე ხასიათი, მისი მრისხანება, — კერძოდ იმ ეპიზოდში, სადაც მას წყირი-ბერის ბოროტ მოქმედებანი და უგუნურება დღის სინათლეზე, ხალხის სამსჯავროზე გამოაქვს და სადაც უნდა გათამამებულიყო ითანე მრისხანეს მიერეე მოგონალი „თეოფასამართლების“ სტენა, მსახიობისთვის სათამაშოდ საუცხოო და მსახიობის ფანტაზიისთვის დიდი გაქაქანის, დიდი ასპარეზის მიმცენი სტენა;

შემდეგ ამიხა: ითანე მრისხანე სამშობლოს კეთილდობლაზე ურუნეთა რომ არას ატანოლი და სამშობლოსდევნიველივარე მსხვერპლის გაღება რომ ძალუეს, — მისი ეს თეი-ავტო ყველაზე ნათლად გამოჩნდება მარია ნაკოს (თანე IV მეშვიდე ცოლის) სავანეში ყოფნისას; აქაც კი, მეუღლის სავანეში, შეფეს სახელმწიფოზე ურუნვა და ფქირი მისცენება არ აძლევს და აშუთიებს;

შემდეგი ურთიულები სურათი იყო სატაგო დარბაზში ბოლოვლი მეფის ელჩთა მიღებისა და ტატების მეგვიდრის, საკუთარი ვაჟის კვერთხით მოკვლის ეპიზოდები;

და ბოლოს, შვილის დატრება და, ფინალი.

რა თქმა უნდა, მრისხანეს სხვა პატარ-პატარა ეპიზოდებიც ჰქონდა, მაგრამ შემოთხზებული სცენები და მათი ზოგადი შეფასება კმარა, კაცი მახვდეს, თუ როდენ რთულ და მრავალფეროვან, მრავალმხრივ როლთან გვექონდა რამეც ცნაობი იყო ისიც, რომ აკაკისთვის ითანე მრისხანეს როლი, ბევრის ხრივი, ახალი იყო და, აქ, წყადი ხერხებითა და ძველი სტენური საშუალებების გამოყენებით ფონს ვერ გაიკიდა ამ როლში იგი კიდევ უფრო უნდა გახსნილიყო როგორც შემოქმედი. ეს აკაკიანე კარგად იგრძობ. თავიდანვე მიხვდა ყოველივეს და რაზედა ჩიუვქირად ითანე მრისხანეს სახეებს, მონღმობით მუჯრად მოესხა და კერძოდ როლსაც, მის მსახიობურ გახანალებებს დინჯად შეუღდა.

შე ვფიქრობდი: აკაკი ხორავას რომ საუცხოო სცენური მხა, გარეგნობა და არაჩვეულებრივად გამოძეტყვლილი სახე აქვს — ეს უღაია. განსაკუთრებით თვალეთი: ხან სიყვარულით და აღურისთა, ხანაც მრისხანეკათა და იჭვით აღავსებ მხურის, თუ მოუნდა, სიმშენის პაქრეკლებსაც გაკვესუეს თვალთაგან. ეს თვალეთი მას ძალიან ეხმარებოდა ისეთი ბრწყინვალე სცენური სახეების შექმნაში, როგორებიც იყო კარლ მორი, არსენა, ოტელი და ახლაც უთუოდ დაცხარება. მაგრამ არც მხა, არც გარეგნობა და არც თვალების ელვარება აქ ვერას უშველის, მთელი თავისი ქვედა კანონზომიერად, ფიქრიანად თუ არ განავითარა, თუ სათანადო სიღრმით არ გაიაზრა თავისი ყოფნა ამა თუ იმ საკვენათ სიტუაციამი. ამისთვის კი დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს უთიონ აკაკის მიერაც — საკუთარი თავთან, მაგიდასთანაც და სცენაზე რეჟისორების დროს... ასე მაგალითად, შვილის თუ მოკლავა და მერე შენს სინანულს გულზე ზელის ბრავუნით, ცრემლებს ღვრითა და თვალების კვხვებით გამოხატავ ისე, რომ შინაგანად არც გეგუნება გაზრებული, შინაგანად არ გეგუნება ისეთი განწყობილება შექმნილია და სიტუაციულადაც არ მოგეცა ისეთი პირობები, ისეთი სცენური სიტუაცია, რომლებიც „გაიძულებენ“, მივიყვანენ? შვილის მეკვლეობამდე, — თუ ყოველივე ეს არ იქნა, ვერაფის ვერ დააკერებ და ვერც თანაგრძნობას გამოიწვევ მაყურებელში. ან კიდევ, სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ინგლისის პრინცესას ცოლად შერთვას რომ გადასწყვეტს მეფე, მარია ნაკოსი სიყვარულს ვინადა დაგვიტრება, სათანადო შინაგანი და გარეგანი პირობები თუ არ შეიქნება? ან კიდევ როგორ უნდა უპასუხო მეფემ, განგებისადმი სამაღმებლო ღოგოს და გამარჯვების შემდეგ კეთილგანწყობილების, აღდრთოვანების ატმოსფეროში დანიის მეფის ძის მანგუსის თავსედურ მოთხოვნას პირველ სტენაზე? რა შინაგანი და თან მეტყველი უ-

თიერთობა უნდა ჰქონდეს ხალხთან ტანტინდად გადამდგარ მე-
რებს (ფინალურ სცენაში) და თავის განმარტობას ტანტეუ დაბ-
რუნებსა, როგორ უნდა ვამბობო-ცხედეს?.. ცველა ეს საკითხი
უთუოდ ღრმა დაფიქრებას, მსახიობის მოქმედების განსაკუთ-
რებულად დასაფიქრებას და მხატვრული სახის მკაცრად კა-
ნაწიშვებას მოითხოვდა.

ზემოთ მოყვანილი სურათები სცენაზე შეიძლება გან-
ხორციელებულიყო ან მოქმედების უპირატესად ემოციური
განხეთარებისა და ითანე პრინსიპის სახეობა, დემონური სა-
წყისობა; მისი ატანალობის, მისი „სიკვირის“ გამძაფრებობა,
ან კალდე მის პიროვნებაში „გონიერი საწყისობა“, ითანე მრის-
ხანეს სიბრძნისა და ადამიანურიობის, მისი სახელმწიფოებრივ
კონიერების, უთუღეს კონფლიქტებში ბრძენი კაცის ყოფნის
მდგომარეობის შეამოწვეთა ეს უკანასკნელი გზა მოითხოვდა
უფრო აზრობრივ განხეთარება-გამოძერწვას სახისა და ნებე-
ლობის მომენტის წინ წამოწვევას. როგორც რეჟისორმა და შუ-
ღისკარმა გულს შემსრულებულმა მსახიობმა, ან პერიოდში, მე
ეს მთავრე გზა ვერცხე, — გზა, რომელიც ცაცილებით უფრო
რთული იყო, უფრო ძნელად დასაძლევია.

ეს იყო წარმოდგენის რეალისტური პოზიციებიდან განსორ-
ცილებლას გზა და მას, ჩემი ხელმძღვანელობის პირველსავე
დღიდან დაგადქეთ: იგი გულისხმობდა უპირატესად შინაგანი
ცხოვრების, შინაგანი სიმაართლის, ნაწარმოების აზრობრივი
მხარისა და არა გარეგანი, ეფექტური გამოშასხველობითი საშუ-
ალებების გამძაფრებას, როგორც მთლიანად საექტაკლისა,
ასევე ცალკეული სახის განსორციელების სურნოში. ეს მიმარ-
თულებდა გულისხმობდა გარეგანი გამოშასხველობითი ხერხე-
ბის სრულ დაქვემდებარებას შინაგანი ცხოვრებისადმი, შინა-
განი სიმაართისადმი და, ვგონებ, „დღე ხელმწიფეში“, რო-
გორც რეჟისორმა, იგი სათანადო დონეზე გამოხვეკეთ კიდევ
აკაკი ხორავამც, თავის მხრივ, რომელსაც კარგად გადიაცი-
თხა პიესა და თავისი როლა აწონ-დაწონა, საწორედ ეს გზა
აჩრია. ჩვენ ორთავეში ითანე მრისხანეში დაივინასეთ, უპირვე-
ლეს ყოვლისა, თავისი დროის მოწინავე, მაღალი აზრისა და
სულიკვეთების მქონე, სამომბოლო ხრუნვით შეყვრობილი
სახელმწიფო მოღვაწე და ადამიანი, რომლისგან თვით დრო
და მომავალი მოითხოვდა მრისხანებას, იწვევდა ნასში მძკან-
ვარე შეუპოვრობას, სიშკაცუნეს და საკუთარი ცხოვრების უკუ-
ლებულყოფის სწრაფვას ხალხის, ერის, სახელმწიფოს მომა-
ვალი ცხოვრების საკუთილდღედ. ასეთი შუფასება „მრისხა-
ნესი“ უთუოდ შეუცხაბამებულა თვით ჩემნი დროის მოთხოვნას,
შინაგანად იგი თანამდგრობების მიერ იყო ნაკარნახევი.

რა თქმა უნდა, მეორე გზითაც შეიძლება სცენაზე ითანე
მრისხანეს სახეების მხატვრული გადაწყვეტა და გამოხვეება;
ახლაც და შემდგომაც, ეგებ, ვინმემ სწორედ მეორე გზა აირ-
ჩიოს — ნაკლებად კლასიკური და უფრო ექსცენტრული, სუ-
ბიექტივისტური: მაგრამ ჩემმა შემოქმედებით მიმართულებას
და, ამასთანავე, ჩემნი ქვეყნის სასოგადოებრივ-მსოფლმეღ-
ველობრივ ვითარების იმ პერიოდში, „ითანე მრისხანეს“ სცე-
ნური ხორცსუნების იმ პირველი, კლასიკური, მასშტაბური
ამოხსნის გზა შეუცხაბამებულა, — გზა, რომელიც ეფუძნებოდა
სახელმწიფოებრივ მივლენათა კანონზომიერ განხეთარების
ობიექტურ შუფასებასა და მასშტაბურ ჩვენებას.

როდესაც ძირითად საკითხებში დამდგმული ვგეგმავდით
მთავარი როლის შემხრულებელი — აკაკი ხორავა-მწიფის
დით, უკვე კონკრეტულად მიხსანსცენაზე, ხასიათების სცენა-
ში გაშვებულთების საჭირო პირობებსა და საშუალებებზე და-
ვიწყე ფიქრი პირველი გამოსვლა ითანე მრისხანესი ასე გა-
დაწყვეტეს: ითანე მრისხანეს გამარჯვებული კართი „ათქითია
და ითანეანი შეხასილებით დროშებსა მხრინა მეფის წინაშე,
რომელიც ეს-გზა უნდა გამოხრება; წესით, მეფემ ხალხის,
კარის სიხარულს აყოლილი, ომასიანად, თავაწეული და ხლი-
ნელად შეიძლებოდა შემოსულიყო და, შემდგომ, ითანე ალტი-
ვითად ადვინისა ლოცვა განებინადმი, რომელმაც გამარჯვ-
ება მოუუღანა მის ჯარს. მაგრამ არა! მეფემ იციის, რომ ეს
გამარჯვება მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ სამზადისია ჯერ
კიდევ გრძელსა და ძნელად გასასვლელ გზაზე, ერისა და ხალ-
ხისთვის დიდების, ძლიერების მომეტან გზაზე; ერთი გამარ-
ჯვება ხომ არაფერს ნიშნავს მრისხანესთვის, ჯერ ხომ არ დამ-
თავრებულა ომი და, ასეთ ვითარებაში კი, ბრძენი მთავარსარ-
ღლისთვის გამარჯვება დამარცხებულა არა ნაკლებ დამფიქრ-
ებელია, — ყოველ დიდ გამარჯვებას დიდი სასურნავიც თან
ახლავს ყოველთვის, თუ კაცი ამას კარგად დაუკვირდება..
ამიტომ, ეს გამარჯვება გულუბრყვლო აღტაცებას კი არ გა-
მოიწვევდა მასში, არამედ, საკუთარ ძალაში რწმუნასთან ერ-
თად, მომავალ სიძულეებზეც ძიქლს აღუარებდა, ფიქრით
დამამიძებდა მეფეს. და, აი, ცაცილებით უფრო მოკლოდნელი
და მხატვრულად ეფექტური იქნებოდა გარგენულადც მხოლოდ
მინაყახად უფრო ღრმსა და ლოგიკურად გამართული. — ფიქრ-
ითი დღე, — რომ, ამ გამარჯვებით აღტაცებულ კარასიკა-
ციებით შექმნილ ატმოსფეროში, ითანე მრისხანე ქედმოხილიყო,
ფიქრით დამამიძებელი, დინჯი, მისივე და თან დონიერი ნაბიჯე-
ბით შემოვიღეს. მისალთივი სიტყვებით მეფის შესახვედრად
გამზადებულა მხედარობაჯერებით უთუოდ დასტად დარწმინა,
როდესაც მეფე არც მარჯვება და არც მარცხივე ყოყოვა უზ-
რალაო შესვდეთაც პატივს არ დასდებს, უხილავ წერტელს მი-
ჩერებელი უხმოდ გააკლის განზე გამდგარი ჯარისკაციებით
შექმნილ დერეფანს, შერერდება და წყნარად, მინაგანი მეხნე-
ბარებით, შემდგე უფრო და უფრო შეაწევით ადალენს საბად-
ობოლო ლოცვას განებინადმი. ლოცვას რომ მთანთავრებს,
იგი დამიერებლური, მამაშვილური კალთი მიმართება თავის
ქვეშევრდომ-თანამებრქალთ, მეურ დანიის მეფის ითს, მაგუ-
ნის მიერ სიკვლის წაითხეთი და იმ თავხედური მოთხოვნით
გამძივნებარებულს, გულისწყრომა გრგვენით კი აღმოსვდება,
მაგრამ მასწივე დაიოცებს გულს, მძულვარებით სიკვლეს —
გრავრამ მისწივე დაანარცებს და, მეორე წამსვე, დიხების
დაცვით, მტკიცეც დასცემს ბრძანებას ლაშქრობისა და თვითანი
პირველი გაემართება სცენიდან ბრძოლის ველისკენ — იმ
მხარეს, საიდანაც პირველად შემოვიდა ამ ეპიხოდის დასტა-
რებულად.

მიუხედავად იმისა, რომ პიესაში პოლონელ ელჩთა მიღე-
ბის, შვილის მოკვლისა და მას დატირების სურათები ყველაზე
უფრო უხსტად და საქმებურად იყო დაწერული, სწორედ მათ
მივიჩინებდე განსასორციელებელი წარმოდგენის კულმინაცი-
ურ, უმნიშვნელოვანეს სცენებად, რომელთა დაძლევა გადამ-
წყვეტი იქნებოდა წარმოდგენის გამარჯვებისათვის.



პოლთნილი ელჩების მიღების ეპიზოდი მეორე სამხატვრო თეატრის სცენაზე განხორციელებულ „იოანე მრისხანეს სიკვდილი“ ცენზურულად ჰქონდა მოფიქრებული და გათამაშებული ცნობილ მსახიობსა და რეჟისორს მიხეილ ჩეხოვს; მაგრამ მიხეილ ჩეხოვისეული იოანე მრისხანე იყო გამოძიარწილი სულ სხვა, ადრეული ისტორიული შეფასებების საფუძველზე: ჩეხოვი განასახიერებდა სახეს წერილილი. იმპულსური, აფექტური პიროვნებისა, მეფე-მანიაკისა და, ვიტყვი, რომ ასეთ სახეს იგი მართლაც გენიალურად ასრულებდა. მე არ ვაპირებდი არც ეპიზოს გავცნა და არც სენსური გამოსახვის საშუალებათა გამოყენების მხრივ, ადრე არსებების გამოჩენებას. ნიჭიერად მამად დონსუქ შექმნილის გახიზრება იმავე სტილით და იმავე გაასრუბით — შეუძლებელია; მით უმეტეს, ჩვენი თეატრი სულ სხვა მიმართულებისა და ხასიათის თეატრი იყო. ინდივიდუალობის და ორიგინალობის ძიებისას, ისიც ყოვიდი, დამკვიდრებულ შეხედულების ბრძადა უარყოფას. მეორე უკიდურესობამდე, არასწორ დასკვნამდე მიჰყავს ხოლმე ხელოვანი, თუკი მისი სათქმელი ისტორიულ სიმართლეს არ ემსახურება, არ ემსახურება თანამედროვეობის მოთხოვნებს, მოვლენის არსის მოვლენების ორიულსამე მხარეს არ პასუხობს. ისტორიულ მოვლენებს, დიდი ისტორიული პიროვნების ცხოვრებას ხომ ყოველთვის აქვს გამოვლენება-შეფასების მრავალი მხარე და, აი, გადაწყვეტიტე ძირითადი ჩანაფიქრის შესაბამისად, პოლონდე ელჩთა მიღების სცენაში იოანე მრისხანეს სწორედ სიდიდის უგამოწყვა: თუ მეფეს გადაწყვეტდ ისტორიულ მომენტში, ელჩთა მიღებისას, არ შეუძლია დავარსო თავისი აფექტური ხასიათი, იმპულსურება, მამ რადანარად დაერქმეოდა მას დიდი ხელშეწყვი?! რაღაც უნდა ყოფილიყო მის ძირითადი, რისთვისაც ისტორიაში იოანე მრისხანე შემორჩა როგორც დიდი ხელშეწყვი?! რა თქმა უნდა, მისი სუსტი მხარეც შეიძლება იყოს გამოვლენილი, მაგრამ. არა პირეულ პლანზე, არა ხაზგასმულად:

აი, იოანე მრისხანე მეფურ სამოსში მორთული. თავზე მონთაშის ქუდი, პოლონეთის ელჩებს ღებულა. ელჩი გამოშეწვიდა ამპარტანებით ჩამოთვლის პოლონეთის მეფის ტიტულებს და მათ შორის დაასახელებს: „თავადი ნოვგოროდისა, ფსკოვისა და სმოლენსკისა“, დაასახელებს განსაკუთრებულად. ელჩის ამ უტაფრობით აღმფიქრებელი ბოიარები უწამოიჭრებიან და სიტყვას შეაწყვეტინებენ ელჩს... მეფესაც დატყცი სახეზე რისხვა, მაგრამ განუშეებას და სიმშვიდეს უბრძანებს ბოიარებს. მეერე, თავაზიანად მიმართავს ელჩს განაგრძეთ პოლონეთის მეფის საცელის კითხვა. ელჩიც თავებურედ განაგრძობს კითხვას შურარცხმოყოფილი სიგაილისა. რომლებიც იოანე IV ახლა მხოლოდ შინაგანი მიღეულვარებით, დაძაბული უსმენს და, თან, რაღაც არაჩვეულებრივი ძალით ფარავს აღმფიქრებებს. სიკვლის კითხვას რომ მოთავაგებს, ელჩი მეტის უტაფრობით აცნობებს გარემო მყოფთ, რომ პოლონეთის მეფე ხმალში იწვევს იოანე IV და, დასტურის ნიშნად, ხელთათმანს ფერხითი მიუგდება იოანე მრისხანეს. აღმფიქრებელი სარბლები და ბოიარები წამოვარდებიან და იოანეს შეაქვრდებიან. იგი კი ზის თავის ტახტზე ურბავად, გასეგებულებით, გარეგნულად თითქოს მშვიდადაც, მაგრამ მის გულში კი უშველებელი ცეცხლი გიხვიზებს მძინვარებისა, სიძულვილისა.

